# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | შაბათი 29 ივნისი 1999 №120 (893) | ფასი 50 თეთრი


## კობა კურტანიძის მდგომარეობა მძიმეა

27 ივნისის საღამოს გორის შემოგარენში უგონოდ მყოფი იპოვეს ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ორგზის ჩემპიონი კობა კურტანიძე. იგი ამჟამად თბილისში, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის სარეანიმაციო განყოფილებაშია დიაგნოზით — თავის ქალის ძვლის მოტეხილობა, თავის ტვინის დაჟეჟილობა და სისხლჩაქცევები ტვინში. კურტანიძეს უკვე გაუკეთდა ორი ოპერაცია, ექიმების თქმით, მდგომარეობა კვლავაც მძიმეა.

## 2 ბათუმმა ჯანი შეიმატა

ზღვისპირელთა ახალი მწვრთნელი იტალიელი ჯანი კარნევალეა

## 5 ლეგენდარული გუნდის სათავესთან

„ფიორენტინაში“ ბატისტუტას, რავანელის და მიატოვიჩს კიეზაც შეემატა

## 7 უკაცრავად, რა შეჯიბრებაა?

დღეს 39-ე „კოპა ამერიკა“ იწყება

## 8 აია შარზე იყო

გუნდური ჩხუბი, მსაჯი ნოკაუტში და ჩაშლილი თამაში...

— ჩვიდმეტი წელია რაგბიში ვარ და ასეთ საზიზღრობას არ მოვსწრებივარ... ვინ მოგცათ „აიას“ სახელის შებღალვის უფლება — „აიას“ გუნდის უფროსი სოსო დიაკონიძე ქუთაისელ მორაგბეთა უსაქციელობამ აღაშფოთა

## სამი მედალი რიგიდან

რიგაში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე დავით ოთიაშვილმა (97 კგ) ვიცე-ჩემპიონის წოდება და ვერცხლის მედალი მოიპოვა, ზვიად გვილავამ (54) და მიხეილ ტურაშვილმა (მძიმე) — ბრინჯაოსი.

# ვითა ისევ ჩემპიონია!



ჩემპიონობის სიხარულს ნაჩვევმა „ვითამ“ წლეულსაც თავისი გაიტანა



„აზოტმა“ „ვითასთან“ ომს ვეღარ გაუძლო

რაც გინდათ, ის თქვით, გნებავთ, ისე, გნებავთ, ასე, ამ ცოტა ხნის წინ ძნელად სარწმუნო კი უკვე ფაქტია: ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონმა თბილისის „ვითამ“ გუშინ მეშვიდედ უწია მწვერვალს. კიდევ ერთხელ, ზედიზედ მეშვიდედ გაჩემპიონდა „ვითა“, ქართულ კალათბურთში ბატონობა, სულ ცოტა, ერთი წლით გაიხანგრძლივა და რუსთავის „აზოტს“ საჩემპიონო ოცნება წლეულსაც ოცნებად დაუტოვა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# გერმანიამ ხორვატია დაითხოვა

EURO BASKET 99 FRANCE

გუშინ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ეტაპი დასრულდა. ხორვატიამ გერმანიასთან 85:102 მარცხით მეტოქეს მეოთხედფინალის საგზური დაუთმო. სლოვენიამ ვერ მოუგო საფრანგეთს და ჩემპიონატს დაემშვიდობა. ამ ორს დაემგზავრნენ ისრაელი და ჩეხეთი. მეოთხედფინალში კი, 1 ივლისს, პარიზში ერთმანეთს შეხვდებიან:

**იუგოსლავია — გერმანია**
**იტალია — რუსეთი**
**საფრანგეთი — თურქეთი**
**ლიტვა — ესპანეთი**

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




რუსეთი — იუგოსლავია 76:68. დრაგან ტარლაჭმა (მარცხნივ) რუსი სერგეი პანოვი კი წააქცია, მაგრამ რუსეთმა იუგოსლავიას პირველი მარცხი აგემა

# ბათუმს ჯანი შეემატა

## ესეც მეორე უცხოელი: ჭეიშვილი იტალიელმა შეცვალა

ჯანი კარნავალე — ეს იტალიელი კაცი ამ უქმეებზე „ბათუმის" მწვრთნელად დაინიშნა.

მასზე ბევრი ვერაფერი შევიტყვეთ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, მწვრთნელის თანამემამულე მარკო კალისტარლემაც მხოლოდ ის გვითხრა, რომ კარნავალე ბათუმში ჩასვლამდე ერთ-ერთ იტალიურ გუნდს წვრთნიდა და „ნაპოლისა" და „რომას" წარსულში ცნობილი თავდამსხმელის, ანდრეა კარნავალეს ბიძაშვილი ყოფილა. აი, სულ ესაა, რაც „ბათუმელთა" ახალ თავკაცზე გავიგეთ, რომელიც გუშინ საღამოს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ასლან აბაშიძეს უნდა შეხვედროდა და მასთან სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

კარნავალეს ბათუმში თურმე ერთი თვისტომი მენეჯერიც ჩაჰყოლია. რატომ? ინფორმაცია არც ამის თაობაზე გვაქვს.

რაც შეეხება „ბათუმის" ყოფილ თავკაც შოთა ჭეიშვილს, მას კარნავალეს თანაშემწეობაზე უარი უთქვამს და გუნდი დაუტოვებია. იგი რამდენიმე ქართულ კლუბს თავისთან უკვე მიუწვევია, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არავისთვის მიუცია.

ერთი სიტყვით, როგორც იქნა, გადაწყდა და აწი სავარაუდოდ კი არა, ნამდვილად, „ბათუმის" მწვრთნელი იტალიელი იქნება.

კობა ინასარიძე



ბადრი ქობულაძის ფოტო

მიხეილ ყაველაშვილი

# ყაველაშვილს ლევერკუზენში ელიან

მიხეილ ყაველაშვილმა, რომელიც წინა პარასკევს „გრასჰოპერმა" ლუცერნის მახლობლად დაბა მონურიოსში შეკრებაზე წაიყვანა, კლუბი მიატოვა. ქართველმა კალიების მთავარ მწვრთნელს როჯერ ჰეგს განუცხადა, რომ აღარ სურს კარიერა „გრასჰოპერსში" გააგრძელოს. მიხეილ ყაველაშვილის ჰეგთან საუბრისას არ დაუკონკრეტებია, რომელ ქვეყანაში აპირებს გადაბარგებას. „გრასჰოპერის" თავკაცმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ თუ ფეხბურთელი შვეიცარიაში დაბრუნდა, იგი მხოლოდ „გრასჰოპერის" შემადგენლობაში ითამაშებს.

მოვლენების ასეთი განვითარება რომ ყველაზე ნაკლებსავარაუდოა, ეს თავად შვეიცარიელებმაც კარგად უწყიან. გუშინ ინტერნეტში „გრასჰოპერის" ოფიციალური საიტიდან უკვე ამოიღეს ყაველაშვილის გვერდი.

ჩვენდა სასიხარულოდ, ყველაზე რეალურია, რომ ყაველაშვილი ლევერკუზენის „ბაიერის" შემადგენლობაში ჩაირიცხოს. ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონის ქართველით დაინტერესება გუშინ ერთბაშად სამმა ავტორიტეტულმა უცხოურმა სააგენტომ დაადასტურა.

თავად ლევერკუზენელთა სატრანსფერო პოლიტიკაც ბევრისმთქმელია. „ბაიერმა" შარშანდელი თავდასხმის ხაზიდან (კირსტენი, მეიერი, რინკი, რიხენბერგერი) უკვე დააყენა ტრანსფერზე ჰოლანდიელი მეიერი და ბრაზილიელი რინკი. მათი წაყვანა შესაბამისად „ლივერპულსა" და ბერლინის „ჰერტას" სურთ.

იმ ფეხბურთელთა სიაში კი, რომლებთანაც გუშინდელი მონაცემებით „ბაიერი" აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს არის ორი მცველი — „ბოხუმელი" შინდლაულორზი და დიუსელდორფის „ფორტუნას" ავსტარლიელი ლეგიონერი ჯურიჩი; ერთი ნახევარმცველი — ფრანკფურტის „აინტრახტის" 28 წლის ფეხბურთელი შნაიდერი და ორი თავდამსხმელი — გრასჰოპერსელიჭ მიხეილ ყაველაშვილი და როსტოკის „ჰანზას" ფორვარდი ოლივერ ნოიველი, რომელმა გასულ სეზონში 14 გოლი გაიტანა.

სიმონ მენაბდე

---

თბილისი
27 ივნისი
18.30 საათი
ეროვნული
3000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 1:1 ქიაფაზი**

0:1 რზაევი (57), 1:1 წიტაიშვილი (74)

**დინამო:** ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, დიდავა, ვ. გიგიაძე, ა. სახვაძე, სიჭინავა (კიკნაძე 62), გოგიჩაიშვილი (პ. ჯინჭარაძე 62), გუჩუა (შაშიაშვილი 46), აშვეთია, ხომერიკი (წიტაიშვილი 62)

*სათადარიგონი:* ლომაია; თ. კობიაშვილი

**ქიაფაზი:** მაგომედოვი, ვ. ველიევი (პარვაროვი 69), მამედოვი, კულიევი, შახმიაროვი, კერძევაძე (სულეიმანოვი 69), გურბანოვი (ვალიევი 67), რზაევი (შუქუროვი 75), ჯაბაროვი, ახმედოვი, სადიხოვი (ჰასანოვი 40)

*სათადარიგონი:* ჰუსეინოვი; ზ. ველიევი, ალახვერდიევი

**გაფრთხილება:** გიგიაძე (16), ხიზანიშვილი (25), ჯაბაროვი (33), შახმიაროვი (55)

**მსაჯები:** ს. კახიანი; მ. ლომსაძე, გ. მარლიშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ყველა საქართველო)

**სფფ-ს ინსპექტორი:** გ. ისიანი

ვანო ოქროპირიძე

# ლიგამდე ჯერ შორია

მართლაც უცნაური კაცია ეს იოჰან ბოსკამპი. როდის რას მოიმოქმედებს, ვერ გაიგებ. 23 ივნისს, როცა „დინამო" ამხანაგურად სომხეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ „ერევანს" დაუპირისპირდა, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე თავისი ადგილი თანაშემწეებს — გია გეგუჩაძესა და ოთარ კორღალიძეს დაუთმო, თავად კი კიდევ ერთ თანაშემწე ფრანსუა დე იონგთან ერთად განცალკევებით, აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე მოკალათდა და ახალწვეულთა შესაძლებლობებიც იქიდან შეაფასა. კვირას ბოსკამპი სხვაგვარად მოიქცა. აზერბაიჯანის ჩემპიონ განჯის „ქიაფაზთან" საკონტროლო მატჩში თავად დამოძღვრა წამყვანი ფეხბურთელები. არადა, ბევრი, წინა ამხანაგური თამაშის მსგავსად, კვლავაც ახალწვეულების გამოცდას ელოდა, მით უმეტეს, „დინამოში" მათი უკმარისობა ნამდვილად არ იგრძნობა.

„ქიაფაზთან" „დინამოს" ძირითადთაგან რატი ალექსიძე და დავით ჭიჭვეიშვილი აკლდა. მათი არყოფნა თავად ბოსკამპმა გადაწყვიტა. სხვა მხრივ, მასპინძლები სრული შემადგენლობით და საბრძოლო განწყობით წარუდგნენ აზერბაიჯანელებს.

მართალია, სულ ათი დღეა, რაც „დინამო" ვარჯიშს შეუდგა, მაგრამ მისი ხილვა მაინც დიდ ინტერესს იწვევდა. თამამად შეიძლება ითქვას, ძველ და ახლანდელ „დინამოს" შორის დიდი განსხვავება ჯერჯერობით არ არის, თუმცა იმედია, ივლისის ბოლოსთვის, როცა ჩვენს ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩები ელის, საქმე სხვაგვარად იქნება. ყველაზე დიდი ცვლილება, რაც „ქიაფაზთან" მატჩში „დინამოში" შეინიშნებოდა ის იყო, რაც წესით არ უნდა ყოფილიყო. პროფესიონალი ფეხბურთელი რომ ნებისმიერ შეხვედრაში ბოლომდე უნდა იბრძოდეს და იხარჯებოდეს, მგონი, უდავოა. ჩვენს შემთხვევაში კი ასე არ გახლდათ. ბოსკამპის მოსვლის შემდეგ ნაკრებიც და „დინამოც" ბევრად უფრო მებრძოლი გახდა. ეს ეროვნული გუნდის საბერძნეთთან და „დინამოს" „ქიაფაზთან" მატჩებმაც ნათლად დაგვანახა.



ბადრი ქობულაძის ფოტო

კობა წიტაიშვილს მაგომედოვის კარში გოლი გააქვს

კვირას თბილისელთა თამაშში კიდევ ერთი სიახლე ვიხილეთ — მცველების ერთ ხაზზე დგომა. ბოსკამპმა ჩამოსვლისთანავე განაცხადა, ხაზზე თამაში ბევრად უფრო მომგებიანიაო, თუმცა ლიბეროობას შეჩვეულ ქართველ ფეხბურთელებს ამ სიახლესთან შეგუება აშკარად უჭირთ. სწორედ ამის ბრალი გახლდათ, რომ მცველები ხშირად ცდებოდნენ, შედეგად განჯელები (უმეტესწილად მათი ქართველი ლეგიონერი როინ კერძევაძე) რამდენჯერმე მეკარესთან პირისპირაც დარჩნენ, თუმცა თანამსაჯებმა ერთის გარდა ყველა შეტევა ჩაშალეს (თამაშგარე დააფიქსირეს). იმ ერთხელ კი რზაევი მცველზე აშკარად უკან იდგა და ლომსაძემაც თამაში არ შეაჩერა. სწორედ მაშინ გაიხსნა ანგარიში. ეს 57-ე წუთზე მოხდა. მანამდე კი...

მასპინძლები თავიდან ისე ეკვეთნენ მეტოქეს, სტადიონზე მისულმა გულშემატკივრებმა უმალ იმის წინასწარმეტყველება დაიწყეს, რამდენ ბურთს გაუტანდა „დინამო" მეტოქეს. ყველაზე პესიმისტი ქომაგიც ვერ იფიქრებდა, თუ თბილისელები ერთ გოლზე მეტს ვერ შეაგდებდნენ. დებიუტშივე გუნდში კიდევ ერთხელ დაბრუნებული კახა გოგიჩაიშვილის კარგად დარტყმული მაგომედოვმა თავგანწირული ნახტომით კუთხურზე გადააგდო, მალე ხიზანეიშვილის გრძელი პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვასო გიგიაძემ ვერ მოახერხა კარში დარტყმა. პირველი 15 წუთი ისე მიილია, სტუმრებმა ჩვენს ნახევარზე ხეირიანად გადმოსვლა ვერც შეძლეს. ამის მიზეზი მკაცრი პრესინგი იყო. დინამოელები სტუმართა საჯარიმოსთან დაკარგავდნენ თუ არა ბურთს, მეტოქეს იქვე „ახრჩობდნენ" და შეტევების წამოწყების საშუალებას არ აძლევდნენ. თუმცა პირველი ტაიმის შუაგულიდან მდგომარეობა შეიცვალა, მასპინძლებმა ყურადღება ოდნავ მოადუნეს, „ქიაფაზმაც" ისარგებლა ამით და მდგომარეობა გამოისწორა, ტაიმის ბოლოსკენ კი თბილისელთა საჯარიმოსაც გაუშინაურდა. სტუმრებმა პირველ ნახევარში რეალური მომენტის შექმნა მხოლოდ ერთხელ შეძლეს — სადიხოვის კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი ახმედოვმა ხუთიოდე მეტრიდან გადააცილა მიზანს. მანამდე „დინამოს" კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ თენგიზ სიჭინავას ძარტყმულებს მაგომედოვი გადაელობა.

მეორე ტაიმი „დინამომ" ძალიან ინერტულად დაიწყო. მისი ბრძოლისუნარიანობა თითქოს სადღაც გაქრა, ფეხბურთელებს მოძრაობაც კი უჭირდათ. სწორედ მაშინ გაიტანა გოლი რზაევმა. ბოსკამპმა შეცვლის აუცილებლობა იგრძნო და მინდორზე ერთბაშად სამი ახალი ფეხბურთელი შეიყვანა. კიკნაძის, ჯინჭარაძისა და წიტაიშვილის გამოჩენამ მასპინძლები გამოაცოცხლა. 66-ე წუთზე კიკნაძემ გაიტანა კიდეც, თუმცა მსაჯმა თამაშგარეს გამო გოლი არ ჩათვალა, მალე კიკნაძემ კარგი პასით აშვეთია მეკარეს შეატოვა, მაგრამ თავდამსხმელს დარტყმა გაუცუდდა. 74-ე წუთზე ისევ კიკნაძემ ივარგა — კობა წიტაიშვილს საჯარიმოში ჩინებული პასი გაუჭრა, კობამაც ვარდნაში შეუჩერებლივ და ზუსტად დაარტყა — 1:1. მატჩის მიწურულს დინამოელთაგან ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ვასო გიგიაძეს ორჯერ რეალური მომენტიც მიეცა, მაგრამ ჯერ კულიევმა გამოიტანა ბურთი ცარიელი კარიდან, მერე კი მაგომედოვმა იმარჯვა. ამ მომენტებს შორის კი სულეიმანოვმა შეაზანზარა შორიდან მასპინძელთა კარის ხარიხა.

„დინამომ" ზედიზედ მეორე საწვრთნელ-ამხანაგური შეხვედრა ვერ მოიგო, არადა, მეტოქეები ორჯერვე ისეთი ჰყავდა, ჩემპიონთა ლიგაში გასვლისთვის მებრძოლი გუნდი ნახევარი ძალით რომ უნდა უგებდეს. ისე, ცნობისთვის: ლატვიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე თითქმის ვერც ერთი საკონტროლო მატჩი ვერ მოიგო, შესარჩევში რასაც სჩადის, თავადაც მოგეხსენებათ. ღმერთმა ქნას, „დინამომაც" ისეთივე წარმატებით ითამაშოს, მაშინ ჩემპიონთა ლიგაც აღარ დაგვრჩება მიუღწეველ ოცნებად.

ვანო ოქროპირიძე

# ციურიხი ჯამარაულს თურქული ტყვეობიდან დაიხსნის

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული შვეიცარიულ „ციურიხში" სათამაშოდ იქნებ კიდევ სამ სეზონს დარჩეს.

ალბათ იცით, რომ ჯამარაული ჯერაც თურქეთის „ტრაბზონსპორის" საკუთრებაა და აქამდე იგი შვეიცარიელებს ნათხოვარი ჰყავდათ.

გასული ჩემპიონატის რამდენიმე მატჩისას ჩვენებურმა „ციურიხის" მწვრთნელ-უფროსებს იმდენად მოაწონა თავი, რომ სავსებით რეალურია, მან „ტრაბზონთან" საბოლოოდ გაწყვიტოს ურთიერთობა. „ციურიხი" ჯამარაულის ყიდვას აპირებს. რა გამოვა აქედან, უახლოეს მომავალში გავიგებთ. თავად გოჩამ გუშინ გვითხრა, „ციურიხთან", ალბათ, სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ, ეს კლუბსაც სურს და არც მე ვარ წინააღმდეგი, აქაურობას კარგად შევეგუეო.

კობა ინასარიძე

# ფოცხვერიამ გოლოს აიშვა

უკრაინის ჩემპიონატი ქართველმა თავდამსხმელმა დუბლით დაასრულა. მიხეილ ფოცხვერიამ ბრწყინვალედ ითამაშა „დნეპრისა" და დონეცკის „მეტალურგის" შეხვედრაში. მისი გამჩერებელი იმ დღეს მოედანზე არავინ იყო. საბოლოოდ „დნეპრმა" 5:1 გაიმარჯვა, ფოცხვერიამ კი ორი გოლი გაიტანა.

მოულოდნელი არ ყოფილა კიევის „დინამოს" მარცხი ლვოვში „კარპატთან" — 1:2. კიეველები დასავლეთ უკრაინას მეორე შემადგენლობით ესტუმრნენ (არ იყო კალაძეც).

კალაძემ ზედიზედ მეორედ მოიგო უკრაინის ჩემპინატი და თასი. დანარჩენი ქართველების კლუბთაგან ყველაზე უკეთ ვიტალი დარასელიას ცსკა გამოვიდა. კიევის მეორე გუნდმა 43 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა. ყველაზე უარესი სეზონი ჰქონდათ ფოცხვერიას „დნეპრს" (მე-12 ადგილი) და კაპანაძეების, დგებუაძის, კაიდარაშვილის და გვიანიძის „ნივას" (13).

ჩემპიონატის ბომბარდირი 18 გოლით გახდა ანდრეი შევჩენკო. „ნივის" ქართველმა თავდამსხმელმა ავთანდილ კაპანაძემ 10 გოლით მე-6-8 ადგილები გაიყო.

სიმონ მენაბდე

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპი

# სადღაა ნამუსი?!

ფოთი
26 ივნისი
18 საათი
ფაზისი
4 500 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 0:4 ცემენტარნიცა**

პირველი მატჩი 2:4

0:1 რისტოვსკი (21), 0:2 ე. გვასალია (32ს.კ.), 0:3 სერაფიმოვსკი (36), 0:4 ლაზარევსკი (53)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია (გიორგაძე 46), ტორჩინავა, შალამბერიძე, ჩადუნელი, ღლანიძე, ჩომახიძე (ტრაპაიძე 35), ე. გვასალია, ხუჭუა, დარასელია, ჯულელი (შავგულიძე 69)
*სათადარიგონი:* ჩემია; ანჯაფარიძე, ამაშუკელი
ცემენტარნიცა: ზეკირი, ვასოვსკი (ცვეტკოვსკი 46), ხრისტოვსკი, დიმიტროვსკი, ბ. მილევსკი, სტეფანოვსკი, რისტოვსკი, ლაზარევსკი, სავოვი (ვუიოვიჩი 73), იაკიმოვსკი (ტრპკოვსკი 79), სერაფიმოვსკი
*სათადარიგონი:* დიმოვი; ანჩევსკი, ფრანგოვსკი, ი. მილევსკი
გაფრთხილება: გოროზია (15), ცვეტკოვსკი (50), შალამბერიძე (55), ტრპკოვსკი (86)
მსაჯები: კ. ვიდლაკი; მ. ონდო, მ. ტვლინგერი (სამივე ჩეხეთი); გ. ასკაროლლი (საქართველო)
უეფა-ს დელეგატი: რ. ლიჩკა (სლოვაკეთი)



ტონი იაკიმოვსკი (№10) გოჩა ტრაპაიძეს აჩერებს

**იუზა კაციტაძე ფოთიდან**

ჩვენი ფეხბურთის გადამკიდე ყველაფერს ეჩვევი კაცი, მართლა არაფერი გიკვირს. აგებს ნაკრები? ახალი ამბავი... თავს გვჭრიან კლუბები? მერე რა, კარგა ხანია ყველა გვიგებს.

ჰო, ამ ბოლო დროს, ხშირად ვაგებთ. ვაგებთ მწარედ, სამარცხვინოდ. ჩვენი კლუბები ევროტურნირებში ოლიმპიური დევიზის „მთავარია მონაწილეობა" დამკანონებლებად გვევლინებიან და ასევე ოლიმპიური სიმშვიდით უტეხენ სახელს მდიდარი ტრადიციების ქართულ ფეხბურთს და, თუ გნებავთ, უფრო მეტიც, ქვეყანას...

ფოთის „კოლხეთის" წინა უეფაზე გამოსვლის ამბავი კარგად უწყით. შავი დღე აყარა ჩვენებურთ „ცრვენა ზვეზდამ". იქაც და აქაც იუგებმა პირწმინდად აჯობეს კოლხებს. აჯობეს და, ჯანდაბას, ბოლოს და ბოლოს ეს „ცრვენა" იყო, არც თუ დიდი ხნის წინ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ჩემპიონი.

ახლა ისიც გავიხსენოთ, რა მოხდა „კოლხეთში" მას შემდეგ. გუნდის მთავარ მწვრთნელს სოსო ფილიას ნახევარი წელიწადა აცალეს და მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში მესამე ადგილზე გაყვანილი გუნდი შუაგზაში მიატოვებინეს. ფილია, მოგეხსენებათ, გია ტყებუჩავამ შეცვალა, რასაც „კოლხეთში" ძირეული ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა (გუნდის ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტება, გაახალგაზრდავება და ა.შ.), ყოველ შემთხვევაში, ფოთში ამაზე ბევრს საუბრობდნენ. მაგრამ გავიდა დრო და ტყებუჩავას ხელში ბევრიც არაფერი შეცვლილა, ეგ იყო, ახალმა მწვრთნელმა ძველის მიერ შერისხული ვეტერანები დააბრუნა გუნდში და რამდენიმე ახალი მოთამაშეც მიიწვია. მეორე წრეში „კოლხეთი" ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა, საბოლოოდ მეოთხე ადგილზე დარჩა და ინტერტოტოზე თამაშის უფლებაც აქედან ერგო.

ერგო და ფოთელები გახარებულნიც დარჩნენ პირველი ეტაპის წილისყრით, რომელმაც მათ მეტოქედ ერთობ უავტორიტეტო საფეხბურთო მაკედონიის, თანაც ამ ქვეყნისათვის საშუალო დონის გუნდი არგუნა. „ცემენტარნიცას" არსებობის შესახებ ბევრმა მხოლოდ ახლა თუ შეიტყო.



ჟარკო სერაფიმოვსკი

ფოთელებს იმითაც გაუმართლა, რომ პირველი შეხვედრა სკოპიეში ჰქონდათ. „კოლხეთმა" სტუმრად 2:4 კი წააგო, მაგრამ თუ გუნდის ხელმძღვანელობას დავუჯერებთ, მეტოქეს თამაშით აჯობა და საპასუხო შეხვედრისათვის ოპტიმისტური განწყობილება შეინარჩუნა.

აქ საპასუხო თამაშის წინდღით გია ტყებუჩავას ნათქვამსაც შეგახსენებთ:

— წინა მატჩიდან სასარგებლო დასკვნები გამოვიტანეთ.. სკოპიეში დაშვებული შეცდომების გამეორებას აღარ ვაპირებთ.. ბიჭების იმედი მაქვს. ვფიქრობთ, „ცემენტარნიცას" ბარიერს დავძლევთ.

ეჰ, ნეტამც...

„ცემენტარნიცას" ბარიერის დაძლევაო?! არ ვიცი, როგორ გაუსწორებენ თვალს „კოლხეთის" მწვრთნელები და ფეხბურთელები გუნდის მრავალრიცხოვან ქომაგთ.

არა, ეს კოშმარი იყო, ნამდვილი კოშმარი (ქართველებისათვის, რა თქმა უნდა). ჯანდაბას „ცრვენა", მაგრამ „ცემენტარნიცაც" თუ ასე გაგვიბითურებდა კოლხებს...

არა, ბიჭებო, ნუ გეწყინებათ. ნაადრევი ყოფილა თქვენთვის ევროპა. მანამდე ევროტურნირებში ცხრიდან რვა თამაში წაგეგოთ და შაბათს „ფაზისზე" საიუბილეო მატჩში ერთხელაც შერცხვით და შეგვარცხვინეთ.

თამაში წუთის დაწყებული იყო, რომ მასპინძლები აშკარად გადაურჩნენ გოლს. რისტოვსკიმ აუტიდან ბურთი ლაზარევსკის მიაწოდა, მანაც უმალ „კედელი" გაუთამაშა სავოვს და, ფაქტობრივად, მამუკა გვასალიასთან პირისპირ აღმოჩნდა. სტუმართაგან ყველაზე ტანმაღალმა მოთამაშემ ათიოდე მეტრიდან დაარტყა, მაგრამ არცთუ ძლიერად და მეკარესაც აღარ გასჭირვებია მოგერიება. გავიდა ორი წუთი და უკვე სტუმართა კარს შეექმნა საფრთხე. დარასელიამ მარჯვენიდან ჯარიმა დაარტყა „ცემენტარნიცას" სამეკარეოსკენ, მაკედონიელი მცველები ამაოდ ეცადნენ მოგერიებას, ზეკირიც ნაადრევად გამოვიდა წინ, ბურთმა ჯულელამდე მიაღწია, მაგრამ რად გინდა, ყველას რომ ეგონა თაურს შეაგებებს და ცარიელ კარში გაგზავნისო, მაშინ ვერ ივარგა. ჯულელს ბურთი თავზე მხოლოდ მოხვდა, ხრისტოვსკიმ კი მოიგერია.

სადებიუტო მღელვარებას სტუმართა დინჯი და გასაკვირად გამართული თამაში მოჰყვა. „ცემენტარნიცა" ჯერ მოედნის ცენტრს დაეუფლა, მერე კი მიზანსწრაფულად შეუტია. ფლანგებიდან სერაფიმოვსკი და რისტოვსკი მიდიოდნენ იერიშზე, ხოლო მასპინძელთა საჯარიმოში მეტწილად სავოვი და ლაზარევსკი აქტიურობდნენ. გაუჭირდა კოლხთა დაცვას. მე-18 წუთზე ტორჩინავას ბურთზე ფეხი აუცდა, რისტოვსკი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ კარში დარტყმა ვერ მოახერხა. მანამდე ვერცხლისწყალივით მოძრავი სერაფიმოვსკი გაიჭრა მარცხენა ფლანგზე და გოროზიამ გაფრთხილების ფასად ჩაშალა მაკედონიელთა სწრაფი შეტევა. მაგრამ ცოტაც და სამართალმა პური ჭამა. სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. იმავე სერაფიმოვსკიმ მარცხნიდან ზუსტი გადაცემა გაუკეთა კარის სიახლოვეს მყოფ პარტნიორს, კოლხი მცველები დაიბნენ და რისტოვსკიმ მიზანს არ ააცილა.

გატანილმა მაკედონიელებზე დოპინგივით იმოქმედა. სტუმრებმა კიდევ უფრო გააძლიერეს დაწოლა. 24-ე წუთზე სავოვ — რისტოვსკის გამოლაშქრება კინაღამ მეორე გოლით დასრულდა. მერე იყო და ნირწამხდარ მასპინძელებსაც მიეცათ შანსი, თუ ამას შანსი ჰქვია. ღლანიძემ 25 მეტრიდან დაარტყა საჯარიმო, იმდენად სახიფათოდ, რომ მეკარემ ძლივს მოიგერია. სულ ეს იყო. მასპინძელთა უსუსურობამ უფრო მეტად იჩინა თავი. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს კოლხებს სულაც დაავიწყდათ, რისთვის იყვნენ გასულნი მოედანზე. სტუმრები კი, მოგეცათ ლხენა, დანავარდობდნენ მეტოქის ნახევარზე. სერაფიმოვსკის გამჩერებელი ხომ არავინ შეიქნა. სწორედ მისი კარის გასწვრივ დარტყმულის შემდეგ მცველთა დასახმარებლად საკუთარ საჯარიმოში ჩასულმა ელდარ გვასალიამ მკერდით სცადა ბურთის მოგერიება (თუ შეჩერება) და... ავტოგოლი გამოუვიდა. მეორეს ოთხ წუთში მესამეც მოჰყვა. რა ლამაზი! სერაფიმოვსკიმ დაახლოებით 20 მეტრიდან შეასრულა საჯარიმო და კოხტად ჩასვა კარში, თუმც დარტყმისას ბურთი ოდნავ შეეხო „კედელში" ჩამდგარ ერთ-ერთ მცველს.

შესვენებამდე „ცემენტარნიცას" ანგარიშის გაოთხებაც და გახუთებაც შეეძლო. ჯერ სავოვმა, ხოლო შემდეგ რისტოვსკიმ ლამის ასპროცენტიანი შანსით ვერ ისარგებლეს.

მატჩის ბედი გადაწყვეტილი კი იყო, მაგრამ მეორე ტაიმში იმის იმედად ვიყავით, რომ „კოლხეთი" რაღაცას მაინც მოიმოქმედებდა (ბოლოს და ბოლოს ვინ არის „ცემენტარნიცა"), მაგრამ, გაგიგონიათ. კარგი ჰქნა გულშემატკივართა ნაწილმა, სტადიონს რომ განერიდა. სანახავი არაფერი იყო. სტუმრები ახლაც ორი თავით სჯობდნენ მეტოქეს. რისტოვსკის გადაცემით ლაზარევსკიმ მეოთხე გაიტანა. მე-60 წუთზე მასვე „დუბლის" გაკეთება შეეძლო. მერე „ცემენტარნიცამ" ბურთი „დაიჭირა" და ასე ნელ-ნელა თამაშის დროც მიილია. ბოლო წუთი იყო, ელდარ გვასალიამ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, მაგრამ სტუმართა მეკარემ ჯემალ ზეკირმა „პრესტიჟის" გოლიც არ დაანება.

ფოთელმა გულშემატკივარმა ტაშით გააცილა გამარჯვებული სტუმრები. ეს მერამდენედ...

## მატჩის შემდეგ

*ალექსო მაცკოვი, „ცემენტარნიცას"* მთავარი მწვრთნელი:

— საპასუხო შეხვედრის წინ რა გეგმაც ავირჩიეთ, ზუსტად ისე ვითამაშეთ. ჩვენმა ტაქტიკამ გაამართლა. არავის გამოყოფა არ მინდა, როგორც საჭირო იყო, ყველა ისე გაისარჯა და გავიმარჯვეთ. სკოპიეში ევროტურნირებზე ჩვენი დებიუტი იყო, ბიჭები ღელავდნენ, ჩქარობდნენ, ძალიან უნდოდათ მოგება. ამის გამო თამაშის დროს ბევრი რამ არ გამოგვდიოდა. სტუმრად უფრო დინჯად ვითამაშეთ. „კოლხეთი" სკოპიეში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. ჩვენი დაცვის შეცდომებს ორი გოლი მოჰყვა. ნამდვილად არ მოველოდი მასპინძელთაგან ასეთ სუსტ თამაშს.

„ცემენტარნიცა" თითქმის თანაბარი ძალის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. მაკედონიის ეროვნული ნაკრების კანდიდატია მეხუთე ნომერი (ბლაგოიე მილევსკი), ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობენ ნომერი ორი (დეიან დიმიტროვსკი) და ნომერი სამი (გორან ხრისტოვსკი).

*ჟარკო სერაფიმოვსკი, „ცემენტარნიცას"* მარცხენა ნახევარმცველი:

— *მეორე ეტაპზე რუსულ „როსტსელმაშს" დაუპირისპირდებით. იცით რაიმე ამ გუნდის შესახებ?*

— არაფერი.

— *საქართველოში ვითამაშიათ.*

— კი, ოთხი წლის წინ ბათუმში „ვარდარის" შემადგენლობაში ვიყავი. გოლიც გავიტანე.

— *მაშინ „ვარდარის" მეტოქე „სამტრედია" იყო. ახლა ხომ არავინ გეცნოთ იმ გუნდიდან?*

— სკოპიეში სასტუმროში უცხოელებს ვაკვირდებოდი. მაშინ ჩემს მეგობარს ვუთხარი, ერთი კაცი მეცნობა-მეთქი, მაგრამ ვერ გავიხსენე კონკრეტულად სად მყავდა ნანახი. თქვენი მეოცე ნომერი (გიორგი დარასელია) არ აღმოჩნდა!

— *„ცემენტარნიცაში" თამაში გაკმაყოფილებთ?*

— ამ გუნდთან კონტრაქტით არ ვარ დაკავებული, ამიტომ თუ ღირებული წინადადება მივიღე, მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი იქნება აქ დავრჩები თუ არა.

*გია ტყებუჩავა, „კოლხეთი-1913"-ის* მთავარი მწვრთნელი:

— პირველი თამაში ბევრად უკეთესი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 2:4 წავაგეთ. ვინც ის თამაში ნახა, დაგვეთანხმება, ის მარცხი ისევ დაცვის შეცდომებმა განაპირობა. ფოთში ტაქტიკა ცოტა შევცვალეთ. ელდარ გვასალია მარცხნივ გადმოვიყვანეთ. იგი, რომ იტყვიან, უფრო შემტევი სტილისაა. ტრაპაიძე კი, სწრაფია და ყველაფერი, მაგრამ ჩვენ ის გავითვალისწინეთ, რომ, როცა ის (ტრაპაიძე) გადის ფლანგზე უცებ მაღალ გადაცემებს აკეთებს. ჩვენ დღეს ეს არ გვაწყობდა, გვასალიას ფეხში უნდა ჰქონოდა ბურთი და ბურთთან ერთად უნდა ემოძრავა. თავად ნახეთ, ჩვენი ფეხბურთელებიდან დღეს ვერავის გამოარჩევდი. არადა, ძალიან კარგი განწყობა იყო, გუშინაც და დღესაც მოედანზე გასვლამდე. მერე რა დაემართათ ბიჭებს, არ ვიცი. სკოპიეში ჩვენ წავაგეთ, მაგრამ თამაშით ვაჯობეთ მეტოქეს. ალბათ, იმიტომაც გაჩნდა ზედმეტი თავდაჯერებულობა, ბიჭებმა იფიქრეს, იოლად მოვიგებთო. დღეს ჩვენ ვერ ვითამაშეთ და ამიტომ გამოჩნდა მეტოქე ძლიერი. მეკარეს ვერცერთ გოლში ვერ დავანაშაულებ. ვერც ჯარიმის დროს, ბურთი რიკოშეტით გავიდა. მეკარესთან საპრეტენზიო ის არის, რომ უფრო აქტიური უნდა ყოფილიყო, იმას ვთხოვდი, რომ მცველებისათვის მიეთითა, მისგან კარნახი არ იყო.

— *რამდენად გაამართლა საინტერტოტოოდ გუნდში ახალი ფეხბურთელების დამატებამ?*

— დარასელია და ჯულელი თავიანთ კლუბებში დაბრუნდებიან. რაც შეეხება ჩომახიძეს და ხუჭუას, თუ მოისურვებენ „კოლხეთში" დავიტოვებთ.

— *ამასწინათ კალანდაძე და ქობულაძე დაითხოვეთ. ხომ არ დააბრუნებთ მათ გუნდში?*

— ჯერჯერობით ამაზე საუბარი არ ყოფილა.

— *დაცვა ძალიან მოისუსტებს...*

— მე რომ მოვედი, რვა მოთამაშე წავიდა გუნდიდან. შევსება ველარ მივიღეთ. ისედაც გამოცდილი ბიჭები გვყავს. ერთი და ორი დღე ხომ არ თამაშობენ ერთად. მათ დავეყრდენი.

„კოლხეთი — ცემენტარნიცას" წყვილში გამარჯვებულს გათამაშების შემდგომ ეტაპზე „როსტსელმაშთან" ეძლეოდა საქმე და, რა გასაკვირია, თუ დონისპირელებმა ამ მატჩზე დამკვირვებელი აფრინეს, გუნდის მეორე მწვრთნელი *ივან ლიახი*. ლიახმა კი იფრინა, მაგრამ „ფაზისზე" თამაში რომ მორჩა, მაშინღა გამოჩნდა.

— *რატომ დაიგვიანეთ?*

— ეჰ, მოსკოვიდან ორი საათის დაგვიანებით ავფრინდით. ბათუმიდან ფოთში მალე ჩამოვაღწიე, მაგრამ თამაშს ველარ მოვუსწარი.

— *ნაცნობი გვარისა ხართ...*

— ადრე ვთამაშობდი, ივანოვოს „ტექსტილშჩიკში", ორიოლის „სპარტაკში", „როსტსელმაშში".

— *შინ ხელცარიელი გაბრუნდებით...*

— არა, რატომ. „კოლხეთის" მესვეურებს ვთხოვე და ამ მატჩის ვიდეოჩანაწერს მაინც ჩავიტან როსტოვში.

— *გულახდილად გვითხარით, ვინ გერჩივნათ მეტოქედ, „ცემენტარნიცა" თუ „კოლხეთი"?*

— რა თქმა უნდა, „კოლხეთი". ფოთი უფრო ახლოა როსტოვიდან.

**ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი**
საპასუხო მატჩები — 26-27 ივნისი

*ჟილინა (სლოვაკეთი)* — ჰერფოლგე (დანია) 2:0 (2:0)
1:0 ზატკო (43), 2:0 ზიტერი (64)

ტეუტა (ალბანეთი) — *აკრანესი (ისლანდია)* 2:1 (1:5)
0:1 პარდარსონი (40), 1:1, 2:1 ბეგეჯა (59პ,90)

*ვენტსპილსი (ლატვია)* — ვალერენგა (ნორვეგია) 2:0 (0:1)
1:0 ლუკაშევიჩსი (40), 2:0 ვდოვენკო (61)

ტილიგული (მოლდოვა) — *პოლონია (პოლონეთი)* 0:0 (0:4)

*სენტ ტრუიდენი (ბელგია)* — სპარტაკი (ბულგარეთი) 6:0 (2:1)
1:0 ტეპერსი (9), 2:0 ფიერსი (10), 3:0 ვრანკენი (32), 4:0 მაგალაეში (45), 5:0 ფიერსი (46), 6:0 ვენეგელი (69)

*არარატი (სომხეთი)* — ბაკაუ (რუმინეთი) 1:0 (1:0)
1:0 პოვეკინიანი (67)

*ვარტექსი (ხორვატია)* — ლოკომოტივი 96 (ბელარუსი) 2:2 (2:1)
0:1 ცერვხავი (32), 0:2 კანაპილოვი (77), 1:2 მატასი (84), 2:2 საფარიჩი (86)

*ნური თაუნი (ჩრდ. ირლანდია)* — დრაგოვილიაცი (ხორვატია) 2:0 (0:1)
1:0 კესი (16), 2:0 ლარკინი (82)

ბი გოტუ (ფარერები) — *იედინსტვო (ბოსნია)* 1:0 (0:3)
1:0 ელიასისი (77)

*ვაშაში (უნგრეთი)* — უნიონი (ლუქსემბურგი) 4:0 (3:1)
1:0 გალაშერი (10), 2:0 სოვუმნი (60), 3:0 გალაშერი (85პ), 4:0 სოვუმნი (87)

*ყარაბაღი (აზერბაიჯანი)* — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 0:1 (2:1)
0:1 ბანადო (10)

ჰალმსტადი (შვედეთი) — *რუდარი (სლოვენია)* 2:2 (0:0)
1:0 ბერტილსონი (23), 1:1 ვიდოიევიჩი (39), 2:1 კარლსონი (40), 2:2 პოდვინსკი (51)

*ფლორიანა (მალტა)* — ებერსვით თაუნი (უელსი) 2:1 (2:2)
1:0 ბუპაჯარი (17), 2:0 ობა (31), 2:1 მური (38)

ნარვა (ესტონეთი) — *იოკერიტი (ფინეთი)* 1:4 (0:3)
0:1 რეინდერსი (6), 0:2 ლეპტინენი (32), 0:3 კოსკელა (42), 0:4 რეინდერსი (51), 1:4 ლიპარტოვი (78)

*ბაზელი (შვეიცარია)* — კოროტანი (სლოვენია) 6:0 (0:0)
1:0 კროიცერი (9), 2:0, 3:0, 4:0 კარმანპარაკისი (18, 24 42), 5:0 კანტალუპი (58), 6:0 კარმანპარაკისი (77)

ტრენჩინი (სლოვაკეთი) — *პობედა (მაკედონია)* 3:1 პ. 3:4 (1:3)
1:0 პანკო (33), 2:0 ფაბუში (35), 2:1 გლავენსკი (87), 3:1 პორვატოვიჩი (88)

ეპრანასი (ლიტვა) — *ჩაპლაული (რუმინეთი)* 0:1 (0:1)
0:1 ენაკე (37)

*ქსამაქსი (შვეიცარია)* — შელბურნი (ირლანდია) 2:0 (0:0)
1:0 ნდიაი (71), 2:0 პერე (79)

*გომელი (ბელარუსი)* — ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) 1:0 პ. 3:1 (0:1)
1:0 სისოევი (23)

## ინტერტოტოს თასი. მეორე ეტაპი

პირველი მატჩები — 3-4 ივლისი, საპასუხო — 10-11 ივლისი

INTERTOTO CUP

| | | |
|---|---|---|
| პერუჯა (იტალია) | — | პობედა (მაკედონია) |
| არარატი (სომხეთი) | — | სენტ ტრუიდენი (ბელგია) |
| ბაზელი (შვეიცარია) | — | ბობი (ბრნო, ჩეხეთი) |
| ჩაჰლაული (რუმინეთი) | — | იედინსტვო (ბოსნია) |
| ცემენტარნიცა (მაკედონია) | — | როსტსელმაში (რუსეთი) |
| იოკერიტი (ფინეთი) | — | ფლორიანა (მალტა) |
| ყარაბახი (აზერბაიჯანი) | — | მონპელიე (საფრანგეთი) |
| კოპენჰაგენი (დანია) | — | პოლონია (პოლონეთი) |
| ვენტსპილსი (ლატვია) | — | ქოჯაელისფორი (თურქეთი) |
| ჰამარბიუ (შვედეთი) | — | გომელი (ბელარუსი) |
| ლოკერენი (ბელგია) | — | აკრანესი (ისლანდია) |
| ჟილინა (სლოვაკეთი) | — | მეცი (საფრანგეთი) |
| დუისბურგი (გერმანია) | — | ნური თაუნი (ჩრდ. ირლანდია) |
| ქსამაქსი (შვეიცარია) | — | ვაშაში (უნგრეთი) |
| რუდარი (სლოვენია) | — | ლუსტენაუ (ავსტრია) |
| ბრანი (ნორვეგია) | — | ვარტექსი (ხორვატია) |

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცის, გლენ ჰოდლის აგენტის — დენის როაჩის განცხადებით, შესაძლოა მისმა კლიენტმა მომავალ სეზონში ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ნოტინგემ ფორესტი" გაწვრთნას. ნოტინგემელთა პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ, ყველაფერი გლენ ჰოდლის არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ გაირკვევა.

**შოტლანდიური გლაზგოს „სელტიკის" ახლახან დანიშნული ინგლისელი თავკაცი ჯონ ბარნსი მომავალ სეზონში მოთამაშე-მწვრთნელი იქნება. „ჯონმა ეს გადაწყვეტილება თვითონ მიიღო და, ჩემი აზრით, სწორიცაა. ვგონებ, მას კიდევ ძალუძს მოწინააღმდეგე გუნდების მეკარეთა დამწუხრება" — განაცხადა შოტლანდიური კლუბის დირექტორმა კენი დალგლიშმა.**

**ესპანური** „ბარსელონას" ბრაზილიელი ნახევარმცველი ჯოვანი, ალბათ, ამ დღეებში ვიგოს „სელტაში" გადავა. „პრაქტიკულად ყველაფერი მოგვარებულია. „ბარსელონა" ჯოვანაში 1000 მილიონ პესეტას (6,29 მილიონი დოლარი) ითხოვს, ჩვენ კი ამ თანხის გადახდაზე ყაბულს ვართ. ფეხბურთელის გასამრჯელოს დავადგენთ და კონტრაქტს გავაფორმებთ" — განაცხადა „სელტას" წარმომადგენელმა ფელიქს კარნერომ.

**იაპონიის ეროვნულმა ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების შესარჩევ მატჩში ნეპალს უმასპინძლა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა სტუმრები 9:0 გაანადგურეს. იაპონიის ეროვნული გუნდი აზიის შესარჩევ მე-6 ჯგუფს ლიდერობს 15 ქულით, მეორეზე ჰონკონგია 7 ქულით, რომელმაც გასულ შაბათს ფილიპინები დაამარცხა 1:0.**

**ინგლისის** ჩემპიონი და თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი" მომავალ სეზონში, ალბათ, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის გათამაშებაში არ მიიღებს მონაწილეობას. ალექს ფერგიუსონის შეგირდებმა მომავალ იანვარს ბრაზილიაში მსოფლიოს საკლუბო თასზე უნდა იასპარეზონ და მანჩესტერელთა ისედაც გადატვირთული გრაფიკი კიდევ უფრო გადაიტვირთება. არადა, მსოფლიოს საკლუბო თასზე „იუნაიტედის" გამოსვლას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ინგლისში ჩატარებისათვის. „ჩვენ შევთავაზებთ „იუნაიტედს", ინგლისის თასის გათამაშებაში არ მიიღოს მონაწილეობა ერთი სეზონით ეს დასაშვებად მიმაჩნია იმ შემთხვევაში, თუ არგუმენტაცია არსებობს, რაც ახლა, ვგონებ, საკმარისზე მეტია" — განაცხადა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა დევიდ დევისმა.

**სლოვაკეთის ეროვნული ნაკრების მცველი მიროსლავ კარჰანი ტრნავას „სპარტაკიდან" სევილიის „ბეტისში" გადავიდა. კარჰანმა ახალ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

**იუგოსლავიის** თასის ფინალში, რომელიც გასულ კვირას გაიმართა, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" თანაქალაქელი და უკვე იუგოსლავიის ჩემპიონი „პარტიზანი" 4:2 დაამარცხა.

**ესპანურ პრიმერადივიზიონში ცხრა წლის შემდეგ წლეულს აღზევებულმა „მალაგამ" ესპანეთის ეროვნული ნაკრებისა და სანტანდერის „რასინგის" თავდამსხმელი პედრო მუნიტისი შეიძინა. 24 წლის ფეხბურთელში „მალაგამ" თავის არსებობის ისტორიაში სარეკორდო თანხა — 9,4 მილიონი დოლარი გადაიხადა. პედრო მუნიტისი, რომელმაც ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ესპანეთის ნაკრებში გასულ მარტს პირველად გამოიძახეს და მას შემდეგ პირინეელთა ეროვნული გუნდის ღირსება უკვე სამჯერ დაიცვა. „მალაგას" წლევანდელი სატრანსფერო პოლიტიკა მუნიტისის შეძენით არ დამთავრებულა, მათ მადრიდის „რეალის" ოთხი ფეხბურთელის: პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრ ედგარ კარვალოს, სამეფო კლუბის პრეზიდენის ვაჟის ფერნანდო სანსის, აგრეთვე მცველი რობერტო რონარის და მეკარე პედრო კონტრერასის გადაბირება სურთ.**

**ინგლისური** „ევერტონის" ფრანგი მცველი ოლივიე დაკურტი სამშობლოში ბრუნდება, სადაც „ლანსის" ღირსებას დაიცავს. 24 წლის ფეხბურთელში ფრანგულმა კლუბმა 10,3 მილიონი დოლარი გაიღო. „ოლივიეს ჰქონდა არჩევანის გაკეთების საშუალება, მან „ლანსი" არჩია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ის ამ დღეებში ლივერპულს დატოვებს" — განაცხადა „ევერტონის" წარმომადგენელმა მაიკლ დუნფორდმა.

**ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა შაბათს ჩვენს თანაჯგუფელ ლატვიას ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა და 3:0 გაიმარჯვა. გოლები ალექსმა, რობერტო კარლოსმა და რონალდომ გაიტანეს. იმავე დღეს არგენტინამ ლიტვა მიიღო და 0:0 ითამაშა.**

# შვედი შვედთან იტალიაში

**კენეტ ანდერსონი** „ლაციოში" გადავიდა, მისმა ყოფილმა გუნდმა „ბოლონიამ" კი 6 მილიონი დოლარი მიითვალა.

რომაელთა და ბოლონიელთა მოლაპარაკებები ორ კვირაზე მეტს გრძელდებოდა. მოლაპარაკებებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ლაციოს" პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი, რომლის მიზანიც 42 მილიონ დოლარად (პლუს დიეგო სიმეონე) გაყიდული კირსტიან ვიერის შემცვლელის მოძებნა გახლდათ.

სხვათა შორის, კრანიოტიმ „ბოლონიას" შეფებთან საუბარი ჯუზეპე სინიორით დაიწყო, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო (სინიორი ყოფილი ლაციოელია) და შემდეგლა გადაერთო შვედ ანდერსონზე.

იტალიელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ანდერსონი ვიცე-ჩემპიონის მასავით შვედ მწვრთნელს, სვენ გორან ერიკსონს, სიმეონე ინძაგის და მარსელო სალასის სათადარიგოდ სჭირდება.

# ვარშავა მომავლის იმედით

**პოლონურ** ფეხბურთში სიახლეა: გუშინ, ვარშავაში, ფეხბურთის ფედერაციაში გამართულმა არჩევნებმა ახალი პრეზიდენტის სახელი ამცნო საზოგადოებრიობას — მიხალ ლიცკევიჩი.

ლიცკევიჩმა თანამდებობაზე ყბადაღებული მარიან ძიუროვიჩი შეცვალა. მისი გამარჯვება დაგროვილ ხმათა რაოდენობაში ასე გამოიხატა — 99:57.

— ვგრძნობ, რომ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთში სასიკეთო ცვლილებების საშუალება გაჩნდა — განაცხადა პოლონური ფეხბურთის სახელგანთქმულმა ვარსკვლავმა, 1985 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა, ზბიგნევ ბონეკმა.

მოგეხსენებათ, ბონეკი თავად გახლდათ პრეზიდენტობის კანდიდატი, მაგრამ ბოლოწამს მოხსნა თავისი კანდიდატურა, რათა ძიუროვიჩის მოწინააღმდეგეთა ხმები ორად არ გაეყო.

— ახლა ვნახავთ, როგორ გამოიყენებს ნაბოძებ უპირატესობას ლიცკევიჩი. ვგონებ იგი ბუნებით დემოკრატია და იმავდროულად მტკიცე პიროვნებაც გახლავთ — დასძინა ბონეკმა.

მოგეხსენებათ, ძიუროვიჩი პოლონეთის მთავრობამ, კერძოდ კი სპორტის სამინისტრომ, აითვალწუნა, რადგან მექრთამეობასა და ათასგვარ მაქინაციებში სდებდა ბრალს. მიუხედავად მთავრობის ზეწოლისა პრეზიდენტი თანამდებობას ლონივრად ებღაუჭებოდა და საქმე იქამდეც მიიყვანა, რომ ფიფას მოუხდა კატეგორიული ჩარევა. მსოფლიო ფეხბურთის მმართველებმა მას ახალი არჩევნების დანიშვნა აიძულეს.

პოლონურ ფეხბურთში მყარად ფესვგამდგარი ძიუროვიჩი ვერ თმობდა დიდძალი შემოსავლის სათავესთან ჯდომას. დიდძალ შემოსავალს კი სატელევიზიო ტრანსლაციათა უფლებებით, სატრანსფერო თანხებით და სხვა სახსრებით მანიპულაცია იძლეოდა.

ზემოხსენებული სპორტის სამინისტროს თავკაცი, იაცეკ დემბსკი ძიუროვიჩს კომუნისტების დროიდან შემორჩენილ მმართველს უწოდებდა.

— ვიმედოვნებ, რომ ლიცკევიჩი პოლონურ ფეხბურთში დიდ რეფორმებს ჩაატარებს — განაცხადა დემბსკიმ არჩევნების შემდეგ.

ახლა, როდესაც ახალი პრეზიდენტის ვინაობა ცნობილია და დემოკრატიულ ძალებს გამარჯვების განწყობა დაუფლებიათ, პოლონური, დემოკრატთა მხარდამჭერი პრესა აცხადებს, ყველაფრის მიუხედავად, არც იმის დავიწყება იქნება მართებული, რომ ლიცკევიჩიც წარსულიდან მომავალი კაცია და ძველი დროის შხეფები მასაც მრავლად შესხმიაო.

## უკრაინა

30-ე ტური: კარპატი — დინამო 2:1; ცსკა — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 1:0; მეტალისტი — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:1; დნეპრი — მეტალურგი (დონეცკი) 5:1; ნივა — ნიკოლაიევი 3:1; ვორსკლა — პრიკარპატიე 4:0.

უკრაინის 1998-99 წლების ჩემპიონატის ხანგრძლივობა სარეკორდო გამოდგა. ზამთრის სამთვიანი შესვენების ჩათვლით გათამაშებამ 354 დღე მოიცვა. ბოლო ექვსმა შეხვედრამ საბოლოო ცხრილში ვერაფერი შეცვალა. მარიუპოლის „მეტალურგის" პრინციპულ შეხვედრაში გამარჯვებამ ამ გუნდს პირველად მისცა საშუალება, მეხუთე ადგილზე დამკვიდრებულიყო. თუმცა დამარცხებულ ხარკოვის „მეტალისტსაც" არაფერი აქვს საწუწუნო. ხარკოველებმა დებიუტანტის კვალობაზე ურიგო შედეგი როდი აჩვენეს და მე-8 ჩემპიონატი მეექვსე ადგილით დაამთავრეს.

სეზონის მიწურულს „კრივბასმა" შეძლო მობილიზება და „კარპატის" ბრინჯაოს მედლები არ დაანება. რაც შეეხებათ მეოთხეადგილოსნებს, ლვოველებმა უკრაინის ჩემპიონებთან ბოლო ტურის შეხვედრაში თავისებური რევანში აიღეს. თასის გათამაშების ფინალში კიევის „დინამომ" „კარპატის" მოუგო და თავის მხრივ, ლვოველებმაც იძიეს შური შესუსტებული შემადგენლობით ნასტუმრევ დინამოელებზე.

ვერცხლისმედალოსანი დონეცკის „შახტიორი" კარგა ხანს უნარჩუნებდა გათამაშებას ჩემპიონობისთვის ბრძოლის ინტრიგას. ჩვენებური მიხეილ ფოცხვერიას თანაგუნდელები სერიოზულ კონკურენციასაც უწევდნენ კალაძის „დინამოს", მაგრამ მეორე წრეში სუსტი სტარტის გამო ნელ-ნელა დათმეს პოზიციები. სწორედ იმ მომენტში მოხდა ფოცხვერიას „დნეპრში" განათხოვრება. „შახტიორის" მაშინდელი თავკაცი ალექსეი იარემჩენკო ათვალწუნებით უყურებდა ქართველ თავდამსხმელს და ძირითად შემადგენლობაში არ აყენებდა. კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა მალე იარემჩენკოს თანამდებობა დაატოვებინა და რუს ანატოლი ბიშოვეცს უხმო. ბიშოვეცმა დაკარგული ქულების ანაზღაურება ველარ შეძლო და „შახტიორიც" მეორეობას დასჯერდა.

ფოცხვერიამ ლომის წილი დაიდო დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად. საქართველოს ნაკრებისგან რატომღაც მივიწყებულმა ფორვარდმა ბოლო ტურის შეხვედრაში დუბლის შესრულებითაც შეგვახსენა თავი...

სუსტი ტერნოპოლის „ნივა" ქართველმა ფეხბურთელებმა გადაარჩინეს გავარდნას. ძმებმა კაპანაძეებმა და კომპანიამ ყველაფერი იღონეს, რომ „ნივა" ქვედა ლიგაში არ გადაჩეხილიყო და ამ საქმეში „პრიკარპატიესა" და „ნიკოლაევს" ფართოდ დაუთმეს გზა.

უკრაინის მე-9 ჩემპიონატის სტარტამდე არც ისე შორია. 12 ივლისს გუნდები კვლავ ჩაებმებიან ბრძოლაში. შვიდგზის ჩემპიონი კიევის „დინამო", ალბათ, კახა კალაძეს შეინარჩუნებს. თუ რა ბედი ეწევათ დანარჩენ ქართველ ფეხბურთელებს, ჯერ უცნობია.

**ხვიჩა სანიძიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (დინამო) | 18 |
| გეცკო (კარპატი) | 16 |
| პალიანიცა (კარპატი) | 16 |
| ა. კაპანაძე (ნივა) | 10 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 23 | 5 | 2 | 75:17 | 74 |
| შახტიორი | 30 | 20 | 5 | 5 | 70:25 | 65 |
| კრივბასი | 30 | 16 | 11 | 3 | 43:18 | 59 |
| კარპატი | 30 | 15 | 10 | 5 | 54:34 | 55 |
| მეტალურგი (მ) | 30 | 14 | 6 | 10 | 35:27 | 48 |
| მეტალისტი | 30 | 14 | 5 | 11 | 31:32 | 47 |
| ცსკა | 30 | 11 | 10 | 9 | 37:35 | 43 |
| მეტალურგი (ზ) | 30 | 12 | 6 | 12 | 46:43 | 42 |
| ტავრია | 30 | 10 | 7 | 13 | 33:39 | 37 |
| ვორსკლა | 30 | 10 | 5 | 15 | 36:43 | 35 |
| ზირკა | 30 | 9 | 7 | 14 | 31:40 | 34 |
| დნეპრი | 30 | 9 | 5 | 16 | 2844 | 32 |
| ნივა | 30 | 8 | 7 | 15 | 29:41 | 31 |
| მეტალურგი (დ) | 30 | 7 | 7 | 16 | 27:51 | 28 |
| პრიკარპატიე | 30 | 6 | 6 | 18 | 21:59 | 24 |
| ნიკოლაიევი | 30 | 2 | 6 | 22 | 1867 | 12 |



უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ანდრეი შევჩენკო, რომელიც ფოტოზე მილანელ ფანებს ავტოგრაფს აძლევს, კიევის „დინამოს" პრეზიდენტის გრიგორი სურკისის თქმით, შესაძლოა კიდევ ექვსი თვით კიევში შეყოვნდეს

# ლიპი და ბაჯო დაძმობილდნენ

**რობერტო ბაჯო** სარდინიაზე გატარებული არდადეგების შემდეგ მილანში დაბრუნდა და „ინტერის" ახალ მწვრთნელს, მარჩელო ლიპის, ტელეფონით ესაუბრა. საუბარმა 32 წლის ვარსკვლავი გაახარა. მას და „მაესტროს" საერთო ენა გამოუძებნიათ. ასე რომ, ბაჯო „ინტერთან" განახლებული კონტრაქტის პირობებით კმაყოფილია.

1993 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი სამომავლო გეგმების შესახებ რომში გამომავალ გაზეთს, „კორიერე დელა სერას" ელაპარაკა და უთხრა, რომ მისი მიზანი ეროვნულ ნაკრებში თამაშია, საამისოდ კი ლიპისეული „ინტერი" ზედგამოჭრილ გუნდად მიაჩნია.

ბაჯოს, გაისად, ბელგია — ჰოლანდიაში ევროპის ჩემპიონატზე სურს თამაში, ხოლო იმისთვის, რომ დინო ძოფმა „სკუადრა აძურაში" მიიწვიოს, საჭიროა რომელიმე გუნდის ძირითად შემადგენლობაში წამყვანი ადგილი დაიმკვიდროს. ლიპისთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ ასეთ გუნდად „ინტერი" გამოდგება.

აქამდე ცნობილი იყო, რომ 1995 წელს, როდესაც ლიპი და ბაჯო „იუვენტუსში" იყვნენ და კლუბმა ფეხბურთელი „მილანს" მიჰყიდა, მწვრთნელსა და ვარსკვლავს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა, მაგრამ ახლა ამინდი შეიცვალა: ბაჯო ამბობს, მაშინ ლიპის ჩემი გაყიდვა არ უნდოდა, „იუვენტუსის" ჩინოვნიკებმა აიძულესო.

შეგახსენებთ, რომ ორიოდ კვირის წინ რობერტო ბაჯოს შეძენა საფრანგეთის „მონაკოს" სურდა და ამისთვის 11,5 მილიონი დოლარიც ჰქონდა გამოყოფილი, მაგრამ მერე „პერუჯადან" 23 წლის იაპონელის, ჰიდეტოში ნაკატას შეძენაზე გადაერთო და ბაჯოს ყიდვაზე ხელი აიღო.

## ესპანეთი

### თასის ფინალი

**ატლეტიკო 0:3 ვალენსია**

0:1 კ. ლოპესი (23), 0:2 მენდიეტა (34), 0:3 კ. ლოპესი (81)

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, აგილერა, ხელი (რობერტო 65), სერენა, ჟუნინიო, ლარდინი (სოლარი 46), ვალერონი, ბეიბლი, ხოსე მარი

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, კარბონი (ხუანფრანი 88), როში, მენდიეტა, ანგლომა, ფარინოსი, მიია, კ. ლოპესი (ბიორკლუნდი 87), ილიე, ვლაოვიჩი (ანგულო 62)

გაფრთხილება: შამოტი, სანტი, მარი, კარბონი, ანგლომა

მსაჯი: დიას ვეგა

# ბრწყინვალე ბრწყინვალეზე



სარბიელის არქივიდან

წარმატებული სეზონი „ვალენსიამ“ თასის მოგებით დააგვირგვინა

ერთი კვირის წინ, ჩემპიონატის ბოლო მატჩში „ვალენსიამ“ შინ „მალიორკა“ რომ დაამარცხა, მასპინძელთა იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი გულშემატკივრებს აცრემლებული ემშვიდობებოდა. შაბათს რანიერი უკვე იცინოდა — იგი „ვალენსიას“ გამარჯვებული ტოვებდა.

1979 წლის შემდეგ „ვალენსიამ“ პირველად მოიგო ქვეყნის ორი ტიტულიდან ერთ-ერთი, ხოლო ესპანეთის თასი მეექვსედ ალმართა. კლუბს ჯილდო ქვეყნის მეფემ, ხუან კარლოსმა გადასცა.

საუცხოო ფინალი იყო, სარბიელიც შესანიშნავი გახლდათ და თვალწარმტაცი გოლებიც გავიდა — არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა ისევ ორი გოლი გაიტანა, კლუბის კაპიტანმა გაისკა მენდიეტამ კი... რა გითხრათ, შთამბეჭდავი ბურთი იყო, ენით გამოუთქმელი სილამაზისა.

სევილიის ახალგახსნილი ოლიმპიური სტადიონი, ამასწინანდელი ესპანეთ-ხორვატიის ამხანაგური შეხვედრის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ პირველ მატჩს რომ მასპინძლობდა, უდავოდ შესანიშნავი იყო. ესპანეთის ისედაც კოხტა სტადიონებს კიდევ ერთი თანამედროვე სარბიელი შეემატა. გარკვეულწილად, ალბათ, ამანაც დაამშვენა ფინალი.

პირველი ტაიმის შუაგულში „ვალენსიის“ უპირატესობა გამოიკვეთა და მალე გოლითაც დადასტურდა — კაპიტან მენდიეტას პასის შემდეგ არგენტინელმა ლოპესმა ლამაზი ბურთი შეაგდო. პასი — დარტყმა — გოლი. არც ერთი ზედმეტი წამი, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, უბრალოდ, ბურთისთვის დროულად და სათანადოდ დახვედრებული მარცხენა. გამოცდილი მოლინა არც განძრეულა და რომც გადამხტარიყო, უძლიერეს და უზუსტეს დარტყმას მაინც ვერ გაუმკლავდებოდა.

შიგადაშიგ „ატლეტიკოც“ უტევდა, მაგრამ რადომირ ანტიჩის კლუბს აშკარად ეტყობოდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა. იცით, რატომ? ფეხბურთელებს არ ეტყობოდათ ის შემართება, გამარჯვებისთვის რომაა საჭირო. მერე რა, რომ ფინალში აგებ, მერე რა, რომ მეტოქემ ჩემპიონატში ორჯერ გაჯობა. განა ფინალში სტატისტიკური უპირატესობა წყვეტს რამეს? მებრძოლი სული აკლდათ მადრიდელებს და ამიტომაც იყო, „ვალენსიამ“ ერთი შეხედვით იოლად რომ იმარჯვა. გუნდი გრძნობდა მეტოქის უუნარობას, გრძნობდა, რომ ლოპესის გოლი, რაც დრო გადიოდა, „ატლეტიკოს“ სულ უფრო და უფრო თრგუნავდა.

34-ე წუთზე მოხდა ის, რამაც სევილიის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი ხუთი ათეული ათასი გულშემატკივარი ალაფრთოვანა, რამაც ქვეყნის მეფეს ტაში დააკვრევინა და უკლებლივ ყველა მნახველი უბრალოდ ასიამოვნა — გაისკა მენდიეტამ ულამაზესი გოლი გაიტანა.

სანამ მენდიეტა ამას მოიმოქმედებდა, რუმინელმა ადრიან ილიემ არანაკლებ მშვენიერი და ზუსტი გადაცემა ჩააწოდა მოლინას საჯარიმოში. მერე ბურთი მენდიეტას მიუვიდა, მან კი ჭეშმარიტად ოსტატურად ითამაშა — ბურთი მინდორზე არც დაუშვა, ჰაერში და ორ მეტოქეს შორის შეათამაშა და უძლიერესი დარტყმით მეორედ დალაშქრა „ატლეტიკოს“ კარი.

— ტკბილი სიზმარივითაა — მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, ესპანეთის თასის მოგებამ უდავოდ წარმატებული სეზონი დააგვირგვინა. ამ თასს კლუბის ყველა გულშემატკივარს ვუძღვნი — განაცხადა მენდიეტამ. „ვალენსიას“ შეზრდილმა ბასკმა, რომელიც კლუბში 1992 წლიდან თამაშობს, მწვრთნელის როლზეც თქვა — რომ არა რანიერი, ორ წელიწადში ასეთი პროგრესი გაგვიჭირდებოდაო. ორი წლის წინ კლუბი პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის იბრძოდა.

„ვალენსიამ“ მეტოქე დიდი ანგარშით, 3:0 დაამარცხა. შეხვედრის მიწურულს კლაუდიო ლოპესმა სადღაც ცენტრთან ახლოს გამოსულ ხოსე მოლინას აჯობა და ბურთი კიდევ ერთხელ შეაგდო „ატლეტიკოს“ კარში. მას შემდეგ, რაც 1980 წელს „რეალმა“ 6:1 მოუგო „კასტილიას“, სამი ბურთის სხვაობით თასის ფინალში არავის უმარჯვია.

დამარცხებული „ატლეტიკოს“ მწვრთნელი რადომირ ანტიჩი თურმე წინასწარ გრძნობდა, რომ მისი გუნდი წაგებისთვის იყო განწირული:

— ჩვენ ფინალამდე ოთხი თამაში მოვიგეთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ „ვალენსიასთან“ თანაბრად ბრძოლა ძალგვიძდა. ჩვენთვის ესპანეთის თასის ფინალში თამაშიც დიდი მიღწევაა. არ მეგონა, თუ ამ გუნდით ამდენს შევძლებდით.

ვალენსიაში კი ზეიმია — კლუბისთვის აწ უკვე საბოლოოდ გასრულებული 1998-99 წლების სეზონი მართლაც წარმატებული გამოდგა.

**ლაშა გოდუაძე**

## გადასასვლელი ტურნირი

**ესტრემადურა 0:2 რაიო (II)**

0:1 სემბრანოსი (7), 0:2 ლორენსი (86პ)

**ვალიაეალი 0:2 სევილია (II)**

0:1, 0:2 ცარტასი (2, 45)

სტუმრები ცალი ფეხით პრიმერა დივიზიონში არიან. ქვედალიგელთა სტუმრობა პრიმერა დივიზიონელმა „ესტრემადურამ“ და „ვალიარეალმა“ სათანადოდ ვერ გამოიყენეს — დამარცხდნენ და ამოცანა ერთიორად გაირთულეს.

„რაიო“, რომელიც „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ შემდეგ მადრიდის უძლიერეს კლუბად ითვლება, უკვე მეშვიდე წუთზე დაწინაურდა — პერესმა ბურთი ხარიხას მოარტყა, ლუის სემბრანოსმა კი „ესტრემადურას“ ბელგიელ მეკარე რონი გასპერჩიჩს აულებელი დაურტყა.

გასპერჩიჩი 11 წუთში გააძევეს კიდეც — საჯარიმოს გარეთ სემბრანოსს ბურთი ხელით აართვა. მიუხედავად კაცნაკლულობისა, „ეტსრემადურა“ ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ტონი ველამსანმა და ივან გაბრიჩმა ხელსაყრელი შანსები ვერ გამოიყენეს.

86-ე წუთზე „რაიომ“ მეორე გოლი გაიტანა — კარლოს ლორენსმა, რომელსაც თითქმის ორი წელია, არ უთამაშია, სემბრანოსის წაქცევის გამო დანიშნული პენალტი გაიტანა.

მეორე ქვედალიგელი „სევილია“, რომელიც აგერ უკვე ორი სეზონია, პრიმერადივიზიონელი აღარაა, საპასუხო მატჩის წინ მეტოქესთან შედარებით უკეთეს პოზიციაშია.

საპასუხო შეხვედრები ოთხშაბათისთვისაა დანიშნული.

# რანიერი ატლეტიკოში

**კლაუდიო რანიერი** მომავალ სეზონში მადრიდის „ატლეტიკოს“ გაწვრთნის, სწორედ ეს ინფორმაცია გაავრცელა გუშინ საღამოს პრიმერა დივიზიონის კლუბმა.

რანიერი, რომლის კლუბმა „ვალენსიამ“ ქვეყნის თასის ფინალში „ატლეტიკო“ 3:0 დაამარცხა, მადრიდელთა პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილს ფინალის შემდეგ შეხვდა, რათა კონტრაქტის პირობები შეეთანხმებინა.

იტალიელი მწვრთნელი „ატლეტიკოს“ 23-ე თავკაცი იქნება ხესუს ხილი ხილის კლუბის პრეზიდენტად 12-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე.

— რანიერი ნამდვილად უთავკაცებს „ატლეტიკოს“ მომავალ სეზონში. დღესდღეობით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია გადაჭრით — განაცხადა „ატლეტიკოს“ წარმომადგენელმა და დასძინა — კონტრაქტის სხვა დეტალები კვლავ დგინდება.

რანიერის „ატლეტიკოს“ მწვრთნელად დანიშვნა ნიშნავს იმას, რომ მადრიდელთა სერბ მწვრთნელს, მარტში არიგო საკის ნაცვლად დაბრუნებულ რადომირ ანტიჩს კლუბიდან წასვლა მოუწევს.

როდიმირ ანტიჩს, რომელმაც 1996 წელს „ატლეტიკოს“ ესპანეთის ჩემპიონატი და თასი მოაგებინა, კლუბთან 15-თვიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. კომპენსაციის სახით „ატლეტიკო“ ანტიჩს 1,1 მილიონ დოლარს გადაუხდის.

კლაუდიო რანიერი, რომელიც თავის დროზე „კალიარის“, „ნაპოლის“ და „ფიორენტინას“ წვრთნიდა, „ვალენსიაში“ 1997-98 წლების სეზონის დასაწყისში გადავიდა ორწლიანი კონტრაქტის საფუძველზე. რანიერის პირველ სეზონში გაუჭირდა კლუბში მუშაობა, თუმც წლეულს გუნდმა თასი მოიგო და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

**ქევინ ფილანი**

# ლეგენდარული გუნდის სათავესთან

— თავიდან მარტო კიეზაზე ვფიქრობდით, მაგრამ ისე მოხდა, რომ იგი სულ ბოლოს შევიძინეთ. შუალედში კი გაგვიჩნდა იდეა: ხომ არ გვეყიდა, როგორც კიეზა, ასევე მიატოვიჩი? კიეზა მარადიული ფეხბურთელია, ხოლო მიატოვიჩი ფენომენი, რომელსაც ზურგს წარმატებული კარიერა უმაგრებს. — უთხრა „ფიორენტინას“ 60 წლის მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ, „კორიერე დელო სპორტს“.

ფლორენციის გუნდმა, სერია A-ს გასული პირველობის მესამე ადგილოსანმა, ორი ცნობილი თავდამსხმელი, იტალიელი ენრიკო კიეზა და იუგოსლაველი პრედრაგ მიატოვიჩი იყიდა.

მიატოვიჩი „ფიორენტინაში“ მადრიდის „რეალიდან“ გადავიდა. მისი ახალი კონტრაქტი სამწლიანია, ხოლო სატრანსფერო თანხა 8,1 მილიონი დოლარის ტოლფასი.

— აქ გამარჯვებებისთვის ჩამოვედი. მინდა „ფიორენტინაში“ მერვე ნომრიანი მაისურა მერგოს, რადგან რვა ჩემთვის იღბლიანი ციფრია და მის დათმობას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, მას არავინ შემეცილება — უთხრა მიატოვიჩმა ტურინულ გაზეთ „ტუტოსპორტს“ — ბედნიერი ვარ 1997-98 წლების სეზონში, ჩემპიონთა თასის ფინალში, „რეალისთვის“ გამარჯვების მომტანი, ისტორიული გოლი რომ გავიტანე. მინდა რამდენიმე ასეთი გოლი კარიერის დარჩენილ ნაწილში კიდევ შევაგდო.

ენრიკო კიეზა „ფიორენტინამ“ „პარმასგან“ 14 მილიონ დოლარად, ოთხი წლით შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელი წელიწადში 2,1 მილიონს ხელფასად მიიღებს.

ჯოვანი ტრაპატონი იმედოვნებს, რომ კიეზა და მიატოვიჩი გაბრიელ ბატისტუტასთან ერთად მრისხანე ტრიოს შეადგენენ:

— დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ერთმანეთს ალღოს აუღებენ. მიატოვიჩი ხასიათით ჩემპიონია, ხოლო კიეზა ძალიან სწრაფი და გოლის ალღოთი დაჯილდოვებული გახლავთ. ახალმოსული წყვილი ბატისტუტასთან ერთად საგანგებო ტრიოს შექმნის.

ტრაპატონიმ დასძინა, რომ ასეთი შემადგენლობა საშუალებას მისცემს თავისი საყვარელი განლაგება, 3-4-3, დაცვის სიმტკიცითაც გაამდიდროს.



ენროკო კიეზა

ფლორენციელთა პრეზიდენტი, ცნობილი კინოპროდიუსერი ვიტორიო ჩეკი გორი:

— არ გამიკვირდება ლეგენდარული გუნდის სათავეებთან რომ ვიდგეთ. უპირველეს ყოვლისა, „ფიორენტინას“ გულშემატკივარი გახლავართ და ჩემი საყვარელი გუნდი გამარჯვების გარეშე ვერ წარმომიდგენია. ყოველთვის მითქვამს, საუკეთესო მოთამაშეები უნდა მყავდეს და საუკეთესო პირობები უნდა მქონდეს, მეთქი. გარწმუნებთ, სიტყვის კაცი ვარ.

## საოპერაციოში

„სელტიკის“ მცველს, ალან სტაბსს, დღეს საპერაციოში ელიან. სტაბსი გახლავთ 27 წლის ინგლისელი, რომლის შესახებაც გუშინ გლაზგოურმა კლუბმა განაცხადა, რომ შოტლანდიის თასის ფინალის შემდეგ ჩატარებულმა ტესტმა შესაძლო დაავადება გამოავლინა.

გაზეთი „დეილი რეკორდი“ უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ პრობლემა სიმსივნესთან არის დაკავშირებული, თუმცა „სელტიკმა“ კომენტარზე უარი თქვა.

კლუბის ოფიციალურ განცხადებაში წერია თავად ფეხბურთელის სიტყვები: „თასის ფინალის შემდგომმა ტესტმა შვა ეჭვი სნეულების შესახებ, ამიტომაც სამშაბათს საკონტროლო ოპერაციას ვიკეთებ. მადლიერი ვიქნები, თუ ამ ამბავთან დაკავშირებული ცნობებისთვის მიმართავთ „სელტიკის“ ხელმძღვანელობას, რომელსაც ჩემი ოჯახი ენდობა“.

კლუბის დირექტორმა, ალან მაკდონალდმა დასძინა: „ჩვენ ალანს მხარში ვუდგევართ და კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარების გარანტიას ვაძლევთ“.

## ნორვეგია

მე-13 ტური: გრელანდი — რუსენბორგი 0:0; ლილესტრიომი — მოლდე 0:1; მოსი — ბრანი 0:2; სტაბეკი — ვიკინგი 3:1; ტრომსო — სტრომსგოდსეტი 3:2; სკეიდი — ბოდო გლიმტი 1:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 12 | 9 | 2 | 1 | 33:8 | 29 |
| მოლდე | 12 | 8 | 2 | 2 | 20:8 | 26 |
| ბრანი | 12 | 8 | 0 | 4 | 22:19 | 24 |
| სტაბეკი | 12 | 7 | 2 | 3 | 28:16 | 23 |
| ლილესტრიომი | 12 | 7 | 2 | 3 | 26:19 | 23 |
| ტრომსო | 12 | 6 | 2 | 4 | 32:21 | 20 |
| გრელანდი | 13 | 5 | 2 | 6 | 15:26 | 17 |
| ბოდო გლიმტი | 13 | 4 | 2 | 7 | 24:31 | 14 |
| ვიკინგი | 12 | 4 | 1 | 7 | 17:18 | 13 |
| ვალერენგა | 11 | 4 | 1 | 6 | 15:19 | 13 |
| სკეიდი | 13 | 4 | 1 | 8 | 14:30 | 13 |
| მოსი | 13 | 4 | 0 | 9 | 19:28 | 12 |
| სტრომსგოდსეტი | 12 | 3 | 1 | 8 | 17:30 | 10 |
| კონგსვინგერი | 11 | 3 | 0 | 8 | 14:23 | 9 |

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 931572

## რუსეთი

### XIII ტური

**ლოკომოტივი 0:3 სპარტაკი**
0:1 ტიხონოვი (14), 0:2 ციმბალარი (66), 0:3 ჩერევჩენკო (85 ს.კ.)

**ალანია 4:2 ურალანი**
0:1 ცვეიბა (8), 1:1 დემეტრაძე (22 პ), 2:1 კუტარბა (35), 3:1, 4:1 დემეტრაძე (47, 61 პ), 4:2 ვოსკანიანი (75)

**კრილია 4:2 შინიკი**
0:1 ლობანევი (35), 1:1 საფრონოვი (50 პ), 2:1 ფოფხაძე (66 პ), 2:2 ბიჩკოვი (73), 3:2 მიქაელიანი (79), 4:2 წიკლაური (87)

**ჟემჩუჟინა 2:2 ცსკა**
1:0 კალაიჯიანი, 1:1 ფილიპენკოვი (48), 1:2 საველიევი (67), 2:2 გოგრიჭიანი (77)

**ტორპედო 3:1 ჩერნომორეცი**
1:0 კამოლცევი (31), 2:0 ლუხვიჩი (44), 2:1 გორდიუკი (61), 3:1 კამოლცევი (90)

**ნ. ნოვგოროდი 0:0 როსტსელმაში**

**სატურნი 1:0 როტორი**
1:0 გავრილინი (10)

**დინამო 0:1 ზენიტი**
0:1 პოპოვიჩი (48)


გიორგი დემეტრაძე რუსეთის ბომბარდირობას უმიზნებს

ბადრი კითილაძის ფოტო

ზედიზედ ცხრა შეხვედრის მომგები, სპეციალისტების მიერ მეცხრე ცაზე ატყორცნილი მოსკოვის „ლოკომოტივი“ თანაქალაქელმა „სპარტაკმა“ ჩერკიზოვოს სტადიონის მინდორზე ბეჭებზე დასცა. რუსეთის უმაღლეს დივიზიონში ცამეტი ტური მიილია და სწორედ ამ უკანასკნელში შედგა ყველაზე პრინციპული მატჩი — დაკარგული ქულების მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლიანი ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი“ გათამაშების ლიდერს მასპინძლობდა. ჩემპიონობის ამბიციით შეპყრობილი რკინიგზელები ვალდებულნი იყვნენ, საკუთარ კედლებში ქულა მაინც მოეპოვებინათ და დაემტკიცებინათ, რომ არაფრით არიან სპარტაკელებზე ნაკლებნი, მაგრამ... ამ შეხვედრამ ცხადყო, რომ „სპარტაკი“ ერთი თავით მაღლა დგას „ლოკომოტივზე“. ყველა სათამაშო კომპონენტში აჯობეს სტუმრებმა მასპინძლებს. სიომინის შეგირდები საკუთარ მეკარე ნიგმატულინს უმადლოდნენ, უფრო დიდი ანგარიშით რომ არ დამარცხდნენ. ზაზა ჯანაშიას თამაშს რაც შეეხება, მას აშკარად მარტოს უხდებოდა მცველებთან ჭიდილი და ფაქტობრივად მოშლილი ნახევარდაცვის გადამკიდე, პასის მიმცემიც არავინ ჰყავდა. 90 წუთის განმავლობაში ჯანაშია ორჯერ აღმოჩნდა შედარებით ხელსაყრელ პოზიციაში. პირველ შემთხვევაში ოდნავ არაზუსტად დაარტყა, მერე კი თავური გამოუვიდა სუსტი და ფილიმონოვმა ბურთი ადვილად მოიგერია.

ზაზასგან განსხვავებით, ალანიელმა გიორგი დემეტრაძემ გაილაღა, თუმცა, მის გუნდს აშკარად სუსტი მეტოქე ჰყავდა „ურალანის“ სახით. ელისტელებს 15 თვის წინათ, 1998 წლის 28 მარტს, ჰქონდათ დებიუტი რუსეთის უმაღლეს დივიზიონში, ვლადიკავკაზში. მაშინ გიორგი გახოკიძის კუთხურიდან ჩამოწოდებულზე დავით ჩალაძემ გაიტანა ერთადერთი გოლი და „ალანიამ“ 1:0 გაიმარჯვა. კვირასაც ჩვენებურის ოსტატობამ იმსხვერპლა ყალმუხელთა გუნდი, რომელსაც პარასკევს ახალი თავკაცი დაუნიშნეს. „კრილიასა“ და „შინიკის“ ექსდამრიგებელი ალექსანდრ ავერიანოვი „ურალანის“ მთავარი მწვრთნელის ამპლუაში ეწვია ვლადიკავკაზს. შეხვედრის დებიუტში სოხუმელმა ახრიკ ცვეიბამ შორეული დარტყმით გახსნა ანგარიში. მერე კი დემეტრაძის ჰეთ თრიქსა და კუტარბას გოლს სტუმარმა ვოსკანიანმა უპასუხა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 4:2. დემეტრაძემ სამივე ბურთი სტანდარტული მდგომარეობიდან გაიტანა. პენალტების უზადოდ შემსრულებელმა დაამტკიცა, რომ საჯარიმოებსაც ოსტატურად ურტყამს. მეორე გოლი ფლანგური საჯარიმოს გათამაშების შედეგად გაიტანა, მეტოქის კარის შორეულ კუთხეში, ცხრიანში მოათავსა ბურთი.

„კრილია“ — „შინიკის“ შეხვედრაშიც ქართველებმა გამოიჩინეს თავი. მასპინძელთა კაპიტნის, ზურაბ ფოფხაძის მიერ თერთმეტმეტრიანიდან გატანილმა გოლმა „კრილია“ პირველად დააწინაურა ამ მატჩში. მისმა სეხნიამ ზურაბ წიკლაურმა კი საბოლოო წერტილი დაუსვა პაექრობას.

წყალწაღებული „ჟემჩუჟინაც“ ქართველს უმადლოდეს, მორიგ შინაურ მარცხს რომ გადაურჩა. 62-ე წუთიდან თამაშში ჩართულ გოჩა გოგრიჭიანს 15 წუთი დასჭირდა გასახურებლად, მერე კი ერთხელ კიდევ შეგვახსენა ხალხური სიბრძნე, ბებერი ხარის რქანიც ხნავენო — იგი მარცხნიდან შეიჭრა არმიელთა საჯარიმოში და ოდნავ წინ გამოსულ სტუმართა მეკარეს შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა. ისე, მასპინძლებს ცოტა დააკლდათ სეზონში პირველი გამარჯვების მისაღწევად.

მოსკოვის „დინამო“ და ვოლგოგრადის „როტორი“ აშკარად კრიზისულ პერიოდს განიცდიან. ამიტომ მათი დამარცხებები ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ჩემპიონატების მანძილზე „როტორმა“ პირველად წააგო ზედიზედ ოთხი შეხვედრა.

ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივის“ დარად, იმ გუნდებიდან, რომლებშიც ქართველები თამაშობენ, ბადრი სპანდერაშვილის „ჩერნომორეციც“ დამარცხდა მოსკოვში. მისმა მასპინძელმა „ტორპედომ“ კი ამ სეზონში პირველად გაიტანა ერთ შეხვედრაში სამი გოლი.

მეცამეტე ტურში ჩვენებურებმა ხუთჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარი. ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა რუსეთის წლევანდელ ჩემპიონატში. ასე რომ, ცამეტის თარსობა ქართველებზე არ ჭრის...

ხვიჩა სანიკიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 16 | 12 | 3 | 1 | 33:9 | 39 |
| ლოკომოტივი | 13 | 9 | 2 | 2 | 29:13 | 29 |
| ცსკა | 13 | 7 | 5 | 1 | 24:10 | 26 |
| ტორპედო | 14 | 6 | 7 | 1 | 13:7 | 25 |
| ალანია | 13 | 7 | 2 | 4 | 27:16 | 23 |
| როსტსელმაში | 13 | 6 | 3 | 4 | 14:14 | 21 |
| დინამო | 13 | 6 | 2 | 5 | 23:21 | 20 |
| ზენიტი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:13 | 17 |
| ნ. ნოვგოროდი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| როტორი | 13 | 4 | 2 | 7 | 18:22 | 14 |
| კრილია | 14 | 3 | 3 | 8 | 17:25 | 12 |
| ჩერნომორეცი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:25 | 12 |
| სატურნი | 14 | 3 | 3 | 8 | 11:21 | 12 |
| ურალანი | 13 | 3 | 2 | 8 | 9:17 | 11 |
| შინიკი | 13 | 2 | 5 | 6 | 8:19 | 11 |
| ჟემჩუჟინა | 13 | 0 | 5 | 8 | 7:28 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | 10 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | 10 |
| ვერეტენიკოვი (როტორი) | 8 |
| ტერიოხინი (დინამო) | 7 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ოთხჯერ ორი ცნობილი გახდა

FIFA WOMEN'S WORLD CUP USA 99

### A ჯგუფი

**აშშ 3:0 კორეა**
1:0 მაკმილანი (56), 2:0, 3:0 ვენტურინი (68, 76)

**ნიგერია 2:0 დანია**
1:0 აკიდე (25), 2:0 ოკოსიემე (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 0 | 13:1 | 9 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:8 | 6 |
| კორეა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| დანია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

### B ჯგუფი

**გერმანია 3:3 ბრაზილია**
1:0 პრინცი (8), 1:1 და სილვა (15), 1:2 სისი (20), 2:2 ვიეგმანი (46პ), 3:2 იონესი (58), 3:3 მაიკონი (90)

**იტალია 2:0 მექსიკა**
1:0 პანიკო (37), 2:0 ძანი (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 12:4 | 7 |
| გერმანია | 3 | 1 | 2 | 0 | 10:4 | 5 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| მექსიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:15 | 0 |

### C ჯგუფი

**რუსეთი 4:1 კანადა**
1:0 გრიგორიევა (54), 2:0 ფომინა (66), 2:1 ჰუპერი (76), 3:1 ფომინა (86), 4:1 კარასევა (91)

**ნორვეგია 4:0 იაპონია**
1:0 რიისე (83), 2:0 ისოზაკი (26ს.კ.), 3:0 აპრონესი (36), 4:0 მელგრენი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 13:2 | 9 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:3 | 6 |
| კანადა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:12 | 1 |
| იაპონია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | 1 |

### D ჯგუფი

**ჩინეთი 3:1 ავსტრალია**
1:0, 2:0 სუნი (39, 51), 2:1 სალისბერი (66), 3:1 ლიუ (73)

**შვედეთი 2:0 განა**
1:0, 2:0 სვენსონი (58, 86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:2 | 9 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| განა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | 1 |

ეს ამბავი ბოსტონში მოხდა: ამერიკის ნაკრებმა მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში ჩრდილოეთ კორეას 3:0 მოუგო. ამ შედეგმა კორეელებს შინ დაბრუნება აიძულა, ხოლო ნიგერიელებს შტატებში ყოფნა გაუხანგრძლივა.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ტურნირის მასპინძელმა და ფავორიტმა, აშშ-მ, შეტევაზე გაამახვილა ყურადღება და როგორც ანგარიშმა აჩვენა, სწორადაც მოიქცა. ჩემპიონატის დებიუტანტმა, შენონ მაკმილანმა საგანგებოდ გამოიჩინა თავი: ჯერ ანგარიში გახსნა, მერე კი ორი საგოლე ასისტენტობა გასწია. აღსანიშნავია, რომ მაკმილანის პასებით ორივეჯერ ტიშა ვენტურინმა გამოიჩინა თავი.

ამ შეხვედრაში ამერიკელების მწვრთნელმა ტონი დიჩიკომ ერთობ გადასხვაფერებული შემადგენლობა ათამაშა. მიშელ აკერსი და კეიტ სობრერო მოედანზე არ ყოფილან, ხოლო ტიფენი მილბერტი და ჯული ფაუდი მეორე ტაიმში შევიდნენ მოედანზე.

A ჯგუფის მეორე შეხვედრაში ნიგერიელებმა დანიელებს აჯობეს — 2:0. „აფრიკის ისტორიაში კონტინენტის წარმომადგენელი ქვეყნის ქალთა ნაკრები პირველად გავიდა პლეი ოფის ეტაპზე“ — კმაყოფილებას ვერ მალავდა ნიგერიელების მწვრთნელი ისმაილა მაბო.

მაბო ეტყობა, მართლა კარგი მწვრთნელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ნიგერიის ნაკრები, რომელსაც აფრიკული ადათ-წესის თანახმად, მეტსახელი ჰქვია — შევარდენი — წინა ტურში ამერიკელებთან 1:7 გაცამტვერების შემდეგ გადამწყვეტ მატჩს ვერ მოიგებდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ შეხვედრის სანახავად, ვაშინგტონის სტადიონზე მისული 22109 ადამიანიდან უმეტესობა ნიგერიელი იყო და, შესაბამისად, შევარდენს მხარდაჭერაც ძალუმად ჰქონდა.

დანიელების მწვრთნელი, იორგენ ჰვიდემოსი კი რას იტყოდა, ძალიან იმედგაცრუებული ვარო.

B ჯგუფში გერმანიამ და ბრაზილიამ სამ-სამი გოლი გაუტანეს ერთმანეთს. მატჩის შედეგი ფრე რომ ყოფილიყო, სამხრეთ ამერიკელებს მსაჯის დამატებულ დროში გოლის გატანა დასჭირდათ. ამრიგად, „სიკვდილის ჯგუფად“ მონათლული ოთხეულიდან ამერიკასთან დამშვიდობება იტალიელებსა და მექსიკელებს მოუხდათ.

პირველი ტაიმის ანგარიში 2:1 გახლდათ ბრაზილიელების სასარგებლოდ, მაგრამ გერმანული თვისების ამბავი მოგეხსენებათ: 58-ე წუთზე ისინი 3:2-ს იგებდნენ. ბოლოს კი გერმანელთა კიდევ ერთმა, ახალშეძენილმა თვისებამ იჩინა თავი. ამ თვისებას გამარჯვების ხელიდან ბოლოწამს გაშვება ეწოდება და მისი საუკეთესო მაგალითი ვაჟთა გუნდმა, მიუნხენის „ბაიერნმა“, ჩემპიონთა თასის ფინალში აჩვენა.

იტალიამ ბოსტონში მექსიკა დაამარცხა — 2:0. მაგრამ, აკი მოგახსენეთ, რომ „სკუადრა ადურას“ ამ გამარჯვებას პრაქტიკული შედეგი არ ჰქონია.

„მექსიკამ შეძლებისდაგვარად საუკეთესო ფეხბურთი ითამაშა“ — თქვა შეხვედრის დამთავრების შემდეგ იტალიის ეროვნული გუნდის გაწბილებულმა მწვრთნელმა კარლო ფაკინმა.

მექსიკა B ჯგუფის ოთხეულში მართლაც ყველაზე სუსტი გუნდი გამოდგა. მისი დანარჩენ სამეულთან შედარებამ მწვრთნელს, ლეონარდო კუელიარ რივერას, ასეთი რამ ათქმევინა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა საბავშვო ბაღიდან პირდაპირ უმაღლეს სასწავლებელში გადასვლას ჰგავდა. ჯერ კიდევ ძალიან დიდი გზა გვაქვს გასავლელი“.

ერთადერთი, რითაც მექსიკელებს შეუძლიათ იამაყონ, მათი მრავალტანჯული გოლკიპერის, ლენი კინონესის ოსტატობა გახლავთ. ცენტრალური ამერიკის წარგზავნილთა კარში ეს ქალი რომ არ მდგარიყო, ისინი ერთიორად მეტ გოლს გაუშვებდნენ. ასე რომ, ტურნირის დამთავრების შემდეგ საუკეთესო მეკარედ სინიორა კინონესი რომ აღიარონ, გასაკვირი ნამდვილად არ იქნება.

გადავიდეთ C ჯგუფზე, სადაც, ნიუ იორკში, კანადელებმა რუსებთან 1:4 წააგეს. საგულისხმოა, რომ შეხვედრის პირველი ნახევარი 0:0 დასრულდა ანუ ხუთივე გოლი შესვენების შემდგომმა 45 წუთმა მოიტანა. C ჯგუფიდან პლეი ოფის ეტაპზე მსოფლიოს ჩემპიონ ნორვეგიასთან ერთად რუსეთი გავიდა.

მატჩის სანახავად ტრიბუნაზე 29 401 ადამიანი შეიკრიბა. რუსთა გუნდის წარმატებაში დიდი როლი მეკარემ, სვეტლანა პეტკომ ითამაშა, ხოლო ირინა გრიგორიევამ ტურნირზე თავისი პირველი შედეგიანი დარტყმით ანგარიში გახსნა.

„ეს გოლი გამარჯვებისთვის უმნიშვნელოვანესი გამოდგა და ბედნიერი ვარ, რომ იგი მე გავიტანე“ — თქვა მატჩის შემდეგ გრიგორიევამ.

პირველი გოლის ავტორმა მეორეშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა. სწორედ მან გაუწია მოედანზე ახალშესულ ელენა ფორმინას ასისტენტობა 66-ე წუთზე.

როგორც მოგახსენეთ, C ჯგუფიდან პლეი ოფში, პირველი ადგილით, მსოფლიოს ჩემპიონი, ნორვეგია გავიდა. მან იაპონიას 4:0 მოუგო, თან პირველი ნახევრის შემდეგ ანგარიში უკვე 3:0 იყო.

„დღეს, უბრალოდ, ჩვენი საქმე გავაკეთეთ“ — თქვა პრესკონფერენციაზე სკანდინაველთა მწვრთნელმა პერი მათიას ჰომგომ — „შეხვედრის განმავლობაში 10 თუ 11 საგოლე მომენტი შევქმენით და მათგან ოთხი გამოვიყენეთ. ახლა ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება მეოთხედფინალები“.

დაბოლოს, D ჯგუფი: ჩინეთმა ავსტრალიას 3:1 სძლია, ხოლო შვედეთმა განას — 2:0.

ჩინელების ზედიზედ მესამე გამარჯვების მოწმე ნიუ იორკის „ჯაიანთ სტედიუმი“ გახდა.

„დღეს, წინა ორ თამაშთან შედარებით, გაცილებით ნელა ვითამაშეთ. მიზეზი ნიუ იორკული კლიმატი გახლდათ. დღეს ძალიან ცხელოდა“ — ამაყად ბრძანა აზიელების მწვრთნელმა მა იუანანმა.

„ჩინელებთან შეხვედრაში ბურთის გემოზე გორაობას ველოდი. საქმე ის გახლავთ, რომ მეტოქე აშკარად „დაბალ“ ფეხბურთს გვეთამაშებოდა და ჩვენც აყოლა ვარჩიეთ. ზოგადად კი ნამდვილად ვერ დავიკვეხნით, რომ რომელიმე მატჩი ძლიერად ჩავატარეთ. სამწუხაროდ, ბევრად კარგი გუნდი გახლავართ, ვიდრე თავი წარმოვაჩინეთ. არა უშავს, ჭკუას ვისწავლით“ — ეს სიტყვები იუანანის ავსტრალიელ კოლეგას გრეგ ბრაუნს ეკუთვნის.

შვედეთის და განის შეხვედრაში, როგორც მოგახსენეთ, ევროპელებმა იმარჯვეს და მეოთხედფინალშიც გავიდნენ.

შვედების მწვრთნელი, მარიკა დომანსკი ლიფორსი: „პლეი ოფში ვართ. დაჟინებით გვთხოვდნენ ჯგუფიდან გასვლას და, აი, გავედით კიდეც“.

**ბაბუნა კედია**

**მეოთხედფინალები**

| | |
|---|---|
| 30 ივნისი | ნორვეგია — შვედეთი |
| 30 ივნისი | ჩინეთი — რუსეთი |
| 1 ივლისი | აშშ — გერმანია |
| 1 ივლისი | ბრაზილია — ნიგერია |



REUTERS ფოტოქრონიკიდან

აშშ — კორეა 3:0. შეტევაზეა ამერიკელი მია ჰამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 39a. Copa América Paraguay '99

COPA AMERICA PARAGUAY-99

# შპაცრავად, რა შეჯიბრებაა?

ისმის კითხვა: დაასახელეთ ის კონტინენტი, რომლის ჩემპიონატშიც ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, იაპონია, მექსიკა და სხვა გუნდები მონაწილეობენ.

პასუხი: ?

ჩამჭრელი კითხვა იყო. ფაქტობრივად ვერავინ გასცა პასუხი.

სად იაპონია და სად ამერიკა. დავხედოთ მსოფლიოს რუკას...

ძალიან უცნაურია, თუმცა რა გვიკვირს? მეოცე საუკუნის ბოლოა.

დღეს პარაგვაიში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი იწყება, რომელშიც კონტინენტის ათ ქვეყანასთან და ჩრდილო-ამერიკიდან მოწვეულ მექსიკასთან ერთად ამომავალი მზის ქვეყანა, იაპონიაც(!) მონაწილეობს. სწორედ ამაზე ვამბობდით, უცნაურიაო. იაპონია სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში!

ტურნირის თითქმის 90-წლიან ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. იყო გამონაკლისი შემთხვევები, როცა ბოლო სამ გათამაშებაში სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია ჩრდილოეთიდან აშშ-ს და მექსიკას იწვევდა, მაგრამ იაპონია? ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ კონმებოლი (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია) ამ ნაბიჯს გადადგამდა და ტურნირის პრესტიჟს შეარყევდა. განა სირცხვილი არ არის, ერთი კონტინენტის ოფიციალურ ჩემპიონატში სხვა კონტინენტელი რომ მონაწილეობს. წამით დავფიქრდეთ — კარგი იქნება, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბრაზილიამ, არგენტინამ, ანაც რომელიმე აზიურმა ან აფრიკულმა ქვეყანამ რომ ითამაშოს? ალბათ არა. ასევე უადგილოა „კოპა ამერიკაზე" იაპონიის გამოჩენა. კონმებოლის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებამ შეჯიბრის სახელწოდება პირობითად აქცია. იმედია, მათ ნაბიჯს სხვები, ყოველ შემთხვევაში, უეფა არ მიბაძავს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დღეს პარაგვაიში სამხრეთ ამერიკის რიგით 39-ე ჩემპიონატი იწყება. ასუნსიონში ჯერ პერუ დაუპირისპირდება იაპონიას, მოგვიანებით კი პარაგვაი ბოლივიას შეხვდება. „კოპა ამერიკას" ბოლო გამარჯვებული ბრაზილია ხვალ ჩაერთვება ტურნირში, კიდევ ერთი ფავორიტი არგენტინა კი ივლისის პირველ დღეს. მანამდე...

მანამდე კი გუნდები ვარსკვლავებისგან იცლებიან. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ორმა ფავორიტმა — ბრაზილიამ და არგენტინამ საერთო ჯამში ათამდე მსოფლიო დონის ვარსკვლავი მოისაკლისა.

არგენტინის ნაკრები განსაკუთრებით დაზარალდა. კაცმა რომ თქვას, მარტო გუნდი კი არა, მთელი ჩემპიონატი მოისაკლისებს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც არგენტინელთა შორის არ იქნებიან და რომლებიც გასულ სეზონში იტალიის და ესპანეთის ჩემპიონატებში ამინდს ქმნიდნენ.

ჯერ კიდევ მაშინ, სანამ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი მარსელო ბიელსა კონტინენტის პირველობაზე გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობას დაასახელებდა, მან თქვა, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრებში თამაშს სულელური მიზეზის გამო იუარებდნენ, მის გუნდში ვერასდროს მოხვდებოდნენ.

იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, „ფიორენტინას" თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა, უეფას და იტალიის თასის მომგები „პარმას" გამთამაშებელი ხუან სებასტიან ვერონი, ამავე კლუბის ფორვარდი ერნან კრესპო, ესპანეთის თასის მომგები „ვალენსიას" ლიდერი კლაუდიო ლოპესი, მადრიდის „ატლეტიკოს" მცველი ხოსე ანტონიო შამოტი, იტალიის ვიცე-ჩემპიონ და თასების მფლობელთა თასის მომგებ „ლაციოს" ნახევარდაცვის ბურჯი მატიას ალმეიდა... ეს ფეხბურთელები ყველანი არგენტინელები არიან და არც ერთი მათგანი „კოპა ამერიკაზე" არ ითამაშებს. მიზეზად ისინი მძიმე სეზონს, გამოფიტულობას და დასვენების აუცილებლობას ასახელებენ.

გუშინ, ზედ ტურნირის წინ, მათ კიდევ ერთი მოთამაშე არანაკლებ სახელოვანი ფერნანდო რედონდო დააკლდათ.

— მწვრთნელს ვთხოვე და ნაკრებიდან გავთავისუფლდი. „კოპა ამერიკაზე" აღარ ვითამაშებ. განვლილმა სეზონმა ძალიან გადამღალა. უნდა დავისვენო — თქვა მადრიდის „რეალის" ნახევარმცველმა.

მაშ ასე, ახლა არც რედონდო იქნება. ყველაფრის მიუხედავად, არგენტინა ტურნირის ფავორიტია, თუნდაც იმიტომ, რომ მიუხედავად ათამდე ლიდერის არყოფნისა, გუნდში ყოველთვის არიან ისეთი ფეხბურთელები, რომელთა ძალა, შემართება და გამოცდილება ვენესუელას და მისთანებს ყოველთვის ყოფნიდა და ახლაც ეყოფა. ესეც არ იყოს, არგენტინელთა რიგებში ისეთი ფეხბურთელებიც არიან, როგორიცაა ხავიერ ძანეტი და დიეგო სიმეონე. მათ დაუმატეთ იმავე არგენტინის ჩემპიონატში მოთამაშე ვარსკვლავები და გამოვა, რომ არგენტინის ნაკრები სულაც არ დასუსტებულა ისე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

...სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის 14-ჯერ მომგები არგენტინა წინა გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. მაშინ ისინი პერუმ დაამარცხა 2:1. არაა გამორიცხული, არგენტინელები პერუს ამ ტურნირშიც შეხვდნენ და თან ისევ მეოთხედფინალში. ამ შემთხვევაში რევანში, ალბათ, გარდაუვალი იქნება.

ბრაზილია, არგენტინის დარად, წამყვან მოთამაშეებს მოისაკლისებს — მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ თავდამსხმელები — რომარიო და ედმუნდო, ასევე ნახევარმცველი ლეონარდო გუნდიდან დაითხოვა. ლუქსემბურგოს ურჩი ფეხბურთელები არ ჰყვარებია.

— მწვრთნელის მითითებებს რომ არ შეასრულებს, ის მოთამაშე გუნდში გასაჩერებელი არაა. მინდა, ფეხბურთელთათვის ჩემი სიტყვა კანონი იყოს. თუ გუნდისთვის არ ვარ საჭირო, ამას ფედერაცია გადაწყვეტს, ფეხბურთელთა საქმე კი თამაშია — ამბობდა ლუქსემბურგო რამდენიმე ხნის წინ სახელდახელოდ გუნდში შექმნილი დაძაბულობის გამო მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

რომარიო ბრაზილიის ნაკრებმა ისევ იუარა. 90-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ზედიზედ მეორე დიდ ტურნირს გამოტოვებს. რომარიოსთანა თავდამსხმელის არყოფნა ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ეტყობოდა და ალბათ ახლაც დაემჩნევა. ძნელია ამის თქმა, როცა გუნდში რივალდო და რონალდო არიან, მაგრამ ეს ასეა — რომარიო მაინც სხვაა.

მოდით, დავფიქრდეთ — ვინ შეიძლება შემოგვთავაზოს სიურპრიზები?

იაპონია სტუმარი კია, მათი ზრდილობის ამბავიც საქვეყნოდაა განთქმული, მაგრამ საეჭვოა, ფრანგი ფილიპ ტრუსიეს გუნდი იმდენად ზრდილობიანი და მშვიდობისმოყვარე აღმოჩნდეს, ყველაფერი მასპინძლებს დაუთმოს. იაპონელთა ზრდილობასთან ერთად მათი შრომისმოყვარეობაც ცნობილია, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათ საკმაოდ კარგი სპეციალისტი მოძღვრავთ, ალბათ ღირს, იაპონია წინასწარ მივიჩნიოთ გუნდ-სიურპრიზად.

მას შემდეგ, რაც კონმებოლი „კოპა ამერიკაზე" ჩრდილოამერიკიდან მექსიკას იწვევს, ეს გუნდი ორჯერ გახდა პრიზიორი. მექსიკის ნაკრები რომ კარგი გუნდია, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოჩნდა, თან ამ გათამაშებაშიც უძლიერესი შემადგენლობით მონაწილეობს. ვინ იცის, რა იქნება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მექსიკელთა თავდასხმის ლიდერი, ბოლო „კოპა ამერიკის" საუკეთესო ბომბარდირი ლუის ერნანდესი ამბობს, რომ მისი გუნდი, ისევე როგორც ორი წლის წინ, ახლაც პრიზიორთა შორის იქნება.

მექსიკასთან ერთადაა ჩილეც. ჩილელებს „სა-სას" იმედი აქვთ. ივან სამორანოც და მარსელო სალასიც გუნდში არიან, საკმაოდ კარგადაც თამაშობენ და ჩილელთა იმედებიც ამიტომაა საფუძვლიანი.

ეკვადორს ახალგაზრდა ვარსკვლავის ივან კავიედესის იმედი აქვს.

ძნელია წინასწარ რაიმეს განჭვრეტა. ყველაფერი მალე გაირკვევა, სულ რაღაც სამ კვირაში.

18 ივლისს „კოპა ამერიკას" ფინალია.

**ლაშა გოდუაძე**



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე.
დგანან: ჟუნიორ ბაიანო, კლაუდიო ტაფარელი, სეზარ სამპაიო, ალდაირი, კაფუ, რივალდო
სხედან: რობერტო კარლოსი, რონალდო, დენილსონი, რომარიო, დუნგა



REUTERS ბუენოს აირესიდან

26 ივნისი. არგენტინა — ლიტვა 0:0. არგენტინის ნაკრები. დგანან: ხუან სორინი, უგო იბარა, რომან რიკელმე, რობერტო აიალა, ხერმან ბურგოსი, ვალტერ სამუელი
სხედან: გუსტავო ლოპესი, დიეგო სიმეონე, მარტინ პალერმო, არიელ ორტეგა, ხავიერ ძანეტი

**სამხრეთ ამერიკის წინა ჩემპიონატების მასპინძლები და პრიზიორები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1916 | არგენტინა | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია | 1947 | ეკვადორი | არგენტინა | პარაგვაი | ურუგვაი |
| 1917 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია | 1949 | ბრაზილია | ბრაზილია | პარაგვაი | პერუ |
| 1919 | ბრაზილია | ბრაზილია | ურუგვაი | არგენტინა | 1953 | პერუ | პარაგვაი | ბრაზილია | ურუგვაი |
| 1920 | ჩილე | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია | 1955 | ჩილე | არგენტინა | ჩილე | პერუ |
| 1921 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | ურუგვაი | 1956 | ურუგვაი | ურუგვაი | ჩილე | არგენტინა |
| 1922 | ბრაზილია | ბრაზილია | პარაგვაი | ურუგვაი | 1957 | პერუ | არგენტინა | ბრაზილია | ურუგვაი |
| 1923 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | პარაგვაი | 1959 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | პარაგვაი |
| 1924 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | პარაგვაი | 1959 | ეკვადორი | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია |
| 1925 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | პარაგვაი | 1963 | ბოლივია | ბოლივია | პარაგვაი | არგენტინა |
| 1926 | ჩილე | ურუგვაი | არგენტინა | ჩილე | 1967 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | ჩილე |
| 1927 | პერუ | არგენტინა | ურუგვაი | პერუ | 1975 | ——— | პერუ | კოლუმბია | ——— |
| 1929 | არგენტინა | არგენტინა | პარაგვაი | ურუგვაი | 1979 | ——— | პარაგვაი | ჩილე | ——— |
| 1935 | პერუ | ურუგვაი | არგენტინა | პერუ | 1983 | ——— | ურუგვაი | ბრაზილია | ——— |
| 1937 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | ურუგვაი | 1987 | არგენტინა | ურუგვაი | ჩილე | კოლუმბია |
| 1939 | პერუ | პერუ | ურუგვაი | პარაგვაი | 1989 | ბრაზილია | ბრაზილია | ურუგვაი | არგენტინა |
| 1941 | ჩილე | არგენტინა | ურუგვაი | ჩილე | 1991 | ჩილე | არგენტინა | ბრაზილია | ჩილე |
| 1942 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია | 1993 | ეკვადორი | არგენტინა | მექსიკა | კოლუმბია |
| 1945 | ჩილე | არგენტინა | ბრაზილია | ჩილე | 1995 | ურუგვაი | ურუგვაი | ბრაზილია | კოლუმბია |
| 1946 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | პარაგვაი | 1997 | ბოლივია | ბრაზილია | ბოლივია | მექსიკა |

# ისევ ძველი ნაცნობები

**ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის ოთხმოცდაოთხმა თავისუფალი სტილით მოჭიდავემ იასპარეზა**

*54 კგ.* ყველაზე ძლიერი გუნდით თბილისს სომხები ესტუმრნენ. მათ ყველაზე სახელიანნი ამ წონაში ასპარეზობდნენ. ატლანტის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონს არმენ მკრტიჩიანს ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი ვარდან მარქარიანი და ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები — რუდიკ მარქარიანი და არმენ სიმონიანი დაემატნენ.

მასპინძელთაგან ყველაზე დიდ ყურადღებას გოჩა კირკიტაძე იქცევდა. მან ხომ ევროპაზე იჭიდავა და მეხუთე ადგილიც დაიკავა. გოჩამ ახლაც კარგად დაიწყო და ტაჯიკი აზამატ ცაკოევი ხალიჩაზე მანამ ათრია, ვიდრე ქულებით სუფთა მოგება არ გაინაღდა. სამაგიეროდ, მეორე შეხვედრაში გაუჭირდა, გამძლეობა არ ეყო და ბოლოს ვარდან მარქარიანმა გვარიანადაც გააწვალა. ნახევარფინალში კი კირკიტაძემ ვერაფერი გააწყო სიმონიანთან.

... ფინალი სიმონიანის შეტევებით დაიწყო. მან გაგიშვილი ჩოქბჯენში ჩააყენა და ქულაც აართვა. მალე გიორგიმ მეტოქე ორქულიანზე დაატრიალა და დაწინაურდა. სტუმარმა ისევ მოიპოვა ქულა იმავე ხერხით, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაუთვალეს. რამდენიმე წამში გაირკვა, რომ ეს ქულა მაინც ვერ უშველიდა. მან ფეხში ჩახტომა მოინდომა, მაგრამ გაგიშვილმა კარგად დაიცვა თავი. თან ხალიჩაზე გვერდულად მწოლ მეტოქეს გაქცევაც არ აცალა, სწრაფად მიაწვა და ბეჭებზეც გადააწვინა.

*58.* აქ არც საზარდულნაოპერაციები დავით პოლოსიანი ჭიდაობდა და არც ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი ოთარ თუშიშვილი, რომელმაც ამჯერად ზედა წონაში იასპარეზა. ვალერი კოლუაშვილს ნახევარფინალში სომეხმა ლევონ ვარდანიანმა ყველა იმედი გადაუწურა, ყველაფერში დაჯაბნა. ერთ მომენტში ვალერიმ მოგვერდისმაგვარ ილეთზეც წამოიღო, მაგრამ სწრაფმა მეტოქემ ვარდნაში მოახერხა, ზურგზე მოჰქცეოდა და ქულაც აართვა. ვარდანიანი ფინალში ერთხელ კახა დობორჯგინიძესაც დაუძვრა, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი გააკეთა. სანაცვლოდ კახამ ოთხი ქულა აართვა და საკმაოდ დუნე ჭიდაობაში გაიმარჯვა.

*63.* ყველა გორელ ოთარ თუშიშვილის გამარჯვებას ელოდა, მაგრამ... საერთო ჯამში მან კარგად იჭიდავა, მაგრამ უჩვევ წონაში როგორღაც შებოჭილი ჩანდა. ევროპაზე თავგამოჩენილი ბიჭისგან ცოტა მეტს ველოდით. ამბობდა და ამ ტურნირზეც დაამტკიცა, რომ მხოლოდ ფეხში ხელით შესვლაზეა დაგეშილი. ეს ილეთი ოთარს კარგად კი აქვს დამუშავებული, მაგრამ ვინც ფეხს უმალავდა, მასთან ქულების მოპოვება აშკარად უჭირდა, რადგან სხვა ილეთებს თითქმის არ იყენებს. ფინალამდეც ასე ფეხში შესვლებით მივიდა, გზად კი თანაქალაქელი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი კარენ მნაცაკანიანიც ჩამოიშორა. სუსტი მეტოქე არც ფინალში ჰყავდა. გოდერძი ხარებავა ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პიზიორია. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ფინალი იყო. ორივე მეტოქემ ქულები ერთმანეთის ჩოქბჯენში გადაყვანით და დატრიალებებით მოიპოვა. პირველი ნახევრის მერე თუშიშვილი 7:5 დაწინაურდა და მეორეში თითქოს მეტოქესაც გაურბოდა. ხარებავამ ბოლო წამებზე ჯერ ჩოქბჯენში ჩააგდო, მერე კი დაატრიალა კიდეც და საბოლოოდ 8:7 მოიგო.

*69.* ემზარ ბედინეიშვილის ჩემპიონობა არავის გაჰკვირვებია. მან ჯგუფში ორივე შეხვედრა წმინდად მოიგო. მათ შორის ერთი 53 წამში. ეს ყველაზე ხანმოკლე ორთაბრძოლა გახლდათ ტურნირზე. ემზარს არც მერე გასჭირვებია. მართალია, ნახევარფინალში ახალგაზრდა დავით ახალმოსულიშვილმა თავიდან რამდენიმე ქულაც აართვა, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ისე, ახალმოსულიშვილიც კარგი ბიჭი ჩანს. ტექნიკური არსენალის მრავალფეროვნებით არც ის გამოირჩევა, მაგრამ ტიტულებს არ უფრთხის. გიგოლაევმაც კარგად იჭიდავა. მას ახალგაზრდებში ყველა ტიტული მოუგია და ალბათ არც დიდ ხალიჩაზე შეირცხვენს თავს. საამისოდ ყველა მონაცემი აქვს — სისწრაფე, ტექნიკა და ათლეტური აღნაგობა. ზურაბ სახვაძესაც ძირითადად ამის ხარჯზე მოუგო. მაგრამ ახლა ბედინეიშვილმა აშკარად აჯობა — 11:2.

*76.* ვახტანგ ბალავაძის სახელობის პრიზი ამ წონაში გამარჯვებულს გადაეცა. სასიხარულოა, რომ იგი საქართველოში დარჩა, მაგრამ ფინალში მომხდარმა ინციდენტმა ეს სიხარული გააუფერულა. მეორე ნახევარში, როცა რევაზ მინდორაშვილი 4:0 იგებდა, ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი. გატაჯიკებული ოსი რომან ჯუსოევი მას ისე ჟინიანად ეტანებოდა, ერთხელ



რევაზ მინდორაშვილს (ზემოთ) ფინალში მძიმე ბრძოლა გადახდა რომან ჯუსოევთან, მაგრამ ჩემპიონობა და ვახტანგ ბალავაძის თასი მაინც ირგუნა

სახეში თავიც მიარტყა. ძნელი სათქმელია, ეს განგებ გაუკეთა თუ არა, მაგრამ საპასუხოდ რეზო რომ განგებ ეუხეშა, ცხადია. მან ფეხიდან აყვანა დაუპირა ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, მაგრამ ის ხალიჩის გარეთ გაექცა. სასტვენის შემდეგ რეზომ ხელის გაშვების ნაცვლად ფეხით ასწია და გადააგდო. ხალიჩაზე მცირეოდენი ძიძგილაობის მერე მინდორაშვილმა მაინც გაიმარჯვა.

*85.* ტაჯიკებმა ამ წონაში მაინც მოიპოვეს ჩემპიონობა — ალბეგოვმა ისე დამაჯერებლად მოუგო ჩიხრაძეს, მცირე შანსიც არ დაუტოვა.

*97.* ამ წონაში სულ ოთხი ფალავანი ჭიდაობდა. ელდარ კურტანიძესაც წინ ვერავინ დაუდგა. ჯერ იყო და, გუგიევი წმინდად დაამარცხა. ევროპის მესამე პრიზიორი, რუსი ალან ბერეზოვი არ გამოუცხადდა. ყველაზე მეტად კი ლოლაშვილთან გაუჭირდა, მაგრამ ეს უფრო პირობითი ნათქვამია. კურტანიძემ 5:0 მოიგო, თუმცა ამას თითოქულიანი ილეთებით მიაღწია. ჩოქბჯენიდან მეტოქე ვერც ერთხელ დაატრიალა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ დაუძაბავად ჭიდაობდა.

*მძიმე.* აქაც ოთხი მოჭიდავე გამოდიოდა. უმთავრესი ბრძოლა კი მეორე წრეში შედგა მოდებაძესა და პლიევს შორის. ჩვენებურმა მოიგო და ჩემპიონის ვინაობაც გაირკვა, რადგან დანარჩენები აშკარად სუსტები იყვნენ. მოდებაძესთან 1:9-ზე ჩამორჩენილი ბილანიშვილი ხალიჩიდან გაიქცა და შეჯიბრებიდან მოიხსნა. მის ნაცვლად ბრინჯაოს მედალი ძიტიევს გადაეცა. მართალია, ეს ტურნირის უხუცესი მონაწილე ლამის შვილისტოლებთან ჭიდაობდა, მაგრამ მაინც ყველა შეხვედრა უიმედოდ წააგო და მედალზე არც უოცნებია.

**ირაკლი თავაძე**

**ტექნიკური შედეგები**

54. 1 გიორგი გაგიშვილი (საქართველო), 2 არმენ სიმონიანი (სომხეთი), 3 გოჩა კირკიტაძე (საქართველო);
58. 1 კახა დობორჯგინიძე (საქართველო), 2 ლეონ ვარდანიანი (სომხეთი), 3 ვალერი კოლუაშვილი (საქართველო);
63. 1 გოდერძი ხარებავა (საქართველო), 2 ოთარ თუშიშვილი (საქართველო), 3 დავით გაგიშვილი (საქართველო);
69. 1 ემზარ ბედინეიშვილი (საქართველო), 2 ვადიმ გიგოლაევი (რუსეთი), 3 პაპუნა ქარელიძე (საქართველო);
76. 1 რევაზ მინდორაშვილი (საქართველო), 2 რომან ჯუსოევი (ტაჯიკეთი), 3 ვადიმ ტოკაევი (რუსეთი);
85. 1 სტანისლავ ალბეგოვი (ტაჯიკეთი), 2 გოჩა ჩიხრაძე (საქართველო), 3 ასლან სანაკოევი (უზბეკეთი),
97. 1 ელდარ კურტანიძე (საქართველო), 2 ზურაბ ლოლაშვილი (საქართველო), 3 ალან ბერეზოვი (რუსეთი);
მძიმე. 1 ალექსანდრე მოდებაძე (საქართველო), 2 ბუბა პლიევი (რუსეთი), 3 ვლადიმირ ძიტიევი (უზბეკეთი).

რაგბი

# ლოკომოტივი ცოტას ბევრია

მეათე ტური
თბილისი
26 ივნისი

**ლოკომოტივი 1 — უნივერსიტეტი**
**59:0 (26:0)**

ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, თოფურიძე (კვანტალიანი), ჭელიძე (კერესელიძე), ხუადე (ჟღენტი), მოგელაძე, კობახიძე, კაცაძე (გიუნაშვილი), კახიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, ბესელია, ანდღულაძე, ძნელაძე (ასათიანი), იოვაძე
9 ლ — ბუგიანიშვილი (4), ანდღულაძე (2), მოგელაძე, კობახიძე, იოვაძე; 7 გ — კვინიხიძე
უნივერსიტეტი: რატიანიძე (ლაბაძე), კუთარაშვილი (ჯანუკაშვილი), წიკლაური (კოკაია), კობიაშვილი (ჯმუხაძე), ბიძინაშვილი, მჭედლიშვილი, მჟავანაძე, ავსაჯანიშვილი, ჭუმბურიძე, კიზირია, ჯაში (ჯავრიშვილი), ქირიკაშვილი, ელოშვილი, ახობაძე, თავაძე (დავლიანიძე)
მსაჯი: რ. სანებლიძე
მეთვალყურე: პ. ნარიმანაშვილი

თამაშამდე არაერთი ვარაუდობდა, ლოკომოტიველები ალბათ თავს არ მოიკლავენ და სტუდენტებიც დიდი ანგარიშით წაგებას გადარჩებიანო, მაგრამ ფავორიტებს გული არ ასჩვილებიათ, ბრძოლით დაიწყეს, ბრძოლითვე დაასრულეს თამაში და მეტოქეს დიდი ანგარიშით მარცხიც აწვნიეს. „ლოკომოტივმა" პირველივე ნახევარში მოითავა საქმე, თან საპრემიო ქულაც შეიმატა. ისიც ცხადი იყო, ამით დაკმაყოფილებას არ აპირებდა.

„სტუმართა" რბევას სათავე ბუგიანიშვილმა დაუდო — თავისივე წამოწყებული კომბინაცია თავადვე დაასრულა. მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ და „ლოკომოტივი" სოლიდურად დაწინაურდა. სტუდენტები მდგომარეობის გამოსწორებას კი ეცადნენ, მწვავედაც შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ აშკარად აკლდათ ოსტატობა და „ლოკომოტივის" დაცვა ბოლოს მაინც აზერხებდა მათ შეჩერებას.

შესვენების მერე „ლოკომოტივმა" რამდენიმე ძირითადი მოთამაშე დაასვენა, შეცვლებს მიმართა „უნივერსიტეტის" მწვრთნელმა დავით კილასონიამაც, მაგრამ მან უფრო შემადგენლობა გააძლიერა. მეორე ტაიმი სტუდენტებმა კარგად დაიწყეს, გააქტიურდა მათი შერკინება, ხშირად იგებდნენ აუტსაც. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ანგარიშში სხვაობა უნდა შემცირებულიყო, მაგრამ „უნივერსიტეტი" „ლოკომოტივის" კონტრშეტევაზე წამოეგო და ბუგიანიშვილის ლელოც მიიღო. აქამდეც უშეცდომო კვინიხიძემ ახლაც ზუსტად დაარტყა გარდასახვა. ცოტა ხანში ანდღულაძე დაშავდა და რადგან რკინიგზელებს სათადარიგო აღარ ჰყავდათ, თოთხმეტმა განაგრძო თამაში. თუმცა, ნაკლულობამ უფრო შეაგულიანა ლოკომოტიველები და მათაც ზედიზედ სამი ლელოთი დაასცხრეს მეტოქის ჟინი და იმედი. კვინიხიძემ ორი გარდასახა და... 59:0.

**ბაჩო სვანიძე**



ლოკომოტივი 1 — უნივერსიტეტი. გუჯა იოვაძე (ბურთით) ლოკომოტიველთა შეტევას იწყებს

„ყოჩები" — „რუსთავი" და „დათვები" — „ლოკომოტივი 2" გადაიდო

**ტესტ-მატჩები**
უელსი 29:19 ს. აფრიკა
ავსტრალია 22:15 ინგლისი
ახ. ზელანდია 54:7 საფრანგეთი

# კლდიაშვილმა მსაჯი დასცა...

მეათე ტური
ქუთაისი
26 ივნისი

**აია 0:22 (0:10) ასკ**

თამაში მე-60 წუთზე შეწყდა
აია: ბუხაიძე, ბალანჩივაძე, კუხიანიძე (კეპულაძე), კოსტავა, მაღლაკელიძე (წიწილაშვილი), კიკვიძე (ლევიძე), ცნობილაძე, გორგიძე (სვინტრაძე), კიკაჩეიშვილი, გაბრიჩიძე (ტუკვაძე), ჩხაბერიძე, ჩორგოლიანი, აშვეთია, კლდიაშვილი, შავნგირაძე
ასკ: ლიქოკელი, სუჯაშვილი, ზ. მაისურაძე, ქავთარაძე, მათიაშვილი, სვანიძე, მინაშვილი, გაფრინდაშვილი, აბუსერიძე, აბრამიშვილი (შ. მოდებაძე), იაშვილი, კაპანაძე, საკანდელიძე, კოდუა, კიკნაძე
4ლ — კოდუა, იაშვილი, სუჯაშვილი, კაპანაძე; 1გ — შ. მოდებაძე
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

თამაშს რომ სასიკეთო არაფერი მოჰყვებოდა, თავიდანვე იგრძნობოდა. ორი გუნდი (უფრო კი მასპინძელი) ისე დამუხტული იყო ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, ერთი ნაპერწკალი და...

თავდაპირველად ქუთაისელებმა რამდენჯერმე მარდად, მაგრამ უშედეგოდ შეუტიეს, შემდეგ კი უპირატესობა თანდათან არმიელთა მხარეს გადავიდა და პირველი ნახევარიც ორი ლელოს წყალობით სტურებმა მოიგეს. შესვენებამდე მოედანზე ორ-სამჯერ ჩოჩქოლიც ატყდა, გაწევ-გამოწევაც იყო, მაგრამ ეს ყველაფერი დასაშვებ ფარგლებში.

რაც მოხდა, მეორე ტაიმში. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, როცა ასკ 22 ქულით დაწინაურდა. მასპინძლებს, თამაშით რომ ვერაფერი გააწყვეს და მანამდეც შარზე იყვნენ, ბოღმის გადმონთხევის მიზეზიც მიეცათ. მე-60 წუთზე ერთ-ერთი არმიელი მასპინძელს ეუხეშა, ამანაც უმალ ხურდა დაუბრუნა და, აბა, ბიჭებო, დავცხოთო — იქუხეს აიელებმა. რაგბიში ჩხუბი კი გვინახავს, მაგრამ ასეთი სისასტიკე(?!). თბილისში გვცემეს, გვაგინეს, იმის პასუხიაო — იმართლებდნენ თავს ქუთაისელები. არმიელებიც მაგრად დაუხვდნენ. 15X15-ზე ხელჩართული ბრძოლაც ცოტა მიწყნარდა, მატჩის არბიტრმა ნოდარ რობიტაშვილმა, თამაშს ვწყვეტო, დაუსტვინა და ისეთი მოხვდა, მინდორზე გაიშოტა. მსაჯმა კარგა ხნის მერე შეძლო წამოდგომა. ერთი პირობა, თამაშის გაგრძელებაც დააპირა. მაგრამ აქ მასპინძლებმა ველარ მოუყარეს 15 მორაგბეს თავი.

ერთი სიტყვით, „აია" — ასკ დიდი სკანდალით დამთავრდა.

— ჩვიდმეტი წელია რაგბიში ვარ და ასეთ საზიზღრობას არ მოვსწრებივარ. ვინა ხართ თქვენ, საიდან ასეთი სიძულვილი. საკუთარ თავს თუ არ სცემთ პატივს, მაყურებლის ხათრი ხომ უნდა გქონდეთ. ვინ მოგცათ უფლება „აიას" სახელი ასე შებღალოთ. რაგბის ვაჟკაცები თამაშობენ და არა ხულიგნები. მე არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მომხდართან დაკავშირებით რაგბის კავშირი, მაგრამ ვაცხადებ, ერთ კვირაში გუნდიდან წავალ.

ეს სიტყვები სოსო დიაკონიძეს ეკუთვნის, ქუთაისური გუნდის უფროსს. გუშინდელ საერთო კრებაზე „აიამ" წინადღით მომხდარი მოინანია.

— ნერვებს ვიყავი აყოლილი, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. მსაჯს ხელი როგორ დავარტყი?! დასასჯელი ვარ და დამსაჯონ, — არც ცდილა თავის მართლებას 19 წლის ზაზა კლდიაშვილი, ვინაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

ნოდარ რობიტაშვილი გუშინწინაც ქუთაისში გახლდათ, ბავშვთა ლიგის თამაშებს სჯიდა და „სარბიელს" ესღა განუცხადა:

— თამაშის დამთავრებას 20 წუთი აკლდა, როცა დიდი ჩხუბი ატყდა. აყალმაყალი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. შევატყვე, თამაშის გაგრძელებას კარგი არაფერი მოჰყვებოდა, დამთავრების ნიშანი მივეცი. ამ დროს ერთი ქუთაისელი მოთამაშე ჩემსკენ გამოიქცა და დამარტყა.

— იცით, ვინ დაგარტყათ?

— გვარი არ ვიცი, მაგრამ სახით ვიცნობ. ისე, მეთვალყურემ დააფიქსირა. კი, სახეზე ვიცნობ. აი, მის ბარათს რომ ვნახავ, გვარსაც გავიგებ და სახელსაც.

ნოდარ რობიტაშვილს ბარათის ნახვა აღარ დასჭირდება. საქმე ის არის, რომ გუშინწინ საღამოს ზაზა კლდიაშვილმა საჯაროდ მოუხადა ბოდიში მსაჯს, შევცდი და მაპატიეო.

მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. „აიას" საერთო კრებამ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ზაზა კლდიაშვილს სასჯელად სასტიკი საყვედური (უკანასკნელი გაფრთხილებით), 5 თამაშით დისკვალიფიკაცია და ორი თვის ხელფასის დაქვითვა გამოუტანა.

შაბათს ქუთაისში მომხდარზე, რაღა თქმა უნდა, რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიაც იმსჯელებს.

**დიმიტრი თაგაგარი**
**იუზა კაციტაძე**
ქუთაისიდან

# მამა — ბატონი და მტერი



ლორენცო მანტა

## უკანასკნელი შვეიცარიელი

შვეიცარიელებს უიმბლდონზე წლეულს იმისთანა დესანტი ჰყავდათ გადმოსხმული, ბარე ერთ და ორ ქვეყანას შეშურდებოდა: მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი, პატი შნიდერი, გიგანტი მარკ როსე, იუნიორების მსოფლიოს ჩემპიონი როჯერ ფედერერი.

აბა, ვინ ელოდა, რომ მთელი ამ სახელებიდან „ოლ ინგლენდ კლაბს" მეორე კვირისთვის არავინ შერჩებოდა, ერთადერთი შვეიცარიელი კი თანამემამულეებისთვისაც უცნობი ლორენცო მანტა იქნებოდა? — არავინ, თვით მანტაც კი.

24 წლის ტანმაღალმა შვეიცარიელმა, რომელიც კლასიფიკაციაში 196-ეა, აქამდე კი ATP ტურზე, დევისის თასზე თუ დიდი სლემის ტურნირზე ერთი მატჩიც ვერ მოეგო და 11 წაეგო, უიმბლდონის უპირველესი ფავორიტი, 1996 წლის ჩემპიონი რიჩარდ კრაიჩეკი დაამარცხა 6:3, 7:6 (7:5), 4:6, 4:6, 6:4.

„ორი წლის წინ ჩოგბურთისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, თუმცა ყოველთვის ვგრძნობდი, რომ გაცილებით მეტის მიღწევა შემეძლო. სასიამოვნოა, რომ ეს უიმბლდონზე მოხდა".

ბოლო ორი სეზონის მანძილზე მანტას მხრის, იდაყვის და მაჯის ტრავმები აწვალებდა, თებერვალში კი საერთოდ უცნაური რამ დაემართა: „თითებში სისხლი აღარ მოძრაობდა, ჩოგანს ხელში ვეღარ ვიჭერდი. ექიმებიც კი ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა, ყველანაირად გამსინჯეს და ვერაფერი აღმომიჩინეს. თუმცა ორ კვირაში თავისით გამიარა."

ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მანტა უიმბლდონს ენერგიით სავსე ეწვია, საკვალიფიკაციო ტურნირზე სამი მატჩი მოიგო, მერე ინგლისელი სფინქსი და ამერიკელი ჟან მაიკლ გემბილი ხუთ სეტში დაამარცხა, თუმცა თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ზორბა ჰოლანდიელისთვის ვერაფერი უნდა დაეკლო.

„ჩემპიონების სასაფლაოდ" წოდებულ მეორე კორტზე მორიგი ჩემპიონისთვის საფლავის თხრას შვეიცარიელი თავიდანვე შეუდგა მეორე მოწოდების პირველზე არანაკლები სისწრაფით დარტყმებითა და პირველ-მეორე ხელის მოგებით.

კრაიჩეკმა, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე უჩვეულოდ ბევრს სცოდავდა ბადესთან, ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხა, მეხუთე სეტშიც 1:4-დან წამოეწია მეტოქეს, მაგრამ მადლს მარილი ვეღარ მოაყარა.

„ვიფიქრე, გადამწყვეტ მომენტში ანერვიულდება და თავად მომაგებინებს-მეთქი, მაგრამ ამის ნაცვლად სულ უკეთ და უკეთ ათამაშდა" — აღნიშნა მოგვიანებით ჰოლანდიელმა.

მანტა მატჩის ბოლოს მართლაც არაჩვეულებრივ თამაშობდა მიღებაზე — კრაიჩეკი ფონს მხოლოდ ეისებითღა გადიოდა, მეორე მოწოდებებზე კი მწარედ ისჯებოდა, სწორედ ისე, როგორც შესანიშნავი ბექჰენდით მეორე მატჩპოინტზე.

„სიმართლე გითხრათ, მართლა ვნერვიულობდი. ოღონდ ვცდილობდი, მოგებაზე კი არა, მხოლოდ მომდევნო ქულაზე მეფიქრა" — განაცხადა მანტამ, რომელმაც მანამდე კითხვას, კარიერაში აქამდე რისთვის მიგიღწევიათო, ასევე პატიოსნად უპასუხა — არაფრისთვისო.

## გოგოები და მამიკოები

წლევანდელ სენსაციებით მწირ უიმბლდონზე ნათელი წერტილი უმეტესად 16-17 წლის ქერა და თითქმის უკლებლივ გრძელკიკინიანი გოგონებია, რომელთაც ამასთან ფრიად კოლორიტული მამებიც ჰყავთ. მარტინა ჰინგისის მჯობ ელენა დოკიჩს ამჯერად ორმა თანატოლმაც აუბა მხარი.

17 წლის მირიანა ლუჩიჩს ჯერ კიდევ 1997-ში უწინასწარმეტყველებდნენ ვარსკვლავობას, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო თითქმის ერთი სეზონია, მისი პროგრესი სრულიად შეჩერდა.

10 თვის წინ მირიანა დედასთან — ანიელკასთან და დაძმებთან ერთად ხორვატიიდან ტირან მამას, ყოფილ ათჭიდელ მარენკოს ფლორიდაში გაექცა. უფროსი ლუჩიჩი თურმე ქალიშვილს გამუდმებით სცემდა, ხან არასაკმარისი ვარჯიშის, ხან კი წაგებების შემდეგ.

მარენკო ბრალდებებს ახლაც უარყოფს, თუმცა მირიანა აღარაფერს მალავს: „იგი უფრო მეტს მირტყამდა ვიდრე შეიძლება წარმოიდგინოთ. მაგრამ ახლა ყველაფერი უკან დარჩა. სირთულეები პირიქით, უკეთეს ჩოგბურთელად გახდომაში დამეხმარა, გამომაწრთო".

ჯანიანმა ლუჩიჩმა მესამე წრეში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანს, მონიკა სელეშს მოუგო 7:6 (7:4), 7:6 (7:4), თანაც ექსიუგოსლაველს ძალაში აჯობა, სწორედ იმაში, რის წყალობითაც ბატონობდა სელეში 90-იანების დასაწყისში.

თუ ლუჩიჩის შესახებ ასე თუ ისე აქამდეც ბევრი ვიცოდით, ტურნირის უმრწმესი ჩოგბურთელი, 16 წლის ბელგიელი კიმ კლაისტერსი მართლაც ციდან ჩამოვარდა.

კლაისტერსმა, რომელიც შარშან იუნიორთა შორის ფინალისტი გახლდათ, მესამე წრეში გამოცდილი სამხრეთაფრიკელი, 27 წლის ამანდა კუტცერი (12) დაამარცხა 6:2, 6:4.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ 16 წლის ბელგიელი ინგლისურის გამოცდას აბარებდა სკოლაში, მერე კი გაკვეთილებიდან გათავისუფლება ითხოვა, უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირზე სამი მატჩი მოიგო და ამას სამიც ქირითად ბადეში მიუმატა.

რაკი ოჯახის წევრები ქალიშვილისგან მხოლოდ იუნიორებში თამაშს ელოდნენ, დედამ, ელსმა კიმის გამარჯვებაზე დასასწრებად გადმოფრენა ვერც კი მოასწრო, სამაგიეროდ, მამა, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლეო კლაისტერსი იქვე გახლდათ.

„მეხელენის" შემადგენლობაში 1990 წელს თასების თასის მფლობელი ნახევარმცველი თურმე ქალიშვილის საჩოგბურთო კარიერას სერიოზულად არასოდეს აღიქვამდა და თითქმის გულგრილადაც იყო განწყობილი, თუმცა ამას მერვედფინალში შტეფი გრაფთან შეხვედრაზე ვერაფრით იტყვი.

„ჩემი ოჯახისთვის ეს შესანიშნავი კვირა იყო. ბავშვობიდან ვნატრობდი შტეფისთან შეხვედრას ცენტრალურ კორტზე. იგი ჩემს გარდა მამაჩემის საყვარელი ჩოგბურთელიაცაა".

თუმცა ამ წარმატების შემდეგაც კი კიმი პროფესიონალებში გადაბარგებას ძნელად თუ მოახერხებს: ბელგიაში 18 წლამდე სწავლა სავალდებულო ყოფილა, აგვისტოში კი მას მათემატიკაში, ფრანგულსა და ქიმიაში ელის გამოცდა.

მოახერხებს კი კლაისტერსი თუნდაც მომდევნო დიდი სლემის ტურნირზე, აშშ-ში ასპარეზობას? — „არ ვიცი, ალბათ სკოლის დირექტორთან მომიხდება საუბარი" — იღიმის იგი.

მესამე წრე. კაცები: **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — დენი სეპსფორდი (ინგლისი) 6:3, 6:4, 7:5, **პატრიკ რაფტერი** (2, ავსტრალია) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:2, 6:2; **ანდრე აგასი** (4, აშშ) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2, 6:0, 2:6, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (6, ინგლისი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:1, 6:7 (8:10), 6:3, 6:2; **მარკ ფილიპუსისი** (7, ავსტრალია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:5, 6:4, 6:4; **გრეგ რუზედსკი** (9, ინგლისი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:3, 6:4, 7:5; **გორან ივანიშევიჩი** (10, ხორვატია) — პოლ ჰაარჰუისი (ჰოლანდია) 7:6 (7:2), 6:4, 7:6 (7:3); **ბორის ბეკერი** (გერმანია) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 6:1, 6:4, 7:6 (7:5).

ქალები: **შტეფი გრაფი** (2, გერმანია) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:1, 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ლაურა გოლარსა (ესპანეთი) 6:3, 6:2; **იანა ნოვოტნა** (5, ჩეხეთი) — მარია ანტონია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:4, 6:3; **ნატალი ტოზია** (8, საფრანგეთი) — სედა ნურლანდერი (ჰოლანდია) 6:1, 6:1; **მარი პირსი** (9, საფრანგეთი) — ელენა ვაგნერი (გერმანია) 6:3, 6:0; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — ჟული ალარი (11, საფრანგეთი) 6:3, 6:3; **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) — სანდრინ ტესტიუ (13, საფრანგეთი) 6:2, 1:6, 6:3; **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 6:7 (7:9), 6:3, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



კიმ კლაისტერსი

## სხვადასხვა



ბეტმენი და რობინი

**წლევანდელი** უიმბლდონი საჩოგბურთო ტურნირზე უფრო ზოოპარკს წააგავს. დავიწყოთ იმით, რომ გასული 12 თვის მანძილზე „ოლ ინგლენდ კლაბს" შეჩვეულ მტრედებს თავიანთ ადგილების დათმობა არაფრით სურთ და მატჩების დროს ზედ კორტზე სხდებიან.

მეხუთე კარიბჭის შესასვლელთან მდებარე ფრედ პერის ქანდაკებას კი გულწითელა შეეჩვია და უკანასკნელი ინგლისელი კაცი ჩემპიონის ჩოგანზე მოკალათებულს სძინავს. რაკი გულწითელა ინგლისურად „რობინია", მასპინძელთა გულის გასახეთქად, ადგილს სასწრაფოდ მიაკრეს მეტსახელად „ბეტმენი და რობინი" ამერიკული ვაიკინოშედევრის მიბაძვით.

კლუბის კარიბჭესთან კი შემდეგი განცხადებაა მოთავსებული მძღოლების საყურადღებოდ — „გაუფრთხილდით ბატებს". ბატები თურმე აქ ახლოს მდებარე უიმბლდონის პარკიდან სტუმრობენ.

* * *

**ერთი** სიახლეც წლევანდელ უიმბლდონზე: მორცხვ ქომაგთა გასახარად ორგანიზატორებმა საგანგებო „ავტოგრაფების კუნძული" მოაწყვეს, სადაც დღეში ერთხელ ან ორჯერ ჩოგბურთელები მოდიან და ბურთებზე, კეპებზე, პლაკატებზე თუ სხეულებზე დაუზარებლად აწერენ ხელს.

პირველმა ეს ვალდებულება უიმბლდონის შარშანდელმა იუნიორთა ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა იკისრა, რომელიც 9 პირადი მცველის თანხლებით გამოცხადდა დანიშნულ ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ 17 წლის შვეიცარიელის სახელი ცოტამ თუ იცოდა, რიგი მაშინვე ათობით ქომაგმა დაიკავა...

...იმავე წუთს ორიოდ მეტრში უიმბლდონის ორგზის ჩემპიონმა სტეფან ედბერგმა გაიარა. იგი ვერავინ იცნო.

* * *

**პირველად** წლეულს, უიმბდონის ორ ცენტრალურ კორტზე მაყურებლებს ჩოგბურთელების მოწოდებათა სისწრაფის ნახვა შეუძლიათ: დარტყმიდან ერთ წამში შედეგი საგანგებოდ მოწყობილ ტაბლოზე ინთება.

ათობით ტურნირზე მთელს მსოფლიოში ეს „სიახლე" უკვე რამდენიმე წელია, დაინერგა, მაგრამ ყველაზე კონსერვატიულ პირველობაზე ყველაფერი ას[illegible] გაზომე, [illegible]ლ გაჭერის პრინციპით მოქმედებს.

„[illegible]კენ ყოველთვი[illegible] ვსურს, ჩემპიონატზე მოსულმა ხალხმა სიამოვნება მიიღოს. მოწოდების სიჩქარის გაზომვამ ცენტრალურ და პირველ კორტზე ამას ხელი უნდა შეუწყოს" — განაცხადა უიმბლდონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა კრისტოფერ გორინჯმა.

თუმცა ახალ ტაბლოს მძიმე დარტყმა პირველივე დღეს მიაყენეს: პიტ სამპრასთან მატჩის დასაწყისში ავსტრალიელმა სკოტ დრეიპერმა მას ბურთი ისე ძლიერად ხეთქა, კარგა დიდი ხვრელით დააჯილდოვა.

* * *

**ინგლისელი** ჟურნალისტები მსოფლიოში ყველაზე აბეზრებად და მოურიდებლებად ითვლებიან. თუ ამაში ეჭვი გეპარებათ, ანა კურნიკოვას პრესკონფერენციის ნაწყვეტები ნამდვილად დაგარწმუნებთ.

— ბოიფრენდი აქა გყავს საქომაგოდ?

— მე არ მყავს ბოიფრენდი.

— სერგეი ფიოდოროვს დაშორდი?

— თავს შევიკავებ პასუხზე.

— ანა, თუ ბოიფრენდი არა გყავს, არ გინდა, რომ გყავდეს?

— არ ღირს კომენტარი.

იმავე დღეს ანა კურნიკოვა, რომელსაც ინგლისური ყვითელი პრესა რონალდოსთან კავშირში „ამხელდა", „დეტროიტ რედ უინგსელ" ფიოდოროვთან ერთად იხილეს, ეს თითზე ბრილიანტის ბეჭედთან დააკავშირეს და ახლა უკვე ჭორი ააგორეს, 18 წლის რუსმა და ჰოკეის ვარსკვლავმა საიდუმლოდ იქორწინეს და ბოიფრენდი სწორედ ამიტომ აღარ ჰყავსო.

პრესკონფერენცია ორი დღის შემდეგ:

— ანა, უსამართლობაა, რომ ერთ დღეს ერთს ამბობთ და მეორე დღეს მეორეს აკეთებთ.

— მე არაფერი მითქვამს, ვთქვი, არ ღირს-მეთქი კომენტარი.

— ბოიფრენდი არ მყავსო, მერე კი სერგეისთან გხედავთ, ბეჭედით, ყველა დაბნეულია. აგვიხსენი, რა ხდება?

— არ გიპასუხებთ.

ისე, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა, არა?

* * *

**რა** შეიძლება იყოს თანამედროვე ინგლისელ ჟურნალისტზე უარესი? პასუხი მარტივია: 100 წლის წინანდელი ინგლისელი ჟურნალისტი.

საკმარისია ამისთვის 1896-ის რამდენიმე ბწკარს გადავავლოთ თვალი.

ოთხგზის ჩემპიონი შარლოტ სტერი ერთმა ენამწარემ აღწერა, როგორც „არაჩვეულებრივად ძლიერი და აქტიური გოგონა ნაპატივები სტრაუსის გარეგნობით".

ირლანდიელმა ჰეროლდ მელოუნმა, რომელიც მოგვიანებით ველოსიპედიდან გადმოვარდნის შედეგად დაიღუპა, შემდეგი ეპითეტები დაიმსახურა: „ყველაზე გულკეთილი, მარტივი და უპასუხისმგებლო 75 დუიმი ძვლებისა და კუნთებისა, რასაც კორტზე ოდესმე დაუდგამს ფეხი".

* * *

**თუმცა** ამის შემდეგ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თავისი უცნაურობებით მასპინძელ კალმოსნებს ჩოგბურთელებიც ხშირად უჩენდნენ სარკაზმის საბაბს.

ამერიკელი ტეპი ლარსენი ისეთი ცრუმორწმუნე იყო, რომ ყოველ გათამაშებას შორის თითოეულ ფეხსაცმელს სამჯერ მაინც უნდა შეხებოდა.

ჯორჯ გედსელს ძალიან სჯეროდა უჩვეულო დიეტების. იგი ტურნირის მანძილზე კილოობით უმ სტაფილოს ჭამდა და ლიმონის წვენში ბანაობდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ბურთის უკეთ დანახვას უწყობდა ხელს. ფილიპინელი ფელიცისიმო ამპონის „ძალის მოსაკრები" დიეტა კი მხოლოდ უმი კვერცხებისგან შედგებოდა.

ჰაინრიხ რედლმა მეორე მსოფლიო ომში ცალი ხელი დაკარგა, მაგრამ 1946-ში ტურნირზე მაინც ითამაშა. ავსტრიელი მოწოდების დროს ბურთს ჩოგნით აგდებდა ზევით.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ესპანეთის ჩემპიონატი. გადასასვლელი ტურნირი.** საპასუხო მატჩები | | | |
| 30.06 | რაიო ვალეკანო — ესტრემადურა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | სევილია — ვილიარეალი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **ავსტრიის ჩემპიონატი.** I ტური | | | |
| 29.06 | ტიროლი — რაპიდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 30.06 | ბრეგენცი — რიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ზალცბურგი — ლუსტენაუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ლინცერი — შტურმი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | გრაცერი — აუსტრია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | **შვედეთის ჩემპიონატი.** | | | |
| 29.06 | დუირგარგენი — მალმიო (XII ტური) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 30.06 | ტრელებორგი — ჰამსტადი (XIII ტური) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 10.07 | ჰამარბი — ნორჩიოპინგი (XIII ტური) | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | იორგრიტე — ელგსბორგი (XIII ტური) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | **ნორვეგიის თასი.** მერვედფინალი | | | |
| 30.06 | ბოდო გლიმტი — ლინი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | კიელსასი — მოლდე | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | ლილესტრომი — ჰაუგესუნდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ოდ გრენლანდი — ვიკინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | რაუფოსი — კონგსვინგერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | რუსენბორგი — მოსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ტრომსო — სტაბეკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ვალერენგა — ბრანი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | **კოპა ამერიკა.** I ტური | | | |
| 29.06 | პერუ — იაპონია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | პარაგვაი — ბოლივია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 30.06 | ჩილე — მექსიკა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ბრაზილია — ვენესუელა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 1.07 | ურუგვაი — კოლუმბია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | არგენტინა — ეკვადორი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | **ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი.** მეოთხედფინალი | | | |
| 30.06 | ჩინეთი — რუსეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ნორვეგია — შვედეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 1.07 | აშშ — გერმანია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ბრაზილია — ნიგერია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | **კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი.** მეოთხედფინალი | | | |

*კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

### ქვეყნის ჩემპიონატები

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |
| **იტალია** | |
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |
| **შოტლანდია** | |
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა (მოსკოვი) | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0*

### ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0*

### უეფას თასი

UEFA CUP

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 30,0 |
| იუგოსლავია | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0*

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტესი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მ) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 25,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0*

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*უეფას თასზე იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# აწვიმდა მანი-კურს

მონასტერი შაბათს, კვალიფიკაციაზევე აირია. უკვე წვიმდა, როცა მრბოლებს ტრასაზე გასვლის უფლება მისცეს. კარგა ხანს მანი-კურის წრეზე მარტო წყლის წვეთები დაკუნტრუშობდნენ, მერე კანტი-კუნტად ფერად-ფერადი მანქანებიც გამოსრიალდნენ. ფავორიტები, როგორც ყოველთვის, არ ჩქარობდნენ — ბოქსებში, ზედ ცხვირწინ ჩამოკიდებული ეკრანებიდან უთვალთვალებდნენ „არიფებს". არიფებში ამჯერად ალეზი, ბარიკელო, ფრენცენი, პანი და ტრული მოხვდნენ. გაივლის კიდევ თხუთმეტიოდე წუთი და ბოქსები ფუტკრის სკასავით აირევა — წვიმის გადაღების მომლოდინენი ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ ცოტაც და წრის შემოვლა ცურვით მოუწევდათ, რადგან წვიმამ კი არ უმატა, კოკისპირულად დასცხო. საბოლოოდ მიხაელ შუმახერმა მხოლოდ მეექვსე შედეგი აჩვენა, ჰაკინენმა — მეთოთხმეტე, ირვინმა კი — მეჩვიდმეტე.

კვირას ტრასა გაშრა, მაგრამ მანი-კურის თავზე შეყრილი ღრუბლების ნდობა, ცოტა არ იყოს, სარისკო იყო. არადა, რისკი ფორმულა 1-ის თანმდევი ფაქტორია. ასე რომ, ვინც რბოლის წინ ბოლიდი სველი ტრასისთვის დაარეგულირა, რა თქმა უნდა, გარისკა, მაგრამ გარისკა იმანაც, ვინც მოქუფრული ცა სათვალავში არ ჩააგდო. გამარჯვების ორი მთავარი პრეტენდენტის საქმე კი ასე იყო: შუმახერის „ფერარი" წვიმისთვის იყო მომზადებული — მაქსიმალურად გაზარდეს საბურავებსა და ტრასას შორის შეჭიდების ძალა, ცხადია, სისწრაფის ხარჯზე. ჰაკინენის „მაკლარენი" პირიქით — ინჟინრებს არაფერი არ გაუკეთებიათ ისეთი, რაც სისწრაფეს დააკლებდა ბოლიდს. შეიძლება ითქვას, რომ ორივე გადაწყვეტილება სწორი იყო. თუ გაწვიმდებოდა, ჰაკინენს მეთოთხმეტე პოზიციიდან არავითარი შანსი არ ექნებოდა, შუმახერს კი სველი ტრასა ერთიორად უზრდიდა რბოლის მოგების შანსს.

ასეთ შემთხვევებში იღბალი წყვეტს ყველაფერს. იღბალი კი, როგორც ავიენები ამბობენ, კარგა ხანია ჰაკინენის მხარესაა. თუმცა ამჯერად ფორტუნამ არავინ არ გაანაწყენა: რბოლის ერთი მესამედი — დაახლოებით ნახევარი საათი წვეთი არ ჩამოვარდნილა, მორიგი ნახევარი საათი წვიმდა, უკანასკნელ მესამედში წვიმის გადაღების შემდეგ კი ტრასა ნელ-ნელა შრებოდა. ესე იგი, თუ რბოლა მისთვის განკუთვნილ დროში ჩაეტეოდა, ორივე მეტოქე აბსოლუტურად თანაბარ პირობებში იქნებოდა.




ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა და ედი ჯორდანმა შამპანური დაიწვიმეს

ასე ინება ბუნებამ, მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობდა და სხვანაირადაც მოიქცა მიწაზე მისი აღმსრულებელი, კაცი, რომელსაც რბოლის მსაჯი ჰქვია.

ცხენების შეჯიბრებაში, ესე იგი დოღში, ჟოკეი მხოლოდ თანამონაწილეა გამარჯვების, ამა თუ იმ პრიზის მფლობელად კი მხოლოდ ცხენს მოიხსენიებენ. ეს იმიტომ, რომ ძალიან ბევრია დამოკიდებული თვითონ ცხენზე. ავტომობილების შეჯიბრებაში ორი პრიზი ფიგურირებს — კონსტრუქტორთა, რომელსაც ავტომობილის სახელით აღნიშნავენ და, მრბოლის, სადაც მთავარი პილოტის სახელი და გვარია.

ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — ავტორბოლებში დოღებისგან განსხვავებით, მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ მრბოლის ოსტატობას. ოსტატობა კი ისეთი რამეა, რაც უკეთესად ჩანს არაორდინალურ პირობებში — რთულ მოსახვევებიან ტრასაზე, წვიმაში...

მაგრამ დავუბრუნდეთ მსაჯს.

მეოცე წრის შემდეგ ტრასაზე წვიმის პირველი წვეთები დაეცა. მანამდე საოცარი ამბები ხდებოდა მანი-კურის წრეზე. ხუთიოდე წუთი იყო გასული რბოლის დაწყებიდან და ჰაკინენმა მეთოთხმეტედან მეშვიდე პოზიციაზე გადაინაცვლა. ეს იყო მეოთხე წრეზე, მეათეზე კი ჰაკინენმა შუმახერსაც გადაასწრო, მაგრამ უპარტნიოროდ დარჩა — გალიდერებულ კულჰარდს შეცდომა მოუვიდა და თავის ბოლიდიანად ქვიშაში გაეხირა. ტრასა ჯერ კიდევ მშრალია და ჰაკინენი ერთიმეორის მიყოლებით ასწრებს ფრენცენსა და ალეზის.

ოცდამეოთხე წრეზე, როცა უკვე გვარიანად დასველდა ასფალტი, როცა ტყაპა-ტყუპით გაცვივდნენ ტრასიდან მზიანი ამინდის მოყვარული პილოტები, როცა ბრძოლის ველს 13 მანქანაღა შემორჩა, პელოტონს სათავეში მოექცა ზოგისთვის საოცნებო, ზოგისთვის საძულველი უსაფრთხოების მანქანა და მართლაც ძალზე საინტერესო რბოლა სამგლოვიარო პროცესიას დაემსგავსა.

მთელი ოცდაათი წუთი გრძელდებოდა ეს ვითომ რბოლა თუ ვითომ შეჯიბრება, ამასობაში ათიოდე წრეც ხელში შემოადნათ, წვიმამაც გადაიღო, შეჯიბრების მსაჯი კი არა და არ იძლეოდა რბოლის გაგრძელების უფლებას.

ბარიკელო, ჰაკინენი, ფრენცენი, შუმახერი... ჰაკინენს, ეტყობა, გაუტკბა პეისკარით ფინიშამდე მიცილება და, ალბათ, არც ახლა იქნებოდა წინააღმდეგი, რაც შეიძლება დიდხანს ევლო ასფალტის სატკეპნი მანქანის სიჩქარით, შუმახერის შანსები კი ყოველი წრის შემდეგ თანდათან მცირდებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ახსნეს ჯადო ასფალტს და ჰაკინენმაც და შუმახერმაც მაშინვე შეუტიეს თავთავიანთ მეტოქეს. ფინელმა, როგორც ჩანს, მაინც იჩქარა — ადელაიდად წოდებულ 150 გრადუსიან მოსახვევში ვერ დაიმორჩილა ბოლიდი და ასფალტზე დაბზრიალდა. შეცდომა ძვირად დაუჯდა მსოფლიოს ჩემპიონს — თვალის დახამხამებაში აღმოჩნდა მეშვიდე ადგილზე.

ორივე „ფერარი" საფუძვლიანად შეუდგა საქმეს. მალე ირვინი გაუსწორდა ჰაკინენს, შუმახერმა ზუსტად იმავე ადელაიდაზე მესამე ცდით ფრენცენი, მერე კი ბარიკელოც ჩამოიტოვა. ყოველი წრის შემდეგ სხვაობა შუმახერსა და ჯგუფად მიმავალ ექვს მანქანას შორის თანდათან იზრდება.

ორმოცდამეათე წრისთვის, როცა შუმახერს ათწამიანი სხვაობა და გამარჯვების სავსებით რეალური შანსი აქვს, რაღაც გაუთვალისწინებელი ემართება „ფერარის" საჭეს, ადრე დაკარგულ წამებს ბოქსებში კიდევ თხუთმეტი ემატება, ამასობაში ასფალტიც თანდათან შრება და როცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ტრასას უბრუნდება, ირკვევა, რომ მიხაელის ბოლიდი მხოლოდ მეხუთეა და თან ვეღარც ძველებურად მოძრაობს.

ჰაკინენი ისევ, ახლა უკვე მეორედ იწყებს პოზიციების დაბრუნებას, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ მეორე ადგილსღა შესწვდება. რბოლას კი ჯორდანის ყვითელი გუნდის გასახარად ფრენცენი იგებს, თუ არ ვცდები, ერთადერთი პილოტი, რომელიც ერთადერთხელ შევიდა საბურავების გამოსაცვლელად და საწვავის დასამატებლად.

ირაკლი ბერიაშვილი

### რბოლის შედეგები

**საფრანგეთის დიდი პრიზი**
27 ივნისი. პარიზი
დისტანცია — 72 წრე — 305.814 კმ

1. ფრენცენი (ჯორდანი) 1:58.24,343 (154,965 კმ/სთ) 10 ქულა
2. ჰაკინენი (მაკლარენი) ჩამორჩა 11,092 წმ 6 ქულა
3. ბარიკელო (სტიუარტი) 43,432 4 ქულა
4. რ. შუმახერი (უილიამსი) 45,475 3 ქულა
5. მ.შუმახერი (ფერარი) 47,881 2 ქულა
6. ირვინი (ფერარი) 48,901 1 ქულა
7. ტრული (პროსტი) 57,771
8. პანი (პროსტი) 58,531
9. ზონტა (BAR) 1.28,764
10. ბადოერი (მინარდი) 1 წრით
11. დე ლა როსა (ეროუსი) 1 წრით

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი (1.19,227)

**ლიდერები**

1-5 წრე ბარიკელო
6-9 კულჰარდი
10-43 ბარიკელო
44-54 მ. შუმახერი
55-59 ბარიკელო
60-65 ჰაკინენი
66-72 ფრენცენი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ფიზიკელა (ბენეტონი) გაიარა | 42 წრე |
| ჰილი (ჯორდანი) | 31 |
| ძანარდი (უილიამსი) | 26 |
| ვილნევი (BAR) | 25 |
| ვურცი (ბენეტონი) | 25 |
| ჟენე (მინარდი) | 25 |
| ალეზი (ზაუბერი) | 24 |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 9 |
| დინიცი (ზაუბერი) | 6 |
| ჰერბერტი (სტიუარტი) | 4 |
| ტაკაჯი (ეროუსი) დისკვალიფიკაცია | |

## განლაგება სტარტზე




FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | | | | | | | | | | 40 |
| 2 **მ.შუმახერი** (გერმანია) ფერარი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | | | | | | | | | | 32 |
| 3 **ირვინი** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | | | | | | | | | | 26 |
| 4 **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | | | | | | | | | | 23 |
| 5 **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | | | | | | | | | | 15 |
| 6 **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | | | | | | | | | | 13 |
| 7 **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | | | | | | | | | | 12 |
| 8 **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | | | | | | | | | | 10 |
| 9 **ჰილი** (ბრიტანეთი) ჯორდან მუგენ ჰონდა | – | – | 3 | – | – | – | – | | | | | | | | | | 3 |
| 10 **ჰერბერტი** (ბრიტანეთი) სტიუარტ ფორდი | – | – | – | – | – | 2 | – | | | | | | | | | | 2 |

პანი (პროსტი), დე ლა როსა (ეროუსი), ალეზი (ზაუბერი), ვურცი (ბენეტონი), ტრული (პროსტი), დინიცი (ზაუბერი) — 1 ქულა

| | ავსტრალია | ბრაზილია | სან მარინო | მონაკო | ესპანეთი | კანადა | საფრანგეთი | დიდი ბრიტანეთი | ავსტრია | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | ევროპის დიდი პრიზი | მალაიზია | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | | | | | | | | | | 58 |
| 2 მაკლარენ მერსედესი | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | | | | | | | | | | 52 |
| 3 ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | | | | | | | | | | 26 |
| 4 უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | | | | | | | | | | 15 |
| 5 ბენეტონი | 3 | – | 2 | 3 | – | 6 | – | | | | | | | | | | 14 |

6. სტიუარტი — 12 ქულა; 7-8. პროსტი, ზაუბერი — 2; 9. ეროუსი — 1

# ვინ, თუ არა სან ანტონიო!

მატჩის დამთავრებამდე სულ რამდენიმე წამია დარჩენილი. ანგარიში უკვე 78:77-ია. ახლახან სან ანტონიოს გამთამაშებელმა აივერი ჯონსონმა აჯობა ჩარლი ვორდს და თავის ხანგრძლივ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო. ვორდი ცდილობს საქმე გამოასწოროს — აი, გასცდა ჯონსონს, თვითონ შეტევა ვერ გაბედა, წინ ხომ უზარმაზარი კედელია დევიდ რობინსონისა და ტიმ დანკანის სახით, ისევ ლატრელ სპრიუელს, იმ დღეს ყოვლისშემძლე ნიუიორკელს გადააწოდა პასი, ახლა ყველაფერი იმ დღეს 35 ქულის ჩამგდებ თმადაწნულ ზანგის ბიჭზეა დამოკიდებული. ნიუ იორკს კიდევ რჩება შანსი. მას შესცქერის დარბაზში მისული ორი ათეული ათასი გულშემატკივარი, ათეულობით მილიონი ამერიკელი ტელეეკრანზე და ბოლოს მთელი მსოფლიო. სპრიუელს (196 სმ) მასზე ოცი სანტიმეტრით მაღალი დევიდ რობინსონი აესვეტა, გადაეფოფრა თავის ფარს. სპრიუელს ორი წამიც აღარ დარჩენია, მეტი გზა აღარ აქვს, ესვრის „ადმირალის" ხელებს ზემოდან. ამოიგმინა ორი ათეული ათასი გულშემატკივრით შევსებულმა „მედისონ სკვერ გარდენმა" და მილიონობით ნიუიორკელმა ტელეეკრანების წინ. იმ დღეს „ნიქსში" მოთამაშე ზანგის ბიჭებიდან (იქ თეთრი მხოლოდ უსახური კრის დადლია) ერთადერთმა ღირსეულად მებრძოლმა და ბოლომდე დახარჯულმა ლატრელ სპრიუელმა ბურთის ჩაგდება ვერ შეძლო. ნიუ იორკი დაილუპა. დარჩენილი ორი წამიც თვალის დახამხამებაში გაფრინდა და სირენამ მსოფლიოს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ახალი ჩემპიონის დაბადება ამცნო.

„სან ანტონიო სფურზი" ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ყოფნის 23-წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად გახდა ასოციაციის ჩემპიონი, სხვანაირად მსოფლიოს ჩემპიონი, როგორც ოკეანის გაღმა უწოდებენ ჩემპიონ გუნდს და სრულიად სამართლიანადაც. 70-იან წლებში შტატებში ნბა-ს პარალელურად სხვა ლიგაც არსებობდა — ამერიკის საკალათბურთო ასოციაცია, რომელმაც ვერ გაუძლო კონკურენციას და დაიშალა. იქ მოთამაშე გუნდები კი კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში გადმობარგდნენ. პირველი მათგანია სან ანტონიო, რომელიც ნბა-ს ფინალში გავიდა, გავიდა და ძლევამოსილი გამარჯვებაც იზეიმა.

წლეულს „სფურზი" ნამდვილად შეუდარებელი იყო. იგი ყველა დანარჩენ გუნდებზე ერთი თავით მაინც მაღლა იდგა. რეგულარული ჩემპიონატის მოგების შემდეგ სან ანტონიომ პლეი ოფშიც ყველას გადაუქროლა ისე, რომ თავისი უპირატესობა ეჭვქვეშ არავისთან დაუყენებია. ახლა უკვე ჩემპიონ გუნდს ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ისევ ერთი შეხედვით საშუალო დონის აღმოსავლურმა გუნდმა „ნიუ იორკ ნიქსმა" „შეჰკადრა": სერიის მესამე მატჩში მარცხი აგემა ჩემპიონს და პლეი ოფში 12-მატჩიანი ტრიუმფალური სვლა შეაწყვეტინა. თუმცა პლეი ოფში ზედიზედ 12 მატჩის მოგება ისედაც სარეკორდო შედეგია ლიგის 53-წლიანი არსებობის მანძილზე. ფინალში აღმოსავლელი გრანდების გაბითურების შემდეგ მოხვედრილ ნიუ იორკის წინააღმდეგობა ამ ერთი მოგებით არ შემოფარგლულა: „ნიქსმა" თავი დადო, ძალები არ დაზოგა, სან ანტონიო გვარიანადაც გააწამა, მაგრამ მოიგო უფრო ძლიერმა, უძლიერესმა და მოიგო ისე, როგორც მას შეეფერებოდა — 4:1.

და მაინც, ნუ დავუკარგავთ ნიუ იორკს გარჯას. „ნიქსი" მშვენიერი გუნდია, ბოლო ათწლეულში ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო, რომელმაც მაინც ვერ შეძლო ოქროს გამოჭედვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში მეორედ გავიდა ფინალში. პირველად ეს 1994 წელს მოხდა. მაშინ ნიუ იორკმა, რომლის შემადგენლობიდანაც დღეს მხოლოდ პატრიკ იუნგილაა შემორჩენილი (მას ამ ფინალურ სერიაში ტრავმის გამო არც ერთი წუთი არ უთამაშია, ასევე ტეხასურ გუნდთან) „ჰიუსტონ როკიტსთან" წააგო ფინალური სერია 3:4.

ერთიც აღვნიშნოთ, კალათბურთის გულშემატკივარმა წლეულს ბოლო წლებისაგან განსხვავებული ფინალი იხილა. წლების განმავლობაში უძლეველი „ჩიკაგო ბულზის" ჰეგემონიას ნაჩვევმა ხალხმა დაინახა ახალი გუნდი, რომელმაც ისეთივე სიმსუბუქით დალაშქრა საკალათბურთო სამყაროს უმაღლესი მწვერვალი, როგორც ამას დიადი მაიკლ ჯორდანის რაზმი აკეთებდა. თვითონ ჯორდანს კი შემცვლელი გამოუჩნდა (რამდენად ღირსეული, ეს სხვა საქმეა) ტიმ დანკანის სახით. ტიმ დანკანი, ყმაწვილი, რომელმაც სულ მეორე წელი ითამაშა მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში და უკვე მოასწრო მისი დაპყრობა. ერთადერთი, რაც „ვენდერტიმს" შეიძლება გულში ხინჯად ჩარჩეს, ის, რომ მან ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული ვერ მოიპოვა, იგი იუტელ კარლ მელოუნს დარჩა. ამის გამო გამგელებულმა „სუპერტიმმა" სან ანტონიოს ჩემპიონობაც მოაპოვებინა თვითონ კი ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული ირგუნა.

ისე, რომ მოცილე ფაქტობრივად არა ჰყოლია. მას ერთადერთი მეტოქე შეიძლებოდა ჰყოლოდა — რობინსონი, რომლის გარშემოც თავის დროზე მძლავრი სან ანტონიო შეიკრა, მაგრამ ახლა საკმაოდ შებერებულმა „ადმირალმა" ლიდერობა დანკანს გადაულოცა, თვითონ კი მის მარჯვენა ხელად იქცა. ამ ორმა კაცმა შექმნეს ლიგაში უძლიერესი თავდასხმის ხაზი, „ორმაგ კოშკად" წოდებული, რომელმაც სან ანტონიო პირველ ტიტულამდე მიაცილა. ასე იყო ამ შეხვედრაშიც. დანკანი, რომელსაც ამ სერიის მატჩებში საშუალოდ 27,4 ქულა მოჰქონდა თავისიანებისათვის, ჩვეულად ბომბავდა მეტოქეს, რობინსონი კი უფრო დაცვაში ყოჩაღობდა, ხსნიდა ბურთებს და თავის წილ ქულებსაც ითვლიდა. „ორმაგი კოშკის" გარშემო სანანტონიელთა დაბლებიც კარგად ბრუნავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ დაცვაში არცთუ კარგად მისდიოდათ საქმე. „სფურზის" უკანახაზელები ახლოსაც ვერ მივლენ ნიუიორკელთა უკანახაზელებთან, რომლებიც ნიქსის მთავარ დამრტყმელ ძალას ქმნიან. განსაკუთრებით სპრიუელი იყო მოუხელთებელი და იმ დღეს მასპინძელთაგან მხოლოდ მას მისდიოდა საქმე მშვენივრად. სპრიუელმა 35 ქულით თავისი პირადი საპლეიოფო რეკორდი დაამყარა. აქედან 25 ქულა მეორე ნახევარში შეაწია თავისიანებს, 14 ქულა ბოლო მეოთხედში, სადაც ნიუიორკელებმა სულ 19 მიითვალეს. ნიქსელები სპრიუელის იმედზე იყვნენ, ლატრელიც აგდებდა და აგდებდა ბურთებს. ვერანაირად ვერ მოხერხდა მისი შეჩერება. სერიის ამ ყველაზე დაძაბულ მატჩში თითქოს სპრიუელი და დანკანი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ ნიუიორკელმა კი აჯობა ტიმს, ოდნავ მეტი ქულა დააგროვა, მაგრამ ისიც აღვნიშნოთ, რომ დანკანის გარდა მთელი სან ანტონიო შეძლებისდაგვარად მუშაობდა. აი, ნიუიორკელთაგან კი მხოლოდ გუნდის ლიდერმა ალან ჰიუსტონმა სცადა, მხარი აება თანაგუნდელისათვის, 16 ქულაც გააზერხა, მაგრამ როცა ყველაზე უფრო სჭირდებოდა მის გუნდს, ანუ ბოლო, გადამწყვეტ მეოთხედში, ქულა რაა, ისიც ვერ წააშველა.

და მაინც, სპრიუელის წყალობით მატჩის დამთავრებამდე 3,12 წუთით ადრე „ნიქსი" წინ იყო. 2,33 წუთით ადრე ტიმ დანკანი ერთ საჯარიმოს აგდებს და სხვაობას ერთ ქულამდე ამცირებს. 47 წამით ადრე აივერი ჯონსონი, სან ანტონიოს გამთამაშებელი, ვინც ამ მომენტამდე მთელ მატჩში სულ ექვსი ქულა მოინაგრა, უმნიშვნელოვანეს ორქულიანს აგდებს. ბედის ირონია იყო, რომ სწორედ სპრიუელის წყალობით დაწინაურებული ნიუ იორკი მისმა აცილებულმა ბურთმა დალუპა. დამთავრდა მატჩი და რამდენიმე ათეული სანანტონიელის ღრიალმა „მედისონ სკვერ გარდენი" გააყრუა. პატარა სან ანტონიომ პირველად დაიპყრო უმაღლესი საკალათბურთო მწვერვალი.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

## სან ანტონიო — ნიუ იორკი 4:1

### ნიუ იორკი 77:78 სან ანტონიო

V მატჩი. 25 ივნისი. ნიუ იორკი. მედისონ სკვერ გარდენი. 19763 მაყ.

მსაჯები: ჯო კროუფორდი, სტივ ჯეივი, ბენეტ სალვატორე

| ნიუ იორკი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვორდი | 26 | 2/4 | 0/1 | 0/0 | 3 | 2 | 2 | 0 | 1 | 4 |
| ჰიუსტონი | 45 | 8/17 | 0/3 | 0/1 | 7 | 5 | 2 | 0 | 2 | 16 |
| სპრიუელი | 43 | 13/27 | 1/1 | 8/10 | 10 | 2 | 2 | 3 | 1 | 35 |
| ლ. ჯონსონი | 41 | 3/10 | 0/3 | 1/2 | 6 | 4 | 2 | 0 | 5 | 7 |
| კემბი | 27 | 3/6 | 0/0 | 1/1 | 5 | 1 | 0 | 1 | 4 | 7 |
| ტომასი | 18 | 2/4 | 0/0 | 2/2 | 3 | 0 | 0 | 0 | 5 | 6 |
| ჩაილდსი | 24 | 1/4 | 0/1 | 0/0 | 0 | 4 | 0 | 0 | 1 | 2 |
| დადლი | 15 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 |
| ჰ. ვილიამსი | 1 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ | 240 | 32/72 | 1/9 | 12/16 | 35 | 18 | 8 | 1 | 23 | 77 |

| სან ანტონიო | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა. ჯონსონი | 40 | 4/10 | 0/1 | 0/0 | 2 | 9 | 0 | 0 | 3 | 8 |
| ელი | 35 | 2/6 | 2/3 | 4/4 | 6 | 3 | 2 | 0 | 2 | 10 |
| ელიოტი | 36 | 0/4 | 0/2 | 2/2 | 6 | 5 | 0 | 0 | 4 | 2 |
| დანკანი | 46 | 12/22 | 0/1 | 7/9 | 9 | 2 | 0 | 1 | 2 | 31 |
| რობინსონი | 39 | 5/14 | 0/0 | 5/8 | 12 | 0 | 2 | 1 | 1 | 15 |
| ჯექსონი | 24 | 4/9 | 3/6 | 0/0 | 3 | 0 | 2 | 0 | 1 | 11 |
| როუზი | 11 | 0/1 | 0/0 | 1/2 | 0 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 |
| კერი | 5 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დანიელსი | 4 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სულ | 240 | 27/67 | 5/13 | 19/25 | 40 | 20 | 7 | 2 | 17 | 78 |

სან ანტონიო — ნიუ იორკი. V მატჩი ნიუ იორკში. 25 ივნისი

### ფაქტები ● ფაქტები ● ფაქტები

„სან ანტონიო სფურზი" მე-12 გუნდია, რომელმაც ფინალი 4:1 მოიგო. უკანასკნელად ამ ანგარიშით „ჩიკაგო ბულზმა" მოუგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" 1991 წელს.

„სან ანტონიო სფურზი" პირველი გუნდია, რომელსაც მოუგია ჩემპიონობა როგორც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (1999), ისე ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში (1976). სანანტონიოელებმა ორივე ფინალში ნიუიორკული გუნდი დაამარცხეს: 1999 წელს „ნიქსი", ხოლო 1976 წელს — „ნეთსი".

სან ანტონიოს სტივ კერი გახდა ისტორიაში მეორე მოთამაშე, ვინც ზედიზედ გახდა ჩემპიონი ორ სხვადასხვა გუნდში. 1996, 97 და 98 წლებში კერმა „ჩიკაგო ბულზში" მიაღწია ტრიუმფს, 1999-ში — „სან ანტონიო სფურზში". მანამდე იგივეს გაკეთება ფრენკ საულმა შეძლო: 1951 წელს „როჩესტერ როიალზში", 1952 წელს — „მინეაპოლის ლეიკერსში".

„სან ანტონიო სფურზის" ცენტრი ვილ პერდიუ მეოთხედ გახდა ჩემპიონი. 1991, 92 და 93 წლებში მან იგივეს „ჩიკაგო ბულზში" მიაღწია.

„სან ანტონიო სფურზის" ჯერომ კერსი მესამედ გავიდა ლიგის ფინალში და პირველად გახდა ჩემპიონი. 1990 და 1992 წლებში კერსიმ ფინალს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" შემადგენლობაში უწია. ამ მოთამაშემ მე-15 სეზონი ჩაამთავრა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში.



REUTERS ნიუ იორკიდან

კურტ ტომასმა (მარჯვნივ) მარიო ელი ამ ხერხითაც ვერ გააჩერა



REUTERS ნიუ იორკიდან

ლატრელ სპრიუელმა (№8) და შონ ელიოტმა (№32) ჰაერში გაისეირნეს



REUTERS ნიუ იორკიდან

ამ წამს „სან ანტონიო სფურზი" პირველად გახდა ასოციაციის ჩემპიონი



REUTERS ნიუ იორკიდან

დევიდ რობინსონმა (მარცხნივ) და ტიმ დანკანმა თასები ჩამოირიგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

EURO BASKET 99 FRANCE

# ლიტვას ძალიან მოუხდა მარცხი

ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპი. I ტური. 26 ივნისი

პო

## E ჯგუფი

### ესპანეთი 57:74 საფრანგეთი

(I ტაიმი 32:31)

**ესპანეთი: ანგულო (10), როდილია (4), კორალესი (2), რომერო (4), როდრიგესი, ხიმენესი (3), დე ლა ფუენტე (1), ერეროსი (6), ესტელერი (2), დე მიგელი (4), რეიესი (6), დუენიასი (15)**

**საფრანგეთი: სონკო (4), დიგბო (2), რიგოდო (21), ფუარე (14), სკიარა, აბდულ-ვაჰადი, რისაშე (7), ჟულიენი (4), ვეისი, ბილბა (8), სმიტი (14)**

თანაბარ ბრძოლაში გალეული პირველი ტაიმის შემდეგ ტურნირის მასპინძლებმა ესპანელები აშკარად დაჩაგრეს და ბრწყინვალედ მოთამაშე ანტუან რიგოდოს და რონი სმიტის წყალობით იოლადაც დაამარცხეს. ამ გამარჯვებით მათ ფაქტობრივად გაინაღდეს მეოთხედფინალში თამაში.

„სიკვდილ-სიცოცხლის მატჩი" — ასე უწოდა ამ შეხვედრას ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა ჟან-პიერ დე ვინჩენციმ. თამაშსაც არ გაუწბილებია მაყურებელთა მოლოდინი და საკმაოდ ლამაზი და სასიამოვნო საყურებელი გამოდგა. „სიკვდილით" კი, ალბათ, ესპანეთი... თუმცა პირინეელებს მეოთხედფინალში გასვლის შანსი ამ წაგებით არ წართმევიათ.

პირველ ტაიმში ვერც ერთმა ნაკრებმა მოახერხა ოთხზე მეტქულიანი უპირატესობის მოპოვება. თავიდან საფრანგეთი დაწინაურდა (8:4, მე-3 წუთზე). პირველი ეტაპის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ალბერტო ერეროსი მასპინძელთა დაცვასთან ვერაფერს ხდებოდა და მხოლოდ საწყისი ხუთი წუთის შემდეგ შემატა თავისიანებს ქულები. მე-8 წუთზე ლორან ფუარეს ზედიზედ მეორე წარმატებული გარღვევის შემდეგ გუნდებს შორის სხვაობა კვლავ ოთხი ქულაა — 17:13. მაგრამ ფრანგთა ცენტრი, ახალტრავმამოშუშებული ფრედერიკ ვეისი და მათი ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ტარიკ აბდულ-ვაჰადი (5 ტყორცნიდან არცერთი ზუსტი) ძალიან სუსტად გამოიყურებიან. ფარქვეშ „ბარსელონას" ცენტრი რობერტო დუენასი გაბატონდა და ესპანეთიც 19:17 დაწინაურდა. მთლიანად თამაშში პირინეელებმა მეტოქეზე 14-ით მეტი მოხსნა (35:21) გააკეთეს და პირველი ტაიმიც ამის ხარჯზე მოიგეს.

შესვენების შემდეგ რონი სმიტისა და ლორან ფუარეს მეოხებით ფრანგებმა საწყის ექვს წუთში 16:5 აჯობეს მოწინააღმდეგეს და 10 ქულით დაწინაურდნენ (47:37). ამის მერე ანგარიშში სხვაობა ნელ-ნელა იზრდებოდა და საბოლოოდ 17 ქულას უწია.

„კმაყოფილი ვარ, რადგან გამარჯვების გარდა მშვენიერი თამაშიც ვაჩვენეთ. ფარქვეშ ბრძოლა კი წავაგეთ, მაგრამ მხოლოდ 7 ბურთი დავკარგეთ, ძალიან შედეგიანად ვისროდით და დაცვაშიც ძალიან კარგად ვთამაშობდით" — თქვა მასპინძელთა თავკაცმა ჟან-პიერ დე ვინჩენციმ.

### სლოვენია 66:71 იუგოსლავია

(I ტაიმი 33:29)

**სლოვენია: ზდოვცი (16), დანეუ (2), ბეჩიროვიჩი (9), კრალევიჩი (5), სმოდისი (5), იაგოდნიკი (1), მილიჩი (9), იურკოვიჩი (9), ნესტეროვიჩი (10), დრაგშიჩი**

**იუგოსლავია: ბოდიროგა (13), დანილოვიჩი (14), ობრადოვიჩი (17), ლონჩარი (6), გუროვიჩი, შჩეპანოვიჩი, ლუკოვსკი (1), დივაცი (6), ტარლაკი (9), ტომაშევიჩი (5)**

ყოფილი თანამემამულეების დაპირისპირებაში კინაღამ მეორე ეტაპის პირველი სენსაციაც გამოცხვა. აქამდე დაუმარცხებელ იუგოსლავიას სლოვენიელები პირველი ტაიმის მერე უგებდნენ და მატჩი, ფაქტობრივად, მხოლოდ ბოლო წუთებში დათმეს.

ზდოვცის თანაგუნდელები ტიტულიან მეტოქეს არ შეუშინდნენ და მე-7 წუთზე ერთქულიანი უპირატესობა (9:8) მალე რვა ქულამდე გაზარდეს „ფინიქსელი" მარკო მილიჩის აქტიურობის წყალობით (18:10). აქ იუგების მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა მეორე წუთშესვენება ითხოვა და თავისი გუნდის თამაშის დალაგება სცადა, მაგრამ ამაოდ. სლოვენია მეორე ენბეელმა, რადოსლავ ნესტეროვიჩმა, რომელიც „მინესოტას" ღირსებას იცავს, ათი ქულით დააწინაურა — 22:12.




რუსეთი — ისრაელი. ებრაელი ოდედ კატში (№10) ზახარ პაშუტინს გაექცა

AFP ფოტო



ესპანეთი — საფრანგეთი. ფრანგმა სტეფან რისაშემ (№10) როდრიგო დე ლა ფუენტე (თეთრ ფორმაში) ჩამოიტოვა

ამის მერე იტალიური „კინდერის" უკანახაზელმა პრედრაგ დანილოვიჩმა გაილაღა და ანგარიშში სხვაობაც ორ ქულამდე შემცირდა (25:23, 15 წუთის შემდეგ). ობრადოვიჩის მიერ მოპოვებული სამი ქულის შემდეგ იუგოსლავია ცოტა ხნით წინათ გავიდა (28:27), მაგრამ 19, წლის მატიას სმოდისის ძალისხმევით ტაიმი მაინც სლოვენიამ მოიგო.

თუმცა მომდევნო ოცი წუთი განსხვავებული სცენარით წარიმართა. ისევე როგორც პირველი ეტაპის ბოლო მატჩში მასპინძელთა წინააღმდეგ, იუგოსლავიელებმა აქაც მოახერხეს პირველის კვალობაზე მეორე ტაიმში გაცილებით უკეთ თამაში. შედეგი სლოვენიისთვის სავალალო გამოდგა — 2:15 ხუთწუთიან მონაკვეთში და ვლადე დივაცის თანაგუნდელები თორმეტი ქულით დაწინაურდნენ (50:38, 30-ე წუთზე).

სლოვენიელებს კი ცხვირის ჩამოშვება არც უფიქრიათ და ზდოვცის ზუსტი ტყორცნების შემდეგ მოწინააღმდეგეს უმალ წამოეწივნენ (52:50 იუგების სასარგებლოდ). 35-ე წუთზე წინ კვლავ ევროპის ჩემპიონები არიან (60:52), მაგრამ კვლავ ზდოვცმა გაიბრწყინა და ანგარიშში სხვაობა ისევ ორ ქულამდე შემცირდა (64:62). შეხვედრის დამთავრებამდე წუთითა და 16 წამით ადრე კი იურკოვიჩმა ორი საჯარიმო ჩააგდო — 64:64. თუმცა ექსებმა ნამდვილ იუგოსლავიელებს მაინც ვერაფერი დააკლეს და საბოლოოდ 66:71 დამარცხდნენ.

„ამ ევროპის ჩემპიონატზე ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო. იმედია, საფრანგეთთან და ისრაელთანაც ამ დონეზე ვითამაშებთ და მეოთხედფინალის საგზურსაც მოვიპოვებთ" — თქვა სლოვენიისთვის ათი ქულის შემმატებელმა ნესტეროვიჩმა.

### რუსეთი 93:84 ისრაელი

(I ტაიმი 41:43, I ტაიმი 76:76)

**რუსეთი: კარასიოვი (21), კუდელინი (3), პეტრენკო (7), კისურინი (5), ე. პაშუტინი (15), ზ. პაშუტინი (4), ავლეევი (21), პანოვი (11), ნოსოვი (6)**

**ისრაელი: შენფელდი (13), გუდესი (1), თორჯემანი, ამსალემი (8), კატაში (18), შეფერი (26), შელეფი (6), შტეინჰაუერი (12), საფარი**

ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა ძლივს მოუგო ნაკრებს, რომლის მეორე ეტაპზე გასვლაც უკვე დიდი საქმე იყო. სერგეი ბელოვის გაწვრთნილებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს და გამარჯვების მოსაპოვებლად დამატებითი ტაიმის თამაშიც დასჭირდათ. თუმცა ამას თვით ბელოვი დიდად არ დაუმწუხრებია: „როგორც ამბობენ, სჯობს, ცუდად ითამაშო და მოიგო, ვიდრე პირიქით. რატომ გამოვიყურებოდით ასე სუსტად? ძნელი სათქმელია. ალბათ, ესპანეთთან მატჩმა ძალიან დიდი ძალა წაგვართვა და ორდღიანმა დასვენებამაც არ გვიშველა".

რუსებმა კარგად დაიწყეს — კარასიოვის გარღვევებით, ნოსოვისა და პანოვის ფარქვეშ მიღწეული უპირატესობით ანგარიშში თითქოს დიდი სხვაობისთვის უნდა მიეღწიათ და მეტოქე მალე ჩამოეტოვებინათ, მაგრამ მათი ცენტრალური თავდამსხმელი მეტად უხეშობდა და მე-10 წუთისთვის უკვე ოთხი პერსონალური ჯარიმა მოუგროვდა. ბელოვსაც მისი შემონაცვლა დასჭირდა. მართალია, ამას ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებისთვის ფარის მოგებაში ხელი არ შეუშლია (მათ მეტოქეზე 22 ბურთით მეტი მოხსნეს), მაგრამ ებრაელებმა მაინც შეძლეს თამაშის გათანაბრება. მთელი ტაიმის განმავლობაში ვერავინ მოახერხა გადამწყვეტი უპირატესობის მიღება და გამარჯვებულის ვინაობაც მეორე ოცწუთეულს უნდა გაერკვია. თუმცა ამ საქმეს დამატებითი დროც კი დასჭირდა...

მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, კისურინმა და ევგენი პაშუტინმაც პანოვივით მეოთხე პერსონალურები რომ მიიღეს. ამით იმწამს ისარგებლა ისრაელის ნაკრებმა და 27-ე წუთისთვის 57:46 დაწინაურდა. ამას კი რუსები ვერ შეეგუებოდნენ. რამდენიმე ჩაჭრა, რამდენიმე სამქულიანი და 32-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა — 60:60.

მატჩის მიწურულს კი 6,25-მეტრიანი ხაზის გარედან ჩაგდება უკვე ოდედ კატაშს დასჭირდა და ბრძოლაც ოვერტაიმში გაგრძელდა. მის გასრულებამდე წუთნახევრით ადრე იმავე კატაშმა სამი საჯარიმო ტყორცნის უფლება მოიპოვა. ყველა რომ ჩაეგდო, ანგარიში კვლავ გათანაბრდებოდა, მაგრამ თავისიანებისთვის ჯამში 18 ქულის მომტანმა მხოლოდ ერთხელ ივარგა. ამას ევგენი პაშუტინის სამქულიანი მოჰყვა და რუსებმა, როგორც იქნა, გატეხეს ისრაელელთა წინააღმდეგობა. საბოლოოდ კი მათ ცხრა ქულით გაიმარჯვეს.

ლე მანი

## F ჯგუფი

### ლიტვა 74:48 თურქეთი

(I ტაიმი 35:29)

**ლიტვა: იასიკევიჩუსი (12), მ. ჟუკაუსკასი (3), მასიულისი, შტომბერგასი (8), კ. მარჩულიონისი, ე. ჟუკაუსკასი (9), ადომაიტისი (6), საბონისი (12), კარნიშოვასი (19), მასკოლიუნასი (3), ეინიკისი (2)**

**თურქეთი: თუნჩერი (8), თურქოღლუ (10), თურქჯანი (2), ერდენი, ქონუქი, ილდირიმი (2), ქუთლუაი, ოქური (2), ბეშოქი (8), იოგუჯი (2), ფარსი (3), სარიჯა (11)**

ტურნირის პირველ ტურში ჩეხეთთან მოულოდნელმა წაგებამ ლიტვაზე სასიკეთოდ იმოქმედა. მას მერე ბალტიისპირელები ყველა თამაშს სრული სერიოზულობით ეკიდებიან და შედეგიც სახეზეა.

საბონისი და შტომბერგასი მატჩის დასაწყისში საუკეთესოები არიან და მათი გუნდიც 7:2-ს იგებს. მოწინააღმდეგე ბანაკიდან თურქოღლუ ირჯება კარგად და მისი ძალისხმევით ანგარიშიც თანაბრდება — 7:7.

ლე მანის სპორტდარბაზში თავმოყრილი მაყურებლებიდან ბევრი თურქია, რომლებიც თავისიანებს ყოველნაირად ამხნევებენ. ლიტვა მაინც წინ გადის, მაგრამ თანამემამულეების ღრიანცელით გულმოცემული თურქები კვლავ ათანაბრებენ (უკანასკნელად) — 15:15. ამის მერე ცოტა ხანს ტაბლოზე მხოლოდ ლიტველთა მონაგარის აღმნიშვნელი რიცხვი იცვლებოდა, მათი მეტოქე კი თავის აქტივს ვერაფერს მატებდა. ანგარიში კი 33:17 გახდა. თურქებმა მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს და ტაიმი მხოლოდ ექვსი ქულით დათმეს.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ლიტვა კვლავ გაექცა მოწინააღმდეგეს (47:33, 25-ე წუთზე). საბონისს, კარნიშოვასს და მათ თანაგუნდელებს ყველაფერი გამოსდით და როცა რაიმე შეცდომას დაუშვებენ, თურქები მაინც ვერ ხეირობენ. ერთი სიტყვით, ლიტვამ თურქეთი გაანადგურა და დაამტკიცა, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია.

„დიჟონში ცუდად დავიწყეთ, რადგან ვფიქრობდით, რომ ჩეხეთს იოლად ვძლევდით. ასეთი თავდაჯერებისთვის დავისაჯეთ კიდეც. აქ იმავე შეცდომებს ხომ არ გავიმეორებდით? საბონისის მოედანზე ყოფნისას დაცვაში ძალიან ძლიერები ვართ" — თქვა ლიტვის მწვრთნელმა იონას კაზლაუსკასმა.

### ჩეხეთი 64:86 ხორვატია

(I ტაიმი 29:45)

**ჩეხეთი: ჩუდეკი (2), ი. ველში (2), ვაჰალა (3), შტუხლი (6), პ. ველში (8), კლაპეტეკი (2), ოკაჩი, ბარტონი (11), ტრემლი (6), იდესი, ნოვაკი (13), ბეჩკა (11)**

**ხორვატია: კრსტიჩი (4), მულაომეროვიჩი (20), კუკოჩი (17), პრკაჩინი (4), ზადრავეცი (10), გირიჩეკი (6), პოლიაკი (1), რუჟიჩი (10), ტომელიაკი, ვუიჩიჩი (12), ჰენიაკი (2)**

ხორვატებს ერთი ტაიმი ეყოთ, რათა პირველი ეტაპის „აღმოჩენა" ჩეხეთისთვის ხელი მოეთავებინათ. 45:29 ის უპირატესობა იყო, რომლის გაბათილებაზე ჩეხები ვერც იოცნებებდნენ, მით უმეტეს, მოწინააღმდეგის ბანაკში კუკოჩი და მულაომეროვიჩი იყვნენ, რომლების შეჩერებაც იმ დღეს უფრო ძლიერებსაც გაუჭირდათ.

ტურნირის საწყის სამ მატჩში ჩეხეთის ძლიერი მხარე მისი დაცვა იყო. დაცვა, რომელიც ამჯერად ზემოთ აღნიშნული ორი კალათბურთელის წინააღმდეგ პაექრობაში ფეტვივით დაიბნა. მათ შესაბამისად 14 და 16 ქულა მიითვალეს პირველი ტაიმში, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე დანარჩენმა ხორვატებმა და ერთი ქულით მეტი, ვიდრე მთლიანად ჩეხეთმა.

ბალკანელები მეტოქეს გასაქანს თავდასხმაშიც არ აძლევდნენ, ამიტომაც ჩეხები სამქულიან ტყორცნებს მიეძალნენ, თუმც კი ამაოდ — შესვენებამდე 13 ასეთი ცდიდან მხოლოდ ორმა უწია მიზანს. მათი ყველაზე შედეგიანი მოთამაშე (წინა მატჩებში) ბარტონი სასროლ პოზიციაზეც კი ვერ გადიოდა და პირველ ნახევარში სამ ქულას დასჯერდა. 29 პროცენტი — ასეთი იყო ჩეხეთის შედეგიანობა შესვენებამდე.

7:0, 13:2, 19:8 — ანგარიში ასე იცვლებოდა. წინ მუდმივად ხორვატები იყვნენ. ისინი ბევრს მოძრაობდნენ, ფარზე კარგად იბრძოდნენ, ჩაჭრებიც გამოსდიოდათ. ერთი სიტყვით, თითქმის იდეალურად თამაშობდნენ. 18-ე წუთზე მულაომეროვიჩმა სამქულიანით თავისიანები 13 ქულით დააწინაურა (38:25). ტაიმი კი 45:29 დამთავრდა.

„თამაში, ეტყობა, მოწინააღმდეგისადმი ზედმეტი მორიდების გრძნობით დავიწყეთ. ტონი კუკოჩი დიდი კალათბურთელია და ეს დღეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ. ლუბოშ ბარტონის ნიჭიერებაზე ბევრს კი ლაპარაკობენ, მაგრამ მას კიდევ ბევრი რამის დახვეწა სჭირდება. გუნდური თამაში გასაუმჯობესებელი გვაქვს. იმედია, ამას მალე შევძლებთ და დარჩენილ ორ მატჩში წარმატებასაც მივაღწევთ" — თქვა ჩეხთა მთავარმა მწვრთნელმა ზდენეკ ჰუმელმა.

მეორე ტაიმში ნაქებმა კუკოჩმა თავისიანებს პირველი ქულები მოუტანა. როცა შეხვედრის დასრულებას ექვს წუთი უკლდა (ანგარიში 73:48 იყო), „ჩიკაგო ბულზის" წევრი მწვრთნელმა შეცვალა, მაყურებელმა კი კალათბურთელი ტაშით გააცილა. თავისი საუკეთესო მოთამაშეები ჰუმელმაც გამოცვალა და მატჩიც მალე ჩათავდა.

### გერმანია 53:74 იტალია

(I ტაიმი 25:37)

**გერმანია: ლუტკე, ნიურნბერგერი (5), ბოგოევიჩი (5), ვუხერერი (5), ტომიჩი (13), ფემერლინგი (4), ტერდენგე (7), არიგბაბუ, ოკულაჯა (1), ნეესი (5), ნოვიცკი (8)**

**იტალია: ბონორა, ბაზილე, გალანდა (5), ფუჩკა (10), მარკონატო (3), დე პოლი (5), მაიერსი (16), მენეგინი (10), აბიო (8), მიანი, კიაჩიგი (14), დამიაო (3)**

გერმანელების წინააღმდეგ იტალიელების დაცვამ ძალიან ძლიერად ითამაშა. იგი ნოვიცკის, ბოგოევიჩსა და ტომიჩს თითქმის არ აძლევდა სროლის საშუალებას. მატჩის ბედი ათ წუთში გადაწყდა: პირველი ტაიმის ბოლო და მეორის საწყისი ხუთი წუთის მანძილზე გერმანელთა თავდასხმა ლამის ტყუილად თამაშობდა, მაშინ, როცა მათი მოწინააღმდეგენი ქულას ქულაზე აგროვებდნენ.

შეხვედრის დასაწყისში კარლტონ მაიერსის მშვენიერი თამაშის წყალობით იტალია 11:4 დაწინაურდა, მაგრამ საშუალო დისტანციებიდან და საჯარიმოს ხაზიდან ზუსტი სროლებით გერმანიამ მალე გაათანაბრა — 15:15. ნოვიცკის ალესანდრო დე პოლი ედგა პერსონალურად და გერმანელთა ცენტრმა პირველი ორი ქულა მხოლოდ მე-7 წუთზე მიითვალა. სხვათა შორის, მან პირველ ტაიმში საერთოდ ორჯერ (!) შეძლო მეტოქის ფარის მიმართულებით სროლა.

იტალიის დაცვა შეუვალი იყო. ფარქვეშ ბრძოლა გრეგორ ფუჩკასა და მისი თანაგუნდელების უპირატესობით მიმდინარეობდა. წესით, გერმანელებს სწრაფ თამაშზე უნდა გადაეტანათ აქცენტი, მაგრამ ისინი ბურთს აუჩქარებლად, დინჯად ათამაშებდნენ (8 პასი ჯამში) და ქულების მოგროვებაც საშინლად უჭირდათ. პირველ ტაიმში მათ მეტოქეზე უკეთესი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდათ ტყორცნებისას, მაგრამ ისინი გაცილებით ნაკლებს ისროდნენ, ვიდრე იტალიელები.

მეორე ტაიმის პირველმა სამმა წუთმა ანგარიშში სხვაობა ვერ შეცვალა — 41:29. მომდევნო სამი წუთი კი მაიერსის და მენეგინის მეოხებით აპენინელებმა 13:3 მოიგეს და 54:32 დაწინაურდნენ. მერე გერმანელები მეტოქეს ოდნავადაც ვერ წამოეწივნენ. მალე ორივე გუნდის მწვრთნელი მიხვდა, რომ შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო და მათაც თავიანთი საუკეთესო კალათბურთელები დაასვენეს — მატჩის ბოლო ათმა წუთმა მაიერსისა და ნოვიკცის გარეშე ჩაიარა.

„მთელი ორმოცი წუთის განმავლობაში დაცვაში ძალიან ძლიერად ვითამაშეთ. გერმანია თამაშის ერთ კაცზე აგებას ცდილობდა, ეს კი კალათბურთში ხშირად დამღუპველია. მოედანზე ხუთი სპორტსმენია და ყველა ერთნაირად საჭიროა" — თქვა გამარჯვებულთა დამრიგებელმა ბოგდან ტანევიჩმა.

# როცა ზრინსკი მწვრთნელია...

ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპი. II ტური. 27 ივნისი

პუ

## E ჯგუფი

### იუგოსლავია 77:63 ესპანეთი

(I ტაიმი 38:35)

**იუგოსლავია: ბოდიროგა (9), დანილოვიჩი (16), ობრადოვიჩი (7), ლონჩარი (5), გუროვიჩი (10), შჩეპანოვიჩი (6), დივაცი (15), ტარლაკი, ტომაშევიჩი (6), ტოპიჩი (3)**

**ესპანეთი: ანგულო (2), როდილია (6), კორალესი (2), რომერო (3), როდრიგესი, ხიმენესი (2), დე ლა ფუენტე (3), ერეროსი (14), ესტელერი (3), მიგელი (4), რეიესი (18), დუენიასი (6)**

სლოვენიასთან ძნელად მოპოვებული გამარჯვების შემდეგ იუგოსლავიამ ესპანეთთან გაცილებით ძლიერად ითამაშა და შედარებით იოლადაც მოიგო. იუგებმა დასაწყისიდანვე ხისტი დაცვა დაუპირისპირეს მეტოქეს, ხუთი წუთის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ მისცეს სროლის საშუალება და 12:4 დაწინაურდნენ. „საკრამენტოს“ ცენტრის ვლადე დივაცის, დეიან ბოდიროგას და მათი თანაგუნდელების ძალისხმევით ანგარიშში სხვაობამ მე-11 წუთისთვის ათ ქულას უწია — 21:11.

ამის მერე რობერტო დუენიასის ფარეშ აქტიურობის წყალობით ესპანეთმა სხვაობა ოდნავ შეამცირა (21:17), მაგრამ მე-15 წუთისთვისვ მაინც შვიდ ქულას აგებდა (28:21). თუმცა პირენეელებმა ტაიმი მხოლოდ სამი ქულით წააგეს და ამას ალბერტო ერეროსისა და დუენიასის დუბლიორის ალფონსო რეიესის შედეგიანობას უნდა უმადლოდნენ.

„ძალიან ძნელი მატჩი გვქონდა და ეს წინდაწინ ვიცოდით. იუგოსლავია მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი შემთხვევით არ გამხდარა. პირველ ტაიმში თავს კარგად ვიცავდით. მეორეში კი, ჩვენი ცუდი ტრადიციისამებრ, უვარგისად ვითამაშეთ. როცა ათ ქულას ვაგებდით, მივხვდი, რომ მატჩის გადარჩენას ველარ შევძლებდით. ახლა ყოველნაირად უნდა ვეცადოთ ისრაელის დამარცხებას, თუმცა ეს იოლი არ იქნება. სხვანაირად მეოთხედფინალში ვერ გავალთ“ — თქვა ესპანეთის მწვრთნელმა ლოლო საინსმა.

და რა მოხდა მეორე ტაიმში? იუგოსლავიამ დაცვა კიდევ უფრო გააძლიერა და საწყის 12 წუთში მოწინააღმდეგეს ოდენ 13 ქულის გაკეთების საშუალება მისცა. თვით კი ლამის ორჯერ მეტი მიითვალა (62:48, 32-ე წუთზე). მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო. რეიესის კარგმა თამაშმაც ველარაფერი უშველა საინსის გუნდს და მათი მეოთხედფინალში გასვლა-არგასვლაც გუშინ... თუმცა ამაზე მე-15 გვერდზე წაიკითხავთ.

### ისრაელი 67:66 სლოვენია

(I ტაიმი 41:28)

**ისრაელი: ჰენფელდი (9), დანიელი, გუდესი (16), თორჯემანი (8), ამსალემი (5), კატაში (7), შეფერი (15), შტეინჰაუერი (3), საფარი (4)**

**სლოვენია: ზდოვცი (20), იეკლინი, დანეუ (3), კრალევიჩი, ტოვორნიკი, სმოდისი (10), იაგოდნიკი, მილიჩი (14), იურკოვიჩი (5), ნესტეროვიჩი (9), დრაგშიჩი (5)**

თამამად ვთქვათ: სლოვენიის კარგი ნაკრები მწვრთნელის ექსპერიმენტებს შეიძლება შეეწიროს. ბორის ზრინსკისმ ამ მატჩშიც არ უღალატა ტრადიციას, იმდენი ცვალა მოედანზე მყოფი მოთამაშეები, სანამ ისრაელმა ტაიმი 13 ქულით არ მოიგო. ამ სხვაობის დაძლევას შეალია სლოვენიამ მთელი ენერგია და საბოლოოდ დამარცხდა. დამარცხება კი იქნებ მეოთხედფინალის მიღმა დარჩენად დაუჯდეს.

ზრინსკის ექსპერიმენტი პირველი ტაიმის მეათე წუთიდან დაიწყო. მანამდე თამაში ქულა-ქულაზე მიდიოდა. აღნიშნულ დროს კი ისრაელმა სამქულიანები მიაყარა...

27-ე წუთიდან კი რაღაც სასწაული დაიწყო. ისრაელმა რვა წუთის განმავლობაში ქულა ველარ აიღო, სლოვენიამ კი ეს მონაკვეთი 16:0 მოიგო და ანგარიში გაათანაბრა. ზდოვცმა, დანეუმ და სმოდისმა სამქულიანები ჩააგდეს. აღსანიშნავია, რომ 19 წლის სმოდისს მარცხენა ფეხზე თითი ჰქონდა მოტეხილი და მთელი მატჩი ასე ითამაშა. შეტევაში გართულმა სლოვენიამ ზურგი მოიშიშვლა, რითაც უმალ ისარგებლეს ებრაელებმა და 8 ქულით დაწინაურდნენ.

სლოვენიელები არც ამჯერად დანებდნენ. იურკოვიჩმა და ზდოვცმა სამქულიანები ზუსტად ისროლეს, სმოდისმა ზდოვცის პასი კალათში დააბინავა და ანგარიში კვლავ გათანაბრდა.

მთავარ ამბებს კი 39-ე წუთიდან დაედო სათავე. ებრაელმა დორონ შეფერმა ერთი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანები ქულით დააწინაურა. მატიას სმოდისმა მოხსნა ბურთი კალათში გადაგზავნა და ერთი ქულით წინ უკვე სლოვენიაა (65:64). მალე „ფინიქს სანზის“ მარკო მილიჩს ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ორივე საჯარიმო ააცილა. ისრაელმა შეტევაში ვერ იხეირა და ბურთს სლოვენიელები დაეუფლნენ. სმოდისმა ჩამოიცილა მეურვეები, მაგრამ საჯარიმოს ხაზის სიახლოვიდან ნასროლი ააცილა. ებრაელების მორიგი შეტევისას სლოვენიელებმა მოახერხეს და ბურთი ჩაჭრეს, ხოლო მეტოქემ იურე ზდოვცის შეჩერება მხოლოდ ჯარიმით შეძლო. სლოვენიელთა შორის ყველაზე შედეგიანმა ერთი საჯარიმო ჩააგდო. მისი გუნდი წინაა — 66:64.

მატჩის ბედი კი ისრაელის მთავარმა იარაღმა — სამქულიანმა გადაწყვიტა. დამთავრებამდე 10 წამით ადრე გაი გუდესმა ურთულესი მდგომარეობიდან ისროლა და თავის მეოთხე სამქულიანი (ისრაელის ნაკრებისთვის — მეცხრე) ჩააგდო. დარჩენილ დროში ზდოვცმაც მოასწრო შორიდან სროლა, მაგრამ ააცილა.

სლოვენიას მეოთხედფინალში გასვლის მიზერული შანსი დარჩა. გაუგებარია, როგორ მიიყვანა აქამდე საქმე გუნდმა, რომელშიც თამაშობს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორი კალათბურთელი (მილიჩი, ნესტეროვიჩი), ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ოთხი წამყვანი მოთამაშე (ზდოვცი, დანეუ კრალევიჩი, იურკოვიჩი) და ორი ამომავალი ვარსკვლავი (სმოდისი, ბეჩიროვიჩი)? სლოვენიაში ამბობენ, რომ ეს ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება — როცა ამ ხალხს ბორის ზრინსკი წვრთნის.

### საფრანგეთი 66:62 რუსეთი

(I ტაიმი 34:27)

**საფრანგეთი: სონკო (9), დიგბო, რიგოდო (13), ფუარე (10), აბდულ-ვაჰადი (14), რისაშე (5), გადუ (3), ჟულიენი, ვეისი (6), ბილბა (5), სმიტი (1)**

**რუსეთი: კარასიოვი (3), კუდელინი (22), პეტრენკო (4), კისურინი (2), ე. პაშუტინი, კურაშოვი (3), ზ. პაშუტინი (3), ავლეევი (5), პანოვი (14), ნოსოვი (6)**

რუსებმა ამ მატჩში პირველად იწვნიეს მიხაილ მიხალოვის არყოფნა. ნაკრების ძირითადი ცენტრი ჩემპიონატის დაწყებამდე დაშავდა და გუნდი ნოსოვისა და კურაშოვის იმედად დატოვა. ესენი კი, რომ გადააბა, მიხაილოვის ნახევარიც არ გამოვა.

ფრანგების ცენტრებს ვეისს, ჟულიენს და სმიტს საშუალო დონის მოთამაშეებად გაჭირვებით თუ შერაცხავს კაცი, მაგრამ რუსთა ცენტრებს საშინელი დღე აყარეს. განსაკუთრებით უმწეო იყო ნოსოვი, რომელიც ვეისმა გააბითურა — ხან თავსზემოთ გადაუგდო ბურთი და ისე ჩაუგდო, ხან იღლიის ქვეშ გაუტარ-გამოუტარა. მერე შემოვიდა კურაშოვი, რომელსაც ღმერთმა სიმაღლე და ჯანი მისცა, მაგრამ დანარჩენის რა მოგახსენოთ...

ერთი სიტყვით, ფარზე მუშაობა ფორვარდ პანოვს მოუხდა. პანოვიც მრავალჯერ შეცდა. სამჯერ დაკარგა ბურთი და ფრანგებმა მნიშვნელოვანი ქულები მიითვალეს. ჩემპიონატის მასპინძელთა შორის გამოირჩეოდა რიგოდო, საჭირო მომენტებში კი რისაშე ზუსტად ისროდა.





იუგოსლავია — ესპანეთი. ვლადე დივაცმა (მარცხნივ) გააწვალა ესპანელი ცენტრი რობერტო დუენიასი (ბურთით)

პირველი ტაიმის მე-10 წუთის მერე რუსები სულ აგებდნენ. ფრანგები ლაღად თამაშობდნენ, განსაკუთრებით ტარიკ აბდულ-ვაჰადი გამოირჩეოდა, რომელმაც ერთი-ორჯერ ეფექტურად ჩატენა. რუსები კატასტროფულად რომ არ ჩამორჩნენ, მხოლოდ და მხოლოდ ერთ კაცს, იგორ კუდელინს უნდა უმადლოდნენ. რუსმა სნაიპერმა 6 სამქულიანი ჩააგდო (სულ რვაჯერ ესროლა)და თავისიანებს შანსებს უნარჩუნებდა.

რუსთა ლიდერმა ვასილი კარასიოვმა მხოლოდ 11 წუთი ითამაშა — მცირე ტრავმა მიიღო და ექიმმა დასვენება ურჩია. გამთამაშებლობა ევგენი პაშუტინმა იკისრა და არცთუ ურიგოდ. მან კარგ სასროლ პოზიციებზე გაიყვანა ავლეევი და პანოვი. სხვაობა მცირდებოდა და ორ ქულამდეც ჩამოვიდა.

მერე ფრანგების ყურადღება მოიკრიბეს და რუსებს სწრაფ თამაშში არ აყვნენ. სონკომ ბურთის დაჭერა დაიწყო. მისი თანაგუნდელები კი სანამ უეჭველი მომენტი არ შეექმნებოდათ, არ ისროდნენ. ასე იყო თუ ისე, საფრანგეთმა გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გასვლაც გაინაღდა.

ლე მანი

## F ჯგუფი

### ხორვატია 75:91 ლიტვა

(I ტაიმი 42:50)

**ხორვატია: კრისტიჩი (9), მულაომეროვიჩი (10), კუკოჩი (12), პრკაჩინი (10), ზადრავეცი (7), გირიჩეკი (9), რუჟიჩი (5), ტომელიაკი, ვუიჩიჩი (9), პენიაკი (4)**

**ლიტვა: იასიკევიჩუსი (12), მ. ჟუკაუსკასი (10), მასიულისი (6), შტომბერგასი (17), კ. მარჩულიონისი, ე. ჟუკაუსკასი (16), ადომაიტისი (8), საბონისი (8), კარნიშოვასი (12), მასკოლიუნასი (2)**

მეორე ეტაპის პირველი ტურის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ ეს თამაში უშელავათო ბრძოლაში ჩაივლიდა. ლიტვამაც და ხორვატიამაც ხომ თავთავიანთი მეტოქეები იოლად დაამარცხეს. კვირას კი, თუ ბალტიისპირელები ჩვეულზე უკეთ თამაშობდნენ, ბალკანელები გაცილებით სუსტად გამოიყურებოდნენ. ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ ეს შეხვედრა თექვსმეტქულიანი სხვაობით დამთავრდებოდა, მაგრამ ლიტვამ სროლების 70 პროცენტი ჩააგდო და...

საწყისი წუთები მთლიანად ლიტველების იყო. არვიდას საბონისი ბრწყინვალედ თამაშობდა, ქულებსაც აგროვებდა, ჩაჭრებსაც და პასებსაც. მას მხარი სხვებმაც ჩინებულად აუბეს და შტომბერგასის ზუსტი სამქულიანის შემდეგ ისინი 12:5-ს იგებდნენ. მე-7 წუთზე კი ანგარიში უკვე 20:9 იყო.

ტონი კუკოჩი, რომელსაც შორეული ტყორცნები არ წაუვიდა, გარღვევებზე გადავიდა და გაცილებით უკეთეს შედეგს მიაღწია — მე-10 წუთზე სხვაობა ოდნავ შემცირდა (24:15). ექსსაბჭოელების მწვრთნელმა იონას კაზლაუსკასმა იგრძნო, რომ მეტოქეს თამაში წაუვიდა და წუთშესვენება აიღო. ამას მისი გუნდის მცირედი „აფეთქება“ მოჰყვა და მე-12 წუთზე 31:17 გახდა.

აქ კაზლაუსკასმა კუკოჩის პერსონალური მეურვე არტურას კარნიშოვასი, ვინც თავის საქმეს მშვენივრად ასრულებდა, დაასვენა და ხორვატებმაც სული მოითქვეს. გამთამაშებლობა კუკოჩმა იკისრა (პირველ ტაიმში მან მხოლოდ 1 წუთი დაისვენა) და ვუიჩიჩის დახმარებით თამაში ოდნავ გაათანაბრა. ტაიმი კი მხოლოდ რვა ქულით დათმეს ბალკანელებმა.

შესვენების შემდეგვე საბონისმა მეოთხე პერსონალური შენიშვნა მიიღო. კუკოჩმა და კრსტიჩმა უცებ ოთხი ქულა მოიხვეჭეს და ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა — 50:46. კაზლაუსკასმა მყის წუთშესვენება აიღო და გუნდი გონს მოიყვანა. იასიკევიჩუსმა ზედიზედ ხუთი ქულა შემატა თავისიანებს, სხვებმაც კიდევ ცოტ-ცოტა და საბოლოოდ 91:75 ლიტველების სასარგებლოდ.

### თურქეთი 63:55 გერმანია

(I ტაიმი 31:29)

**თურქეთი: ბეშოქი (14), თურქჯანი (13), ფარსი (11), თუნჩერი (6), ილდირიმი (6), სარიჯა (4), თურქოღლუ (4), ქონუქი (3), ქუთლუაი (2), ოქური**

**გერმანია: ფემერლინგი (19), ბოგოევიჩი (8), ოკულაჯა (8), ნოვიცკი (8), ვუხერერი (4), ტომიჩი (4), ტერდენგე (2), ნეესი (2), ნიურნბერგერი, არიგბაბუ**

გერმანიას, პრაქტიკულად, სამი კაცი აკლდა: იორგ ლუტკე და ჰენრიკ როდლი ტრავმირებულნი არიან, ხოლო დირკ ნოვიცკის იმდღევანდელ ყოფნას საერთოდ არყოფნა სჯობდა. „დალას მავერიქსის“ ცენტრმა, რომელიც გერმანიის ნაკრების მხსნელად შერაცხეს, მხოლოდ რვა ქულა დააგროვა და ბურთი რვაჯერ დაკარგა (!). ახლა გერმანელებს სასწაული თუღა გაიყვანს მეოთხედფინალში.

მე-16 წუთზე თურქეთი 28:19 იგებდა, როცა თავი გერმანელმა ცენტრმა პატრიკ ფემერლინგმა გამოიდო. მან პირველ ნახევარში 11 ქულა მოაგროვა, გერმანიამ კი ტაიმი ორი ქულით წააგო, ხოლო შესვენებიდან ორ წუთში სამი ქულით დაწინაურდა — 36:33.

ზუსტად ამ დროს ფემერლინგმა მესამე პერსონალური მიიღო და მწვრთნელმა იგი სკამზე დასვა. ამას მოჰყვა ექვსწუთეული, რომელიც თურქეთმა 17:4 მოიგო. ასიმ ფარსი და მირსად თურქჯანი (10 მოხსნა, 6 პასი) შეუდარებელნი იყვნენ. მალე თურქმა ცენტრმა ჰუსეინ ბეშოქმა მეხუთე პერსონალურის გამო მოედანი დატოვა. ფემერლინგი თამაშს დაუბრუნდა, მაგრამ ბევრი ველარაფერი შეძლო — თურქებმა თავიანთ კალათს ბოქლომი დაადეს და გერმანელთა გააფთრებული შეტევები გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგერიეს.

### იტალია 95:68 ჩეხეთი

(I ტაიმი 45:40)

**იტალია: ბონორა (2), გალანდა (5), ფუჩკა (13), მარკონატო (10), დე პოლი (13), მაიერსი (22), მენეგინი (15), აბიო (9), მიანი (4), კიაჩიგი, დამიაო (2)**

**ჩეხეთი: ჩუდეკი (4), პ. ველში (3), შტუხლი, ი. ველში (6), კლაპეტეკი (4), ოკაჩი (12), ბარტონი (14), ტრემლი (9), იდესი, ნოვაკი (7), ბეჩკა (9)**

კარგი პირველი ტაიმის მიუხედავად, როცა ჩეხებმა იტალიელთა დაცვას გასაღები მოარგეს, მათ მაინც არ ეყოთ კლასი „სკუადრა აძურას“ დასამარცხებლად. მოგებით იტალიამ მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა და ბოლო მატჩში ლიტვას ჯგუფურ პირველ ადგილსღა ეცილებოდა... ჩეხეთს კი სამშობლოს ნაცვლად პარიზში (სადაც ტურნირის დარჩენილი მატჩები ჩატარდება) გასამგზავრებლად გუშინვე თურქეთთან აუცილებლად უნდა ემარჯვა, თუმცა შეიძლება არც ეს ჰყოფნოდა.

სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ ჩეხეთი ევროპის ვიცე-ჩემპიონს იოლად დანებდებოდა. მათი ვარაუდი კიდეც გამართლდა და კიდეც არა. პირველ ტაიმში აპენინელები მეტოქის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მხოლოდ შესვენების შემდეგღა იხილეს ჩეხების მიერ გამოკიდებული თეთრი ბაირაღი.

თამაში ლამაზად დაიწყო. კალათბურთელებმა რამდენჯერმე ბურთი ჩატანეს კიდეც, რითაც მაყურებელი გაახარეს. ბრძოლა თანაბარი იყო, არც ერთი გუნდი არაფრის დათმობას არ აპირებდა. მე-9 წუთზე ანგარიში 21:21 გახდა. ამის მერე იტალიელებმა მეტოქის საუკეთესო მოთამაშე ლუბოშ ბარტონს ძალიან მჭიდრო მეურვეობა დაუწესეს, გასაქანი აღარ მისცეს და სამწუთიანი მონაკვეთი 8:1 მოიგეს.

თუმცა ბარტონი მაინც გამოჩნდა და მის წინააღმდეგ აბიომ განზრახ ჯარიმაც მიიღო. ჩეხმა ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა (31:30), მისმა თანაგუნდელმა ირჟი ოკაჩმა კი სულაც დააწინაურა ჩეხეთი (32:31). მე-17 წუთზე წონასწორობა კვლავ აღდგა — 34:34. მერე მაიერსმა ზედიზედ ხუთი ქულა მოიხვეჭა და იტალიამაც ტაიმი ამ ხუთი ქულით მოიგო.

შესვენების შემდეგ ტრემლმა სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანა (45:43), მაგრამ ეს იყო და ეს. გადაღლილმა ჩეხებმა თამაშს უკლეს. 26-ე წუთზე ისინი უკვე ათ ქულას აგებდნენ, საბოლოოდ კი 27 ქულით დამარცხდნენ.

„პირველ ტაიმში იტალიელებს თანაბრად ვეთამაშეთ. მეორეში კი სროლები არ წაგვივიდა და ლოგიკური მარცხიც ვიწვნიეთ. მეოთხედფინალში გასვლა ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული“ — თქვა ჩეხმა ირჟი ველშმა მარცხის შემდეგ.

EURO BASKET 99 FRANCE

# ხორვატია, სლოვენია, ისრაელი და ჩეხეთი ჩემპიონატიდან აიბარგნენ

ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპი. III ტური. 28 ივნისი

პო

## E ჯგუფი

### ესპანეთი 88:74 ისრაელი

(I ტაიმი 36:31)

ესპანეთი: ანგულო (6), კორალესი (3), დე ლა ფუენტე (13), დე მიგელი (12), ერეროსი (12), ხიმენესი (2), რეიესი (19), როდრიგესი (16), რომერო (5)

ისრაელი: ამსალემი, კოენ-მინცი (3), დანიელი, გუდესი (3), ჰენფელდი (12), კატაში (8), საფარი (1), შეფერი (17), შელეფი (16), შტეინჰაუერი (10), ტაპირო (1), თორჯემანი (3)

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გასულმა ესპანეთმა ისრაელს კი აჯობა, მაგრამ მეოთხედფინალის საგზური ამით არ დაუბევებია. იგი საფრანგეთი-სლოვენიის თამაშს ელოდა...

ფარქვეშ მიღწეული უპირატესობის ხარჯზე ესპანელები მეტოქეს საკმაოდ გაუსწორდნენ. მათ თავიანთი 220 სანტიმეტრიანი ცენტრი რობერტო დუენიასი მოედანზე საერთოდ არ გამოიყვანეს, რათა სხარტ ებრაელებს სწრაფ თამაშში არ დაეჯაბნათ, თუმცა ფარიდან ბურთებისთვის ბრძოლა მაინც მათ სასარგებლოდ დამთავრდა.

ისინი მე-7 წუთზე ერთი ქულით დაწინაურდნენ (12:11) და მეტოქე წინ მხოლოდ ერთხელღა გაუშვეს (20:22, მე-13 წუთზე). ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელის, ალბერტო ერეროსის შედარებით სუსტი თამაში დე მიგელმა და როდრიგესმა გააწონასწორეს და მე-17 წუთზე პირინეელებმა ხუთქულიანი უპირატესობა მიიღეს — 32:27.

24-ე წუთზე ესპანეთი ათ ქულას იგებდა (49:39) და ალფონსო რეიესის აქტიურობის წყალობით მალე ოცი ქულითაც დაწინაურდა — 59:39. თუმცა ისრაელმა ერთხელ მაინც გაიბრძოლა და ანგარიშში სხვაობაც 30-ე წუთისთვის კვლავ ათ ქულამდე დაიყვანა — 64:54. მეტის გაკეთება კი ებრაელებმა ველარ მოახერხეს და ჩემპიონატსაც გამოაკლდნენ.

„მატჩის დასაწყისში ჩვენები საკმაოდ ნერვიულობდნენ და წაგებისაც კი შემეშინდა. საბედნიეროდ, შემდეგ ისინი დაწყნარდნენ და მშვენივრადაც ათამაშდნენ. კი მოვიგეთ, მაგრამ იმის გასაგებად, გავედით თუ არა მეოთხედფინალში, სხვა შეხვედრების შედეგებს უნდა დაველოდოთ. იქნებ პარიზის ბილეთები ჩვენც ავიღოთ“ — იმედიანად საუბრობდა ესპანეთის მთავარი მწვრთნელი ლოლო საინსი.

### რუსეთი 76:68 იუგოსლავია

(I ტაიმი 36:31)

რუსეთი: კუდელინი (6), პეტრენკო (2), კისურინი (12), ე.პაშუტინი (9), კურაშოვი (6), ზ. პაშუტინი (20), ავლეევი (9), პანოვი (12), ნოსოვი

იუგოსლავია: ბოდიროგა (14), დანილოვიჩი (8), ობრადოვიჩი (6), ლონჩარი (5), გუროვიჩი (12), შჩეპანოვიჩი, სტოიაკოვიჩი, დივაცი (13), ტარლაკი (6), ტომაშევიჩი (4), ტოპიჩი

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხებისთვის რუსეთმა რევანში აიღო და წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე იუგოსლავიას პირველი მარცხი აგემა. თუმცა ამაში რუსებს ხელი თვით იუგებმაც საკმაოდ შეუწყვეს.

ბალკანელთა მთავარმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა თავისი საუკეთესო კალათბურთელების დასვენება გადაწყვიტა, აქაოდა ხუთი მძიმე მატჩი ჩაატარესო. მათ მაგივრად კი ტრავმამოშუშებულები ათამაშა. სასტარტო ხუთეულში შჩეპანოვიჩი და გუროვიჩი დააყენა, მე-9 წუთზე კი ტურნირში „საკრამენტო კინგზის“ გამთამაშებელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი პირველად ჩააბა. იგი თავისი ქვეყნის ნაკრებს მხოლოდ შაბათს შეუერთდა, მანამდე კი საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მუხლის ტრავმას მკურნალობდა.

თავიდან იუგოსლავიის შეტევებს დეიან ბოდიროგა ხელმძღვანელობდა და საკმაოდ ხეირიანადაც. მე-3 წუთზე მისი გუნდი 8:0 დაწინაურდა. მალე სხვაობა ოდნავ შემცირდა (17:13) და ზახარ პაშუტინის (პირველ ტაიმში ყველა ტყორცნა ჩააგდო) კარგი თამაშის წყალობით მე-13 წუთზე წინ უკვე რუსები გავიდნენ — 24:21. ტაიმი კი მათ ხუთი ქულით მოიგეს.

შესვენების შემდეგ მოედანზე დანილოვიჩი და ტომაშევიჩი გამოვიდნენ და იუგოსლავიის დაცვაც მეტოქისთვის უფრო შეუვალი გახდა. საწყისი ორი წუთი იუგებმა 5:0 მოიგეს, მაგრამ ფარქვეშიდან არაზუსტმა სროლებმა მათ წინ გასვლის საშუალება არ მისცა. ამასთანავე, ისინი ბევრს სცოდავდნენ ბურთის გათამაშებისას, რუსებმა კი რამდენიმე ძალზედ საჭირო ჩაჭრა მიითვალეს და სამქულიანების ხაზს გარედანაც შედეგიანად შეუტიეს (58:49 რუსეთის სასარგებლოდ 33-ე წუთზე).

საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე სერგეი ბელოვის გაწვრთნილები კვლავაც ინარჩუნებდნენ ცხრაქულიან უპირატესობას და შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანაც არ გასჭირვებიათ.

„რა თქმა უნდა, მატჩის მოგება გვინდოდა, მაგრამ ცოტა უყურადღებოდ ვიყავით და დავისაჯეთ. ბევრი ბურთი დავკარგეთ და ამიტომაც წავაგეთ“ — ჟელკო ობრადოვიჩი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ვილაცას ეჭვი გაუჩნდა, მისმა გუნდმა განზრახ ხომ არ დათმო მატჩიო.

რუსთაგან საუკეთესო ზახარ პაშუტინმა კი ეს თქვა: „თამაში დაცვაზე ავაგეთ და გაგვიმართლა. თანაც საკმაოდ ზუსტად ვისროდით. მეორე ტაიმის შუაში გადამწყვეტი უპირატესობა მივიღეთ და მისი ბოლომდე შენარჩუნება შევძელით“.

### სლოვენია 69:74 საფრანგეთი

(I ტაიმი 38:28)

სლოვენია: ზდოვცი (14), დანეუ (8), კრალევიჩი (2), სმოდისი (4), მილიჩი (15), იურკოვიჩი (10), ნესტეროვიჩი (16), დრაგშიჩი

საფრანგეთი: სონკო (7), რიგოდო (12), ფუარე (5), სკიარა (3), აბდულ-ვაჰადი (11), რისაშე (12), გადუ (4), ჟულიენი (6), ვეისი (2), ბილბა (9), სმიტი (3)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *იუგოსლავია* | 6 | 5 | 1 | 443:386 | 11 |
| *საფრანგეთი* | 6 | 5 | 1 | 414:384 | 11 |
| *რუსეთი* | 6 | 4 | 2 | 441:409 | 10 |
| *ესპანეთი* | 6 | 3 | 3 | 439:454 | 9 |
| ისრაელი | 6 | 2 | 4 | 416:467 | 8 |
| სლოვენია | 6 | 2 | 4 | 405:421 | 8 |



AFP ფოტო

რუსეთი — იუგოსლავია 76:68. ვიტალი ნოსოვმა (№15) იუგოსლაველ პრედრაგ სტოიაკოვიჩს ჩატენვაში ხელი ვერ შეუშალა

ლე მანი

## F ჯგუფი

### გერმანია 102:85 ხორვატია

(I ტაიმი 50:49)

გერმანია: ნიურნბერგერი, ბოგოევიჩი (12), ვუხერერი (2), ტომიჩი (32), ფემერლინგი (10), ტერდენგე (4), არიგბაბუ, ოკულაჯა (11), ნეესი (10), ნოვიცკი (21)

ხორვატია: კრსტიჩი (6), მულაომეროვიჩი (11), მრშიჩი (8), კუკოჩი (14), პრკაჩინი (15), ზადრავეცი (10), გირიჩეკი (13), რუჟიჩი (5), ვუიჩიჩი (3)

გერმანიამ ხორვატიას მოუგო და F ჯგუფში მესამე და მეოთხე ადგილოსნები გაირკვნენ. თურქეთი — ჩეხეთის შედეგის მიუხედავად, ხორვატია და ჩეხეთი ტურნირს ვადაზე ადრე დაემშვიდობნენ. მესამე ადგილი ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს დარჩათ (ჩეხეთთან რომც წაეგოთ), მეოთხეზე კი გერმანია გავიდა.

ახლა კი თვით ამ შეხვედრაზე, რომლის საუკეთესო მოთამაშეც იუგოსლავიის დაშლამდე გერმანიაში გადაბარგებული დრაჟან ტომიჩი იყო. ნოვიცკის დახმარებით, ფაქტობრივად, მან გადაწყვიტა მატჩის ბედი. საწყის ორ წუთში ხორვატებმა ქულაც ვერ აიღეს, სამაგიეროდ, გერმანელებს ტომიჩის სამქულიანი სროლის შემდეგ უკვე ხუთი ქულა ჰქონდათ. მულაომეროვიჩმა მეტოქეს პასუხი ასევე შორი დისტანციიდან გასცა. მერე ფემერლინგმა და კუკოჩმა ჩააგდეს ორქულიანები, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც ზუსტი სამქულიანი ტყორცნებისა იყო — ხორვატებმა 12 ცდიდან 7-ჯერ უწიეს მიზანს, გერმანელებმა კი — 9-დან 6-ჯერ.

რამდენიმე შედეგიანი შეტევა ორივე ფარზე და გერმანელებს მცირედი ჩავარდნის პერიოდიც დაუდგათ. ისინი მე-8 წუთზე მეტოქეს ექვსი ქულით ჩამორჩებოდნენ (12:18), მაგრამ ტომიჩი იქ არ ჰყავდათ?! მან ზედიზედ ოთხი ქულა მოიპოვა, ბოგოევიჩი სასროლ პოზიციაზეც გაიყვანა და ამ უკანასკნელმა 6,25 მეტრიანი ხაზის გარედან ანგარიში გაათანაბრა (21:21). შორიდან სროლა მეც შემიძლიაო და გერმანელთა ცენტრმა ნოვიცკიმ ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. ამით თავისიანები 29:26 დააწინაურა.

ცენტრი სამიანს აგდებს და მე რას ვუდგევარო, კუკოჩმა და მანაც ტყორცნა შორიდან, თანაც სროლის მომენტში მეტოქე მასზე დაჯარიმდა. ჩიკაგოელს ხელი არც საჯარიმოს ხაზზე მდგომს აჰკანკალებია და ერთბაშად ოთხი ქულაც მოიხვეჭა. შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე გუნდები თანაბრად არიან — 37:37. ამას კიდევ რამდენიმე სამქულიანთან ერთად სხვა, ნაკლები ქულების მომტანი ზუსტი სროლა მოჰყვა და ტაიმიც გასრულდა.

მეორე ნახევარი ხორვატებმა უკეთ დაიწყეს, მაგრამ ნოვიცკის წყალობით გერმანელებმა მეტოქე ძალიან წინ არ გაუშვეს (53:50), 25-ე წუთზე კი უკვე თავად დაწინაურდნენ (61:59). კვლავ ტომიჩმა ისროლა შორიდან (ამჯერად დაახლოებით რვა მეტრიდან) ზუსტად და 66:59 გახდა. ხორვატებმა დაცვის გაძლიერება სცადეს, მაგრამ იმ დღეს ტომიჩის შემჩერებელი არავინ იყო და მანაც აიწყვიტა. მისი ბრწყინვალე თამაში კი ხორვატებს ტურნირიდან გამოთიშვად დაუჯდათ.

„მინდა გერმანიას მშვენიერი გამარჯვება მივულოცო. მათ დღეს თავდასხმაში ძალიან, ძალიან კარგად ითამაშეს და ჩვეულებრივ რომ აგროვებენ (დაახლოებით 60 ქულა), იმაზე ლამის ორჯერ მეტი ქულა მიითვალეს. დაცვაში დღეს ძალიან სუსტად ვითამაშეთ. სამწუხაროა, რომ მეოთხედფინალები უჩვენოდ ჩაივლის“ — თქვა ხორვატთა მწვრთნელმა ბოშკო ბოჟიჩმა.

„ჩემი 32 ქულის მიუხედავად, ეს მაინც გუნდური გამარჯვება იყო. ასე კარგად თუ წამსვლია თამაში სხვა დროს? დიახ, ერთხელ ხორვატიაში ხორვატიიის წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ რაღაც პატარა ტურნირი იყო, ახლა კი...“ — თქვა გერმანელთა რიგებში საუკეთესომ, დრაჟან ტომიჩმა.

### ჩეხეთი 73:78 თურქეთი

(I ტაიმი 37:36)

ჩეხეთი: ჩუდეკი (3), პ. ველში, ვაჰალა, შტუხლი, ი. ველში, კლაპეტეკი, ოკაჩი (14), ბარტონი (20), ტრემლი (14), იდესი, ნოვაკი (4), ბეჩვა (18)

თურქეთი: თუნჩერი (9), თურქოღლუ (15), თურქჯანი (17), ერდემი (2), ქონუქი (3), ილდირიმი (4), ქუთლუაი (6), ოქური (2), ბეშოქი (2), ფარსი (6), სარიჯა (12)

ეს მატჩი არაფერს წყვეტდა. შედეგის მიუხედავად თურქეთი ჯგუფში მესამე ადგილზე გადიოდა და მეოთხედფინალში საფრანგეთს შეხვდებოდა. ჩეხეთს კი შინ გამგზავრებაზე ზრუნვაღა რჩებოდათ.

წესით, მეტოქეებს უგულოდ უნდა ეთამაშათ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მართალია, ჩეხებმა საწყის ორ წუთში ქულა ვერ აიღეს, მაგრამ მესამე წუთიდან მოყოლებული უპირატესობა მათი იყო. ისინი მუდმივად წინ იყვნენ, ოღონდ ანგარიშში სხვაობა 3-6 ქულას შორის მერყეობდა. ჩეხთა შორის კვლა ყოჩაღობდა ლუბოშ ბარტონი, რომელმაც შესვენებამდე 15 ქულას მოუყარა თავი.

ტაიმის დამთავრებამდე 1,3 წამით ადრე ჩეხეთი სამი ქულით იგებდა. თურქებმა თავის მოედნიდან განაახლეს თამაში და მყისვე გადაუგდეს ბურთი ჯუნაიეთ ერდემს, რომელიც მეტოქის ნახევრის მარცხენა კუთხეში იდგა. ერდენმა დაუფიქრებლად ესროლა და თითქოს სამქულიანი ჩავარდა, მაგრამ მსაჯმა აღნიშნა — მსროლელი სროლის მომენტში სამქულიანის ხაზს ოდნავ შეეხოო. ასე წავიდა თურქეთი მოსასვენებლად ერთქულიანი დეფიციტით.

მეორე ტაიმის განახლებისთანავე თურქები დაწინაურდნენ, მაგრამ ჩეხებმა ორ წუთში დაიბრუნეს ლიდერობა და 46:42 იგებდნენ. შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა და ჩეხეთს მცირე უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ...

30-ე წუთზე თურქეთი წინ გაიჭრა — 54:53. მისი მოთამაშეები მსუბუქად თამაშობდნენ. ჩეხები კი პირიქით, დაილალნენ და მეტოქეს სისწრაფეში ვეღარ აყვნენ. დამთავრებამდე 5 წუთით ადრე თურქთა მარაგმა 10 ქულას მიაღწია (68:58). ცხადი გახდა, ჩეხეთი ამ მატჩს ველარ გადაარჩენდა. ანდა, რისთვის უნდა გადაერჩინა?

### ლიტვა 74:62 იტალია

(I ტაიმი 39:35)

ლიტვა: იასიკევიჩიუსი (4), მ. ჟუკაუსკასი (2), მასიულისი, შტომბერგასი, ე. ჟუკაუსკასი (1), ადომაიტისი (2), საბონისი (25), კარნიშოვასი (19), მასკოლიუნასი (3), ეინიკისი (14), პრაშკევიჩიუსი (4)

იტალია: ბონორა, ბაზილე, გალანდა (6), ფუჩკა (4), მარკონატო, დე პოლი (4), მაიერსი (8), მენეგინი (16), აბიო (5), მიანი (3), კიაჩიგი (11), დამიაო (5)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *ლიტვა* | 6 | 5 | 1 | 467:401 | 11 |
| *იტალია* | 6 | 4 | 2 | 427:385 | 10 |
| *თურქეთი* | 6 | 4 | 2 | 377:371 | 10 |
| *გერმანია* | 6 | 3 | 3 | 420:432 | 9 |
| ხორვატია | 6 | 3 | 3 | 444:454 | 9 |
| ჩეხეთი | 6 | 3 | 3 | 434:470 | 9 |



AFP ფოტო

გერმანია — ხორვატია 102:85. გერმანელმა დრაჟან ტომიჩმა (მარცხნივ) ველკო მრშიჩიც (№6) დაჩაგრა და ხორვატიაც შინ გაამგზავრა

საქართველოს ჩემპიონატი

# ფინალი
V მატჩი

**აზოტი — ვითა 2:3**
სამ მოგებამდე

28 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

**აზოტი 62:68 ვითა**

I ტაიმი 39:29
აზოტი: ულენტი (8), გაბისონია (12), გოგობერიშვილი (13), ბაბიაშვილი (6), ჯაფარიძე (15); ბერუაშვილი (6), ჯიმშელეიშვილი (2)
ვითა: უსტიაშვილი (6), დავითულიანი (13), ბაქრაძე, ორმოცაძე (11), კორძაძე (2); ტურაშვილი (12), აბრამიძე (3), კოკოლიშვილი (14), ჩუბინიძე (7)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

# ვითა სიხარულის ქუჩაზე ცხოვრობს


მოზეიმე ვითელები ჩემპიონის ნანატრი თასით

დასაწყისი პირველ გვერდზე

მაშ, „აზოტს" რაღა? — ისევ ვერცხლი, შარშანდელთან შედარებით უფრო ფერმკთალი და კვლავაც მომავლის იმედი, ისიც გვარიანად გაცრეცილი...

ვინ ვინ და, თუკი ვინმე ქებას იმსახურებს, ეს უპირველესად ვითელთა გამარჯვების სულისჩამდგმელი, მათი მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძეა. მან სალად შეაფასა მოვლენები, ზუსტად განჭვრიტა თავისი გუნდის შესაძლებლობები და ერთი შეხედვით დაუმარცხებელ „აზოტს" მომგებიანი ტაქტიკა დაუპირისპირა.

ტაქტიკა იქით იყოს და, სანამ ტომარაძე ნაფიქრ-ნააზრევს მოედანზე ხორცს შეასხამდა, გუნდს ერთი დიდი ნაბიჯი უკვე გადადგმული ჰქონდა საბოლოო წარმატებისკენ. მწვრთნელი ტომარაძე ამასთანავე კარგი ფსიქოლოგიც აღმოჩნდა, ჟინი გაუღვივა წასაგებად განწირულ შეგირდებს და გუნდს საბრძოლო სული შთაბერა. სული, რომელმაც „ვითას" „აზოტი" დაამარცხებინა.

...სულ ბოლოს კი გახარებული მწვრთნელი-ჩემპიონი მაღლა ფრენდა — ვითელებმა ააბურთავეს.

არადა, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე მოვლენათა ამგვარ განვითარებას. 2:0-ის შემდეგ „აზოტს" ყველა ისე უყურებდა, როგორც მერვე ეროვნულის ტრიუმფატორს, ახალ ჩემპიონს, მაგრამ „ვითამ" ყველაფერი, მათ შორის პროგნოზებიც, თავდაყირა დააყენა — მწარე ორშაბათი გაუთენა „აზოტს".

თავს დააბრალონ რუსთაველებმა ყოველივე და სხვა არავის. ვინ იცის, ასეთი შანსი კიდევ როდის მიეცემათ, ძალიან ახლოს კი იყვნენ მიზანთან, მაგრამ გუნდს რწმენა გაებზარა და ეს შანსი ზედიზედ მეორედ „აზოტს" ხელში ჩააკვდა.

ნურავის განვსჯით, არარსებულ ცოდვებს ნურც მსაჯებს წამოვკიდებთ. მათ თუ რაიმე ეშლებოდათ, ორივე მხარისკენ, მეტოქეთა გაურჩევლად. „აზოტისთვის" მსაჯებს მუჯლუგუნი ნაღდად არ მიუყოლებიათ, თუმცა ცხელ გულზე, ცოტა არ იყოს, ჭირს ამის გაგება.

ღირსეულმა მოიგო, უფრო ძლიერმა და გაწონასწორებულმა გუნდმა. „აზოტი" კი ის არ აღმოჩნდა, ექვსგზის ჩემპიონი რომ დაებრიყვებინა, რადგან გუნდი, სწორედ რომ გუნდი, „ვითას" უფრო ეთქმოდა...

ცხადი იყო, ორდღიან დასვენებას მეტოქეები დახარჯული ენერგიის აღადგენას მოახმარდნენ, რაც წესით სკამმოკლე „აზოტს" მეტად უნდა წასდგომოდა, რადგან ოთხი ფინალური თამაშით ზურგდამძიმებულ ექვს აზოტელს დასვენების საშუალება ეძლეოდა.

დაიწყო მატჩი და ირაკლი ჯაფარიძემ უმალვე ზუსტი სამიანით უჩხვლიტა მეტოქეს, რითაც რუსთაველთა მზადყოფნა და საბრძოლო შემართება აგრძნობინა. დავითულიანის გარღვევის შედეგად „ვითამ" ორი ქულა კი გაქვითა, მაგრამ „აზოტის" მორიგი შეტევისას უკანახაზელი რამაზ გოგობერიშვილი თანაგუნდელ ცენტრ ჯაფარიძეს არ ჩამორჩა და მანაც შორიდან „დააჭაშნიკა" „ვითას" კალათი — 6:2. გოგობერიშვილი შემდეგაც აქტიურობდა და პარტნიორს პასებით ამარაგებდა, რაც იმითაც აიხსნება, რომ მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ იგი შეტევაში ნაკლებად სახიფათო ბაქრაძეს მიუჩინა, რითაც გოგობერიშვილს დაცვითი ფუნქციები შედარებით შეუმსუბუქდა და მთელი ძალით სწორედ თავდასხმაში ამოქმედდა.

ტაიმის შუაგულში გოგობერიშვილმა კვლავ ზუსტად ისროლა შორიდან და „აზოტი" 21:11 დააწინაურა. საერთოდაც, ამ დროისთვის რუსთაველებს თვრამეტი ქულა სწორედ სამიანებით დაეგროვებინათ — გოგობერიშვილს და ჯაფარიძეს გაბისონია და ულენტიც შეეშველნენ.

„ვითა" აქამდეც და მერეც კარგა ხანს ქაოტურად მოქმედებდა, ტომარაძე მოთამაშეებს კი ცვლიდა, მაგრამ თამაშში ტაქტიკური ცვლილებების შეტანა არც უცდია, რაც იმის წინაპირობა გახლდათ, რომ „აზოტი" კიდევ უფრო განიმტკიცებდა მოპოვებულ ინიციატივას. ძალიან კარგად თამაშობდა ზაზა გაბისონია, დაცვაში ხომ ვარგოდა და მეტოქის ფარზეც არაერთი ძნელი ბურთი აიღო, თუმცა თანაგუნდელთა ნაჩქარევი შეტევები მის გარჯას წყალში ყრიდა. არა, წინ გასულ რუსთაველებს მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ და ტაიმის დამთავრებამდე ზუსტად ორი წუთით ადრე სულაც თხუთმეტი ქულით — 39:24 დაწინაურდნენ, თუმცა ამის მიზეზი ვითელთა უსუსური თამაში უფრო იყო, ვიდრე „აზოტის" გამართული კალათბურთი.

ტომარაძემ ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციაშიც მიაგნო გამოსავალს და ეს მაშინ გამოჩნდა, როცა მეტოქის შეტევებს ახლა ზონური დაცვა შეაგება — „ვითამ" უმალ ხუთი ქულა შეიმატა და ტაიმიც ასე დამთავრდა.

მწვრთნელმა ტაქტიკა შეცვალა და შედეგმაც არ დააყოვნა. მაშ, რაღა ჰქონდა ტომარაძეს საფიქრალი? — დაცვაში არსებული ამ რეზერვის ბოლომდე ამოქმედება და ზონის კიდევ უფრო გამაგრება.

ასეც მოხდა. შესვენების შემდეგ „ვითას" დაცვა თითქმის შეუვალი გახდა. მოთამაშეები დროულად აზღვევდნენ ერთმანეთს და მეტოქეს შეტევების განვითარების საშუალებას უსპობდნენ.

აზოტელთაგან მხოლოდ ჯაფარიძე მოქმედებდა პოზიციურად სწორად, მაგრამ ირაკლიმდე ბურთი არ აღწევდა, რადგან თანაგუნდელთა სამოქმედო სივრცე ვითელებს საგულდაგულოდ შეეზღუდათ.

ამ დროს გადამწყვეტი სიტყვა „აზოტის" გამთამაშებელ არჩილ ულენტს უნდა ეთქვა, მაგრამ მან ვერ გარისკა, გუნდი ვერ აიყოლია და, რაც მთავარია, „ვითას" ზონურ დაცვას გასაღები ვერ მოარგო. მისიანებიც ბურთს აყოვნებდნენ და იმის ნაცვლად, მეტოქის დაცვა სწრაფი პასებით დაეშალათ, ინდივიდუალურ შეტევებს მიეძალნენ.

შედეგად „აზოტმა" ოთხნახევარი წუთი 0:11 დათმო და დავითულიანის, ორმოცაძისა და განსაკუთრებით უსტიაშვილის კარგი თამაშის წყალობით „ვითა" პირველად გავიდა წინ — 42:41.

ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა. მოწინააღმდეგენი მონაცვლეობით ლიდერობდნენ, თუმც თამაშის ეშხში შესული „ვითა" უფრო და უფრო ძნელი შესაჩერებელი ხდებოდა.

აქ კი ნუგზარ კოკოლიშვილის ჯერიც დადგა. მან ზედიზედ შვიდი ქულა მიითვალა და როცა ჩუბინიძემაც ჩააგდო, „ვითა" ათი ქულით დაწინაურდა — 57:47.

მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთილა რჩებოდა, „აზოტს" კი წარმოუდგენლად ცოტა, მხოლოდ რვა (!) ქულა მიემატებინა პირველი ტაიმის მონაგრისთვის.

საქომაგო გუნდის თამაშის შემყურე რუსთაველმა გულშემატკივარმაც ხელი ჩაიქნია, თუმცა მოგვიანებით მათ კიდევ ერთხელ გადაუარა მღელვარების ტალღამ.

ორნახევარი წუთით ადრე გოგობერიშვილმა უსტიაშვილს ბურთი აართვა. ეს უკანასკნელი დაჯარიმდა, გოგობერიშვილს ნერვებმა არ უმტყუნა და სხვაობა ხუთი ქულაღაა.

„ვითას" მორიგი შეტევისას მსაჯებმა ულენტი დააჯარიმეს, რამაც ოთარ ხმელიძის აღშფოთება გამოიწვია და იმდენი ქნა, მაჩალაძეს თავისიანთავის საბედისწერო ტექნიკური შენიშვნაც დასტყუა. გამოცდილმა ტურაშვილმა საჯარიმო ხაზიდან ზუსტად ესროლა და ბურთიც კვლავ „ვითას" დარჩა.

ულენტმა და ჯაფარიძემ ისევ ოთხ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ... საფინალო სირენამდე ოცდაჩვიდმეტი წამით ადრე უნერვო ნუგზარ კოკოლიშვილის შორეულმა ნასროლმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

...სულ ბოლოს კი გუნდის კაპიტანმა მამუკა ტურაშვილმა ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასიც ჩაიბარა და „ვითა" თავის გულშემატკივართან ერთად უსაზღვრო სიხარულის მორევში ჩაიძირა.

ახლა, რაც გინდათ ის თქვით, „ვითამ" შვიდჯერ გაზომა და... შვიდჯერვე გაჭრა.

**გიორგი ბიკაშვილი**


ვითელი ორმოცაძე (ღია ფორმაში) რუსთაველთა ფარქვეშ შეიჭრა

## მატჩის შემდეგ

*ზურაბ ტომარაძე, „ვითას" მთავარი მწვრთნელი:*

**— „ვითას" ჩამორჩენას პირველ ტაიმში რით ახსნით?**

— მეტოქეს წაუვიდა სამქულიანები და ჩვენც ძალიან სუსტად ვითამაშეთ ფარქვეშ. პირველი ტაიმი ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში გავლიეთ.

**— მეორე ტაიმში რის ხარჯზე შეძელით უპირატესობის მოპოვება?**

— ზონურმა დაცვამ გაამართლა. თანაც მეტოქე დაიღალა და გამარჯვება აღარ გაგვჭირვებია.

**— გამოდის, რომ ძირითადად გრძელი სკამისა და ფიზიკური მომზადების წყალობით შეძელით ჩემპიონობის შენარჩუნება.**

— 0:2-ის შემდეგ ზედიზედ სამი მოგებით რომ დაამარცხებ მეტოქეს, ჩემი აზრით, წარმატების ძირითადი მიზეზი ფსიქოლოგიური მომზადება უნდა იყოს და არა ფიზიკური, ან თუნდაც გრძელი სკამი. ჩვენ დიდი ხანია დავრწმუნდით, რომ პლეი ოფში ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე ვერ გაიმარჯვებ.

*ნუგზარ კოკოლიშვილი, „ვითა":*

— წლეულს ჩემი შესაძლებლობების 60-70 პროცენტი გამოვავლინე. პირველ წრეში „ვითაში" შექმნილი პრობლემების გამო მთელი დატვირთვით ვერ ვივარჯიშე.

*დავით უსტიაშვილი, „ვითა":*

— ყოველი მატჩის შემდეგ გუნდი თამაშს უმატებდა. თანაც იმდენად დიდი იყო ბიჭებში გამარჯვების სურვილი, რომ დარწმუნებული ვიყავი, მოვიგებდით.

*მამუკა აბრამიძე, „ვითა":*

— პლეი ოფის პირველმა მატჩმა დაგვანახვა, რომ თუ დაცვას გავაძლიერებდით, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ „აზოტი" სულაც არ არის ჩვენთვის უხერხული მეტოქე, რადგან უფრო გრძელი სკამი და მეტი შემსრულებელი გვყავს.

*ოთარ ხმელიძე, „აზოტის" მთავარი მწვრთნელი:*

**— ბატონო ოთარ, ისევე, როგორც ფინალური სერიის პირველი ორი შეხვედრა, თქვენმა გუნდმა ამჯერადაც კარგად დაიწყო მატჩი, მაგრამ...**

— პირველი ტაიმი ოცდახუთი ქულით მაინც უნდა მოგვეგო, მაგრამ ამოქმედდა მსაჯების მანქანა, რომელმაც ჩვენი გეგმები თავდაყირა დააყენა.

**— კონკრეტულად რომელ მსაჯს გულისხმობთ?**

— ორივე არაობიექტური იყო.

**— კერძოდ, როდის, რომელ ეპიზოდებში?**

— იქ სამი წამი არ დაუსტვინეს, მერე გარბენი „გამოეპარათ" მხედველობიდან. ჩვენს მიმართ კი ათას სისულელეს იგონებდნენ.

**— თქვენი კალათბურთელების თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

— ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, წინასწარ ვიყავით წასაგებად განწირულნი.

**— თქვენს ნათქვამს თუ აქვს რაიმე საფუძველი?**

— მეტი საფუძველი რა გინდათ, როცა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი აშკარად გამოხატავს სიმპათიებს ერთ-ერთი ფინალისტის მიმართ. გეკითხებით, იმ გუნდთან გამარჯვება შეიძლება?

*ზვიად ბაბიაშვილი, „აზოტი":*

— გუნდი ყოველმხრივ მზად იყო მატჩის მოსაგებად და ეს დავამტკიცეთ კიდეც პირველ ტაიმში. შესვენების შემდეგ მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ჩვენზე მსაჯების ზეწოლაც აშკარად გამოიკვეთა.

*ზაზა გაბისონია, „აზოტი":*

— რაც იყო, იყო. ჯობდა, ჩემპიონები გავმხადარიყავით, მაგრამ ასე არ მოხდა.

**როლანდ ლაბუჩიძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29